Пачакидзе

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

წლიწადი მეექვსე

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების
საბჭოების
ცენტრალური აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივანის 10—58
ექსპედიციის ტელეფ. 5—48.

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 84;
ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსა[illegible] 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მან. და 20 კაპ., ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კაპ., ტექსტში ორჯერ მეტი, სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებების მიღება 3 საათამდე.
სტამბის ტელეფ. 13—80.

შაბათი, 10 აპრილი 1926 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 80 (1535)

დ ღ ი უ რ ი

- ბადადგა საფრანგეთის შინაგან საქმეთა მინისტრი მალვი.
- კულიჯმა განაცხადა, რომ ამერიკა არ აპირებს ერთა ლიგაში შესვლას.
- ინგლისში გამწვავდა დამოკიდებულება მეპატრონეებს - მეშახტეთა და მუშებს შორის.
- კანტონში (ჩინეთი) გაიხსნა მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია.
- რუმინეთმა გერმანიიდან გამოიწვია 25000 შტრეიკბრეხერი.

საკავშირო ცაკის სესია

დღეს მოსკოვში იხსნება საბჭოთა კავშირის ცაკის მორიგი სესია. მისი მუშაობის მთავარი საგანია **ფინანსიური საკითხები**.

სესია განიხილავს და დაამტკიცებს საბჭოთა კავშირის 1925—26 წლის **მთლიან ბიუჯეტს**. ბიუჯეტის **საშემოსავლო ნაწილი** გამონგარიშებულია ოთხი მილიარდ მანეთის რაოდენობით, მაშინ, როცა შარშან ის უდრიდა 2.905 მილიონ მანეთს; მაშასადამე, სახელმწიფო შემოსავალი ერთი წლის განმავლობაში გაიზარდა 38 პროცენტით. ბიუჯეტი უტყუარი სარკეა ქვეყნის მეურნეობის მდგომარეობის; მოყვანილი ციფრები მჭერმეტყველურად ამტკიცებენ მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს ეკონომიკის სწრაფ აღორძინებას.

აღსანიშნავია, რომ არაპირდაპირ გადასახადების ზრდასთან, რაც აიხსნება ქვეყნის პროდუქციის გადიდებით და მოხმარების გაფართოებით, საგრძნობლად მოიმატა არასაგადასახადო შემოსავალმა. სახელმწიფო მრეწველობა და ვაჭრობა იძლევა 161 მილ. მან. მოგებას,—58,2% უფრო მეტს, ვინემ 1924—25 წ. ფოსტის და ტელეგრაფის შემოსავალი გაიზარდა 63 პროცენტით, აქედან ზოგად სახელმწიფოებრივ მიზნებისათვის გადადებული იქნება 14 მილიონამდე. ტრანსპორტის შემოსავალი აღემატება გასავალს 16 მილ. მანეთით, და სხ.

ხსენებული 4 მილიარდი მანეთი რეალური ციფრია, მასში მოქცეულია მხოლოდ ის შემოსავალი, რომლის მთლიანად შემოსვლა სახელმწიფო სალაროში შესაძლებელია დღევანდელი ჩვენი სამეურნეო მდგომარეობის მიხედვით. ოღონდ საჭიროა სამისოდ ენერგიული მუშაობა და გადაჭრილი ღონისძიებათა მიღება.

ბიუჯეტის **საგასავლო ნაწილი** ნავარაუდევია შემოსავალზე ასი მილიონით უფრო ნაკლები. ეს საგულისხმოა. ჩვენ უნდა გვქონდეს ერთგვარი სარეზერვო ფონდი, თავისუფალი თანხა ყოველგვარ შემთხვევისათვის, სხვადასხვა დაბრკოლებათა გადასალახავად გეგმიანობის გატარების დროს სამეურნეო აღმშენებლობაში.

საინტერესოა ვიცოდეთ, ხარჯების განაწილება სხვადასხვა საჭიროებისათვის. თავდაცვაზე გადადებულია 635.480 ათასი მან. ბიუჯეტის საერთო ზრდასთან ერთად ჩვენი სამხედრო ბიუჯეტიც გაიზარდა (შარშან ის უდრიდა 458.948 ათ. მან.), მაგრამ კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით, რომელნიც ყოველდღე განიარაღებაზე ლაყბობენ, იგი მეტად მცირეა და შეადგენს, მაგალ., ინგლისის სამხედრო ხარჯების ერთ მესამედს, ხოლო ყოფ. მეფის რუსეთის ხარჯების ერთ-მეოთხედს. ამასთან, ჩვენი სამხედრო ბიუჯეტის ზრდა ოდნავადაც არ გულისხმობს საბჭოთა შეიარაღებული ძალის რიცხობრივ გადიდებას, არამედ მისი შინაგანი მდგომარეობის გაუმჯობესებას.

საგრძნობლად გადიდებულია ხარჯები ტრანსპორტზე (1.329.000 მან. წინანდელი 891.695 მანეთის მაგიერად), ფოსტა - ტელეგრაფზე (140.700 ათ. მ. 95.094 ათ. მ. ნაცვლად), სამრეწველო მშენებლობაზე (150.706 ათ. მან. მაგივრად 241.457 ათ. მან.) და სხ. მრეწველობა ღებულობს კაპიტალური სამუშაოებისათვის 155,5 მილ. მანეთს ბიუჯეტით და 141 მილ. მან. სამეურნეო აღორძინების სესხით, უცხოეთის კრედიტებთან ერთად სულ 820 მილ. მან.; სასოფლო მეურნეობაზე გადიდებულია ხარჯები 120.033 ათ. მანეთით; კულტურულ - სოციალურ საჭიროებებზე—239 მილ. მან.

აგრეთვე გადიდებულია **მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტი** (48,9 პროცენტით, მაშინ, როცა მთლიანი საკავშირო ბიუჯეტი გაიზარდა 38 პროც.). ცაკის ეხლანდელ სესიაზე დგას საკითხი მოკავშირე რესპუბლიკების წინანდელი საბიუჯეტო უფლებათა და ვალდებულებათა რამოდენიმედ შეცვლის შესახებ. აქ ტარდება შესაძლებელი დეცენტრალიზაციის პრინციპი. მოკავშირე რესპუბლიკებს მეტი უფლებები ენიჭებათ შემოსავლის დარგში და ამის მიხედვით ეკისრებათ მეტი ვალდებულებანი სახელმწიფო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. ცხადია, რომ თვითეული საბჭოთა რესპუბლიკის ფინანსიური სიძლიერე საფუძველია მთელი საბჭოთა კავშირის ფინანსიური სიძლიერის.

სესია ცალკე განიხილავს **ადგილობრივი ბიუჯეტის საკითხს**. დღეს ადგილების შემოსავლის წყაროები შეზღუდულია, ხოლო ამავე დროს მათ დაკისრებული აქვთ შედარებით დიდძალი ფინანსიური ვალდებულებანი. ერთი მხრივ აუცილებელია ადგილების საბიუჯეტო უფლებების გაფართოვება, მეორე მხრივ რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე გადატანა ზოგიერთი ხარჯების, რომლებსაც დღეს ადგილები აწარმოებენ.

სესიის მსჯელობის საგნად გახდება **სასოფლო - სამეურნეო გადასახადის** ახალი კანონ - პროექტი, რომელიც შემუშავებულია სათანადო ორგანოების მიერ. ჩვენი კლასობრივი პრინციპის ბოლომდე გატარება, დაბეგვრა არა მარტო სახნავ მიწის, სამუშაო და მსხვილ საქონლის და სათიბების, როგორც დღემდე იყო, არამედ სასოფლო მეურნეობის სპეციალურ დარგების და შემოსავლის არამიწათმოქმედო წყაროებისა, გადასახადის ფულადი გამონგარიშება, — ასეთია მთავარი მომენტები ახალი კანონის. ესაა შემოსავლის კვალობაზე გადასახადის შემოღება, რომლის ძალით, გადასახადის უმთავრესი სიმძიმე დააწვება სოფლის შეძლებულ ნაწილს და სავსებით იქნება უზრუნველყოფილი ღარიბ და საშუალო გლეხობის ინტერესები. ამასთან მარტივდება გადასახადის განაწილება - აკრეფის სისტემა.

სესია გაარჩევს და მიიღებს **სისხლის სამართლის ახალ კოდექსის პროექტს**. ძველი კოდექსი, შედგენილი გარდამავალ პერიოდში, ზოგიერთ თავის ნაწილში მოძველდა და არ შეეფერება ჩვენს ეხლანდელ მტკიცე ეკონომიურ და პოლიტიკურ მდგომარეობას. ახალი კანონი, მაგ., შლის ხმარებიდან ცნება „დასჯა“-ს, ვინაიდან საბჭოთა სახელმწიფოს მიზანია არა შურისძიება, არამედ თავდაცვა სოციალურად მავნე ელემენტებისაგან. მას, სხვათა შორის, შემოაქვს გაუსწორებელ პირების სამუდამოდ განდევნა საბჭოთა კავშირიდან, რაც შესაძლებელი გახდა ბლოკადის მოხსნის და სამოქალაქო ომის გათავების შემდეგ. მცირდება დახვრეტის გამოყენების შემთხვევები. შემდეგში ამ ზომას საბჭოთა ხელისუფლება მიმართავს მხოლოდ იმ ბოროტმოქმედებებთან ბრძოლისათვის, რომელნიც ემუქრებიან საბჭოთა წყობილების საფუძვლებს. ბევრ შემთხვევაში მოკლდება თავისუფლების აღკვეცის ვადა და ამის მიხედვით ამნისტიების შეფარდებაც უფრო იშვიათად მოხდება. საერთოდ ახალ კანონში ჰპოულობს გამოხატულებას მუშურ-გლეხურ რეჟიმის სიმტკიცე და ურყევობა.

ასეთი იქნება საკავშირო სესიის მუშაობის მთავარი შინაარსი. ეს მუშაობა საგრძნობლად წასწევს წინ საბჭოთა კავშირის და მასში შემავალ რესპუბლიკების სამეურნეო - ფინანსიურ აღორძინებას და აგრეთვე საბჭოთა უფლებრივ შენების განმტკიცების საქმეს.

ერთა ლიგის წინააღმდეგ ბრძოლისათვის

კომინტერნის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 9 აპრილი. მთელი მსოფლიოს მუშებო და მშრომელებო!

კაპიტალისტური ლეგენდა, რომ ერთა ლიგას შეუძლია კაპიტალისტურ წესწყობილების ფარგლებში საყოველთაო მშვიდობიანობის უზრუნველყოფა, მოისპო.

1926 წლის 17 მარტი—ეს იყო ჟენევის ერთა ლიგის პოლიტიკის უდიდესი დამარცხების დღე. ლოკარნოში დადებულ შეთანხმების ძალით, ჟენევაში უნდა მომხდარიყო გერმანიის ერთა ლიგაში მიღება, მაგრამ უკანასკნელის სესია ხანგრძლივი და უნაყოფო მოლაპარაკების შემდეგ ჩაიშალა.

ბურჟუაზიულ მთავრობების წარმომადგენლები გაემგზავრენ თავ-თავის ქვეყნებში, ისე რომ მიზანს ვერ მიაღწიეს: გერმანიის მიღება გადადებულია სექტემბრამდე.

მთელი მსოფლიოს ბურჟუაზიული პრესა სერიოზულ მზრუნველობის კილოთი ლაპარაკობს ერთა ლიგის პოლიტიკის დამარცხებაზე.

მოსალოდნელია დიდი პოლიტიკური გართულებანი.

ჟენეველი დიპლომატები და მათი დამქაშები ყველა ქვეყნებში ცდილობენ მიჩქმალონ მათი გაკოტრების ნამდვილი მიზეზები, თვალი აუხვიონ მშრომელებს, მიჩქმალონ თავიანთი დამარცხების ფაქტი, გზა-კვალი აუბნიონ მშრომელებს ერთა ლიგის იმპერიალისტურ მახინაციების შინაარსის გაგებაში.

ბურჟუაზიული პრესა ცდილობს შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს გერმანიის დაუყოვნებლივ ერთა ლიგაში მიღებას ხელი შეუშალა მხოლოდ ბრაზილიის ჯიუტობამ ან კიდევ იმ დავამ, რომელიც გამოიწვია ერთა ლიგის საბჭოში პოლონეთისათვის მუდმივი ადგილის დათმობის საკითხმა.

ყოველივე ამის მტკიცება—განზრახ მოგონილი სიცრუა.

ერთა ლიგის ჟენევის სესიის ჩაშლაში და ახალი კონფლიქტების და საფრთხეების გართულებაში პირველ ყოვლისა ბრალი მიუძღვით ამერიკის, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის იმპერიალისტურ მთავრობებს.

ამერიკის იმპერიალისტებმა ბრაზილია გამოიყენეს იარაღად ჟენევის მოლაპარაკებაში მათი ჩარევისათვის. მათი მიზანია წინააღმდეგობათა გამოწვევა ევროპის სახელმწიფოებს შორის, რათა ევროპის ხალხებმა ვერ შესძლონ გაერთიანებული წინააღმდეგობის გაწევა ამერიკის ექსპლოატაციისათვის, და უზრუნველჰყონ თავისი გამარჯვება ინგლისელ იმპერიალისტების წინააღმდეგ საკონკურენტო ბრძოლაში.

საფრანგეთის იმპერიალისტებმა ხელი შეუშალეს გერმანიის ლიგაში მიღებას იმიტომ, რომ მათ ამას უკარნახებდა საიდუმლო ხელშეკრულება პოლონეთის მთავრობასთან.

იტალიის მთავრობის წარმომადგენლები—მუშათა მასების სულთავმხუთავ მუსოლინის აგენტები, ტაშს უკრავდენ ბრაზილიას ჟენევის სესიის ჩასაშლელად.

ინგლისელი იმპერიალისტები ჩემბერლენის მეთაურობით ერთის მხრით მხარს უჭერდენ საფრანგეთსა და პოლონეთს, ხოლო მეორე მხრით —აქეზებდენ გერმანიას.

მათ, რაც კი შეეძლოთ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გაეღვივებიათ მტრობა ევროპის ხალხებს შორის და შეენარჩუნებიათ კოლონიალურ ხალხთა განუკითხავათ ჩაგვრის და ძარცვის საშუალება.

იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ტები თავიდანვე აცხადებდენ, რომ იმ მთავრობებმა გამოიწვიეს ჟენევის კონფლიქტი.

ყველა ქვეყნის მუშებო! კომუნისტები თავიდანვე აცხადებდენ, რომ იმპერიალისტების ლოკარნოს ხელშეკრულება მიმართულია ხალხთა მასების წინააღმდეგ, ამ ხელშეკრულებით იმპერიალისტურ სახელმწიფოებს სურთ გამოიწვიონ ახალი ომები, უზრუნველჰყონ წვრილი, დამარცხებული და განიარაღებული ერების ჩაგვრა და მოამზადონ ახალი სამხედრო თავდასხმა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირზე.

ჟენევის ამბებმა წინანდელზე უფრო ნათლად დაგვანახვეს, რომ ლოკარნის სული—ეს ხიშტების და ყუმბარების სულია.

ლოკარნის პაციფისტური ფიზიონომია ეს მხოლოდ შირმაა, რომლის იქით იმპერიალისტები განაგრძობენ მუხანათურ თამაშს მილიონობით მშრომელთა სიცოცხლით.

ჟენევის გაკოტრებამ გამოამჟღავნა ეს თამაში.

მეორე ინტერნაციონალი აშკარად და უშუალოდ მონაწილეობას იღებდა ერთა ლიგის მუშაობაში. მეორე ინტერნაციონალის ბელადები მხარს უჭერდენ თავ-თავის მთავრობების ნაბიჯებს, მიმართულს პროლეტარიატის წინააღმდეგ.

სოციალ-დემოკრატიული ბელადები, რომელნიც უყურადღებოთ სტოვებდენ მშრომელთა მასების ინტერესებს და რევოლიუციონური პროლეტარიატის მოთხოვნილებებს, არა თუ უარყოფდენ ყოველგვარ წინადადებას ერთა ლიგის წინააღმდეგ გაერთიანებულად გამოსვლის შესახებ, არამედ უშუალო და აქტიურ მონაწილეობას იღებდენ ერთა ლიგის საბჭოში და იმპერიალისტების ასეთი სახის სხვადასხვა დაწესებულებებში.

ჟენევის სესიაზე დამსწრე სოციალ-დემოკრატები ისევე თავგამოდებით იყვნენ გართული ინტრიგებით და იმპერიალისტურ თამაშით, როგორც ბურჟუაზიულ მთავრობების დანარჩენი წარმომადგენლები. ფრანგი სოციალისტი პოლ ბონკური, შვედი—უნდენი, ბელგიელი—ვანდერველდე მზად იყვნენ ხმა მიეცათ არა თუ თავ-თავის მთავრობების სასარგებლოთ, არამედ თუ კონფლიქტი წარმოიშვებოდა სხვადასხვა მთავრობათა ინტერესებს შორის,—ერთი მეორეს წინააღმდეგაც.

სოციალ-დემოკრატები სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, მუშათა ბელადები მუშათა ბელადების წინააღმდეგ, თვითეული თავისი იმპერიალისტური მთავრობის მხარეზე—აი ასეთი აღმაშფოთებელი და სამარცხვინო სახით გამოვიდა მეორე ინტერნაციონალი ჟენევაში.

მუშებო ყველა ქვეყნისა! განა საჭიროა კიდევ ფაქტები?

„მშვიდობიანობის დამყარების საწყაული კიდევ არ მოხდა“,—სწერდა რამოდენიმე დღის წინ ერთი ფრანგული გაზეთი. მაგრამ ახალი ომის საშიშროება სულ უფრო ცხადდება. ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელებს საშინლად სჩაგრავს სამხედრო ბიუჯეტების აუტანელი სიმძიმე.

ახალი შეტაკების, ახალი 1914 წლის საფრთხე უკვე კარს მოადგა ხალხთა მასებს.

გერმანიის ბურჟუაზიის მისწრაფებები და ლიუტერის და შტრეზემანის იმედები, რომელთაც ისინი ამყარებდენ გერმანიის გამარჯვებულთა კავშირში მიღებაზე, ჯერ-ჯერობით გაკრუვდა. გერმანიაში, სადაც ერთა ლიგას და მის მომხრეებს ამჟამად სახელი აქვთ გატეხილი, ჟენევის ამბების შემდეგ კვლავ თავი წამოჰყო რეაქციონურმა ნაციონალიზმმა და ფაშიზმმა. **უნდა შეიქმნეს ერთიანი პროლეტარული ფრონტი ერთა ლიგის და მისი აგენტების წინააღმდეგ.**

არა მარტო გერმანია. არამედ მთელი ევროპა იჩაგრება ჟენევის სესიის შედეგებით. ამერიკის საფინანსო კაპიტალი, რომელმაც ჩაშალა ერთა ლიგის სესია, ამზადებს ახალ ღონისძიებებს, რათა ევროპის ყველა სახელმწიფოები და მთელი ევროპა დამარცხებულ და გაძარცულ გერმანიის ბედში ჩააგდოს. **კულიჯმა და ხოუტონმა** ჟენევის სესიის შემდეგ თავხედური ცინიზმით განაცხადეს, რომ ევროპის სახელმწიფოების გონზე მოყვანა შეიძლება მხოლოდ ფინანსიური ზეგავლენის მოხდენის გზით“.

ამერიკის ფინანსიურ ზეგავლენის გაძლიერება ევროპის მუშათა მასების ტანჯვა-წვალების და სიმშილის გაძლიერებას მოასწავებს. გერმანიის ბედი—მსხვილ სამრეწველო სახელმწიფოს უმწეო, გაღატაკებულ კოლონიად გადაქცევა—მოელის აგრეთვე პოლონეთს, საფრანგეთს, იტალიას, დუნაის განაპირა ქვეყნებს და მთელი ევროპის მატერიკს.

მუშათა კლასი არ წამოეგება ერთა ლიგის გაიძვერულ „შრომის კონფერენციების“ ანკესს. მუშათა კლასმა იცის, რაც მოელის მას. ევროპის პროლეტარიატის რიგებში უკვე გაისმის უკმაყოფილება ერთა ლიგით, იზრდება იმპერიალიზმისადმი მტრული განწყობილება და, უწინარეს ყოვლისა, სურვილი ბრძოლის წარმოებისა ბურჟუაზიულ მთავრობების სამხედრო პოლიტიკის წინააღმდეგ.

ერთა ლიგის პოლიტიკა იმყოფება კრიტიკულ მდგომარეობაში. იმპერიალისტურ მთავრობების კავშირის პოლიტიკა მოემწყვდა ჩიხში.

კომუნისტურ ინტერნაციონალის გაფრთხილება გამართლდა სინამდვილით, თვით ცხოვრებით. ჯერ კიდევ 1919 წლის გაზაფხულზე ლენინმა გაითვალისწინა ამბების ასეთი მსვლელობის აუცილებლობა. ერთა ლიგის დაარსების დღეს, ლენინმა ამ დაწესებულებას უწოდა ყაჩაღების და ხალხთა სულთამხუთავების კავშირი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, და მშრომელნო მთელი ევროპისა და მსოფლიოსი, ემზადეთ თავდაცვისათვის, გაერთიანდით, იბრძოლეთ ამ ყაჩაღებისა და ხალხის სულთამხუთავთა კავშირის წინააღმდეგ.

გაჭირვებისა, უმუშევრობისა, სიმშილისა და ეკონომიურ მონობიდან ერთად-ერთი გამოსავალია—კაპიტალისტურ მთავრობებისათვის ხალხის მიერ წინააღმდეგობის გაწევა.

მილიტარიზმის, სამხედრო ხარჯების სიმძიმის, ომის საშიშროების, მონობის ხუნდების, ძარცვისა და ამერიკის ფინანსიურ კაპიტალის მიერ ევროპის დაქუცმაცების საფრთხისგან ერთად-ერთი გამოსავალი გზა:ბრძოლა სოციალისტურ ევროპის შეერთებულ შტატებისათვის, რომელიც უნდა შექმნას ევროპის პროლეტარიატის ძლევამოსილმა რევოლიუციამ სრული ნებაყოფლობის, ერთა თვით გამორკვევის და ქვეყნის ყველა დაჩაგრულ ხალხებთან საბჭოთა კავშირის მიერ მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე.

იმპერიალისტების საბედისწერო თამაშიდან, ხალხთა სიცოცხლის ამ სისხლიან თამაშიდან, **არის მხოლოდ ერთი გამოსავალი: გამიჯვნა ერთა ლიგისაგან, ბრძოლა ერთა ლიგის წინააღმდეგ, ერთა ლიგის მოსპობა.**

რომ ბოლო მოეღოს მუშათა კლასის ნაციონალურ დაქსაქსულობას და იმ პირობებს, რომელშიაც მუშათა კლასი წარმოადგენს სათამაშო საგანს იმპერიალისტურ კონფლიქტებში და საქლეტ მასალას მომავალ ომებში, **ამისათვის არის ერთად-ერთი გზა ერთიანი პროლეტარული ფრონტი ერთა ლიგის წინააღმდეგ, მთელი მსოფლიოს მშრომელების, ყველა მუშათა ორგანიზაციების მებრძოლი კავშირი იმპერიალისტური მთავრობების სამხედრო კავშირის წინააღმდეგ.**

მუშებო და მშრომელებო ყველა ქვეყნისა!

კომუნისტური ინტერნაციონალი მოგიწოდებთ თქვენ დაადგეთ განთავისუფლების ამ ერთად-ერთ გზას და იბრძოლოთ საერთაშორისო პროლეტარიატის საერთო ინტერესებისათვის.

კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ლონდონი, 8 აპრილი. 14 იანვარს ლონდონის სავაჭრო პალატამ წარუდგინა მთავრობას მოხსენება ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობის შესახებ.

სავაჭრო პალატა წინადადებას აძლევდა მთავრობას ჩაშალოს ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულება და აკრძალოს ინგლისში საბჭოთა კავშირის იმ სამრეწველო წარმოებათა პროდუქციის გაყიდვა რომელიც ნაციონალიზაციამდე ინგლისის ქვეშევრდომებს ეკუთვნოდა.

სავაჭრო პალატის მიმართ გამოქვეყნებულ პასუხში გარეშე საქმეთა სამინისტრო აღნიშნავს, რომ მთავრობა სცდილობდა, რომ საბჭოთა მთავრობას ინგლისელ მოქალაქეებისათვის დაებრუნებია საბჭოთა კავშირში ჩამორთმეული ქონება, მაგრამ ცდა უშედეგოთ დამთავრდა. სამინისტრო ფიქრობს, რომ ამ საკითხის მოწესრიგება შეიძლება მხოლოდ საბჭოთა კავშირისათვის სესხის მიცემით, მაგრამ ინგლისის მთავრობას არ აქვს საშუალება მისცეს ასეთი სესხი. ინგლისის მთავრობის აზრით, ასეთი სესხი უნდა იქნას გამოშვებული ბაზარზე, ჩვეულებრივი წესით. თუ საბჭოთა კრედიტი ინგლისში საკმარისია ამისათვის, მაშინ საჭირო აღარ იქნება სესხის უზრუნველყოფა მთავრობის მიერ.

„შესაძლებელია, ნათქვამია წერილში, რომ სახელმწიფოს ეკონომიურ გაჭირვების შეგნება დაარწმუნებს საბჭოთა მთავრობას, რომ საგარეო ვაჭრობის განვითარება დამოკიდებულია კრედიტზე და რომ საბჭოთა კავშირის კრედიტი საერთაშორისო ბაზრებზე არ განმტკიცდება, სანამ საბჭოთა მთავრობა არ მიიღებს თავის თავზე წინანდელ მთავრობების ვალდებულებებს და სანამ კეთილსინდისიერ ნაბიჯებს არ გადადგამს ამ ვალდებულებათა მოსაწესრიგებლად“.

შემდეგ წერილში აღნიშნულია, რომ ინგლისის მთავრობა, როგორც ეს არა ერთხელ ყოფილა ნათქვამი, მზადაა განიხილოს საბჭოთა მთავრობის ყოველგვარი გულწრფელი განცხადება ამ საკითხების მოწესრიგების შესახებ. მაგრამ ინგლისის მთავრობას არა სურს თავის თავზე მიიღოს ამგვარ მოლაპარაკების ინიციატივა, სანამ საბჭოთა მთავრობის თვალსაზრისი ამ საკითხში არ შეიცვლება.

ეხება რა საკითხს საბჭოთა მთავრობის მიერ ყოფილ ინგლისურ წარმოებათა პროდუქციის გაყიდვის შესახებ, სამინისტრო აღნიშნავს, რომ მიზანშეუწონელია ინგლისის სასამართლოების მიერ დაწყებულ პრაქტიკის შეცვლა.

ინგლისის სასამართლოებმა აღიაარეს, რომ ისეთ შემთხვევებში, როდესაც საბჭოთა მთავრობას შეუძლია საბჭოთა კავშირის კანონების თანახმად დაამტკიცოს, რომ იგი არის საექსპორტო საქონლის მესაკუთრე, ეს საქონელი ინგლისში მის საკუთრებათ ითვლება. რომ შეიცვალოს ეს მდგომარეობა, საჭიროა ახალი კანონების გამოცემა, რაც ხელს შეუშლიდა საბჭოთა მთავრობისადმი ინგლისის ქვეშევრდომთა პრეტენზიების სასურველად მოწესრიგებას.

მეორეს მხრივ ლონდონის სავაჭრო პალატის მიერ წარმოდგენილი ზომები, აუცილებლად გამოიწვევდა ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობის ჩაშლას და ეს საზარალო იქნებოდა ინგლისის ბევრ სავაჭრო ფირმისთვის.

დასასრულ სამინისტრო ეხება ინგლის-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების ჩაშლის საკითხს და აცხადებს:

„შესაძლოა, რომ ინგლისის ინტერესებისათვის სასარგებლო იქნებოდა, რომ ეს ხელშეკრულება არ ყოფილიყო დადებული თავის დროზე. მაგრამ აქედან არ შეიძლება გამოვიყვანოთ ისეთი დასკვნა, თითქოს ინგლისის ინტერესები დღევანდელ პირობებში მოითხოვდეს ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ჩაშლას“.

მუსოლინზე თავდასხმის შემდეგ

გიბსონი

რომი, 8 აპრილი. ინგლისელი ქალი გიბსონი, რომელმაც მოახდინა მუსოლინიზე თავდასხმა, უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში რომში ცხოვრობდა. შარშან გიბსონმა თავის მოკვლა დააპირა და მოთავსებულ იქნა სულით ავათმყოფთა სამკურნალოში. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ ის დასახლდა რომის ერთ-ერთ პანსიონში, მაგრამ კვლავ მალე გამოაჩინდა შეშლილობის ნიშნები რელიგიურ ნიადაგზე.

ფაშისტური იტალია

რომი, 8 აპრილი. თავდასხმის შესახებ „ტავერე“ სწერს:

„ფაშისტური იტალია ნებას არავის მისცემს მოაწყონ შ[illegible]ქმულებები თავის საკუთარ სა[illegible] [illegible]ვდასხმამ უნდა დააფიქროს [illegible]გიერთი მთავრობები იმაზე, რომ ჩვენ არ მოგვიხდეს დაჩქარება იმ ამბების, რომლებიც სულ ერთია უნდა მოხდეს“.

თანაგრძნობა

რომი, 9 აპრილი. რომში საბჭოთა კავშირის საელჩოზე ბრბოს თავდასხმის გამო, **კერჟენცევი ინახულეს მთელ რიგ დიპლომატებმა და გამოუცხადეს თავის თანაგრძნობა.**

ფაშისტების დემონსტრაცია

რომი, 8 აპრილი. მანიფესტაციების დროს შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის აივანზე გამოჩნდა **მუსოლინი**, რომელმაც ხალხს სიტყვით მიმართა. დემონსტრაცია დაღამებამდის გაგრძელდა. იყო შემთხვევები, როცა სცემდენ გამვლელ-გამომვლელებს, რომელნიც ვერ ასწრებდენ ქუდის მოხდას ეროვნული დროშის წინაშე. გიბსონის გარდა არავინ არ დაუპატიმრებიათ.

ფაშისტების თავდასხმა

რომი, 8 აპრილი. ოპოზიციონურ გაზეთების „მონდო“-ს და „ვოჩე რესპუბლიკანას“ რედაქციებს გარდა **დარბეულია აგრეთვე იტალიის სოციალისტურ პარტიის ორგანოს „ავანტის“ განყოფილება რომში.**

დარბეულ იქნა აგრეთვე კერძო ბინები, მათ რიცხვში სოციალისტ-რეფორმისტი დეპუტატის **მოლილიანის ბინა**, იუმორისტულ ჟურნალის „ჯანინის“ რედაქციის და „ფორვერტის“ კორესპონდენტის ლერდას ბინა და სხვა.

ბრბო შეეცადა დაერბია აგრეთვე ბინა იტალიის საკონსტიტუციო დემოკრატიული პარტიის და ოპოზიციონური ბლოკის ბელადის **აბენდოლას**, რომელიც წინა დღით გარდაიცვალა ნიცაში.

მალვი გადადგა

პარიზი, 9 აპრილი. **მალვიმ შეიტანა განცხადება გადადგომის შესახებ. გადადგომას ის ასაბუთებს იმით, რომ მას სურს თავიდან აიცილოს პირადი თავდასხმა, რაც შეარყევს კაბინეტის მდგომარეობას; გარდა ამისა მას საშუალება ექნება პასუხი გასცეს მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებზე.**

„პტი ჟურნალის“ ცნობით, მალვის, როგორც საფრანგეთ-ესპანეთის ურთიერთობასთან კარგად გაცნობილ პიროვნებას, მისცემენ მნიშვნელოვან დავალებებს მაროკოს ომის წარმოების საქმეში.

ჩინეთის რეაქცია

რეაქციონერების უწესოება

პეკინი, 7 აპრილი. ლიბერალური „პეკინი ლიდერ“-ი აქვეყნებს თავის ტიან-ძინელ კორესპონდენტის ცნობას ლი-ჩინ-ლინის ჯარების უწესოებათა შესახებ. **მცხოვრებლები შეშინებული არიან. ქალაქში ცხოვრება მიყუჩდა. ვაჭრობა შესწყდა. ჯარების კომანდირები დაჯირითობენ ქალაქში და თოფს უშენენ მშვიდობიან მცხოვრებლებს.**

გაფიცვა კანტონში

პეკინი, 7 აპრილი. კანტონის მთავრობასა და ჰონკონგის გუბერნატორს შორის სწარმოებს მოლაპარაკება გაფიცვის საკითხის მოწესრიგების შესახებ, ვინაიდან გაფიცვა დიდ ზარალს აყენებს ჰონკონგს.

მუშათა კონფერენცია კანტონში

პეკინი, 7 აპრილი. **კანტონში გაიხსნა მუშათა ორგანიზაციების კონფერენცია, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 2.000 დელეგატი 200 სხვადასხვა ორგანიზაციებიდან.**

პეკინზე შეტევა ჩაიშალა

პეკინი, 7 აპრილი. **სახალხო არმიის მოწინააღმდეგეების შეტევა პეკინზე, რომელიც დანიშნული იყო 7 აპრილისათვის, არ მოხერხდა. ჯავშნიანი მატარებელი რუს-თეთრგვარდიელთა მეთაურობით შეეცადა სახალხო არმიის ფრონტის გარღვევას, მაგრამ ტყვეთ ჩავარდა.**

ყვითელი პროფკავშირები

ამსტერდამის „აზრი“ პროფკავშირებზე

ვენა, 8 აპრილი. ჰუნგრეთის პრესის თანამშრომლებთან საუბრის დროს ამსტერდამის ინტერნაციონალის მდივანმა ზასენბახმა განაცხადა:

„ჩვენ არასოდეს არ გვიფიქრია, რომ პროფკავშირები წარმოადგენენ შესაფერ საშუალებას მსოფლიო რევოლიუციის განსახორციელებლად.

თუ რუსეთის პროფკავშირები ამ თვალსაზრისს გაიზიარებენ, ჩვენ მზა და ვართ ვითანამშრომლოთ მათთან“.

ბალკანეთის პროფკავშირების კონფერენცია

ვენა, 8 აპრილი. ამსტერდამის ინტერნაციონალმა უარყო სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ პროფკავშირების წინადადება, რომელშიაც უკანასკნელი მოითხოვდა დაშვებას ბალკანეთის პროფკავშირების კონფერენციაზე, რომელიც გაიხსნება 9 აპრილს სოფიაში.

ამსტერდამის ინტერნაციონალმა უარყო აგრეთვე სამხრეთ-სლავიის დამოუკიდებელ პროფკავშირების წარმომადგენლების დაშვება კონფერენციაზე სტუმრების სახით.

გავაძლიეროთ გლეხთა ანაბარები

საქონლით დამშეული ბაზარი ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელიც იწვევს მოსახლეობის ხელში თავისუფალ თანხების დაგროვებას. დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენი შინაური ბაზარი სწორეთ ასეთ მდგომარეობაში იმყოფება, უდაო ფაქტად უნდა ჩაითვალოს, რომ მოსახლეობაში წვრილ-წვრილი რაოდენობით დაქსაქსულია მნიშვნელოვანი თანხა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია აქ კერძო სავაჭრო კაპიტალი, რომელიც საკუთარ თავისუფალ თანხებს უმეტეს შემთხვევაში არც სახელმწიფო საკრედიტო დაწესებულებებში ათავსებს და არც რაიმე წარმოებებში აბანდებს. პირველყოვლისა ის ცდილობს მოგება ისევ სავაჭრო საქმეში დააბრუნოს და ამით კიდევ უფრო ხელი შეუწყოს საქონლის ნაკლებობის ნიადაგზე წარმოშობილ სიძნელეთა გართულებას. უკეთეს შემთხვევაში კი კერძო ვაჭარი მოგებას მუთაქის პირში ინახავს და ამგვარად მას მკვდარ თანხათ აქცევს როგორც თავისთვის, ისე სახელმწიფოსათვისაც.

მაგრამ ჩარჩ-ვაჭრებს გარდა ფულის თავისუფალი მარაგი მოეპოვება მოსახლეობის სხვა ფენებსაც და მათ შორის გლეხკაცობასაც. სოფლად მყოფი უფრო დაქუცმაცებული თანხა კიდევ უფრო დაქუცმაცებული და დაფანტულია, მაგრამ ამ თანხის საერთო ჯამი და მისი როლი მთლიან ფინანსიურ ბრუნვაში უთუოდ დიდათ მნიშვნელოვანია, როგორც სოფლის მეურნეობის განვითარების, ისე ნორმალურ ფინანსიურ ოპერაციების წარმოებისათვის.

სოფლად მომუშავე საკრედიტო დაწესებულებების მდგომარეობიდან ვიცით, რომ მოსახლეობის ფულადი ანაბარების რაოდენობა ბევრგან სრულიად უმნიშვნელოა. რით უნდა ავხსნათ ამგვარი მდგომარეობა?

ერთ-ერთ მთავარ მიზეზათ, რომელიც წინ ეღობება მოსახლეობის ხელში დაგროვილ თავისუფალ თანხის მობილიზაციას და მის მიზანშეწონილად გამოყენებას, უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ჩვენი საკრედიტო ორგანოების პროცენტი ანაბარებ თანხებზე მცირეა. თავისუფალ თანხის მქონე გლეხი ასეთ შემთხვევაში არჩევს ფულის ან სრულიად უმოქმედოთ გადანახვას, ან კერძოთ გასესხებას, საიდანაც ის უფრო მეტ სარგებელს გამოელის.

გარდა ამისა არანაკლებ მავნე გავლენას ახდენს ანაბარებ თანხების ზრდაზე ჩვენი საკრედიტო დისციპლინის მერყეობა, რაც გამოიხატება ფულის მიღება-გაცემის დაგვიანებაში და რაც ერთგვარ უნდობლობას უნერგავს მოსახლეობას საკრედიტო დაწესებულებებისადმი.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს შემდეგი უარყოფითი მოვლენაც. საკრედიტო დაწესებულებები ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში უმთავრესად სახელმწიფოს სალაროდან გაღებულ თანხებით მუშაობენ. მაგალითად საბჭოთა ხელისუფლების მიერ სას.-სამ. კრედიტის სისტემაში დაბანდებულია თითქმის ორნახევარჯერ მეტი თანხა, ვიდრე ეს მეფის რუსეთში იყო. ეს თავისთავად გასაგებია, რადგან სოფლის მეურნეობის აღორძინება-განვითარებას ჩვენ უდიდეს მნიშვნელობას ვაკუთვნებთ. მაგრამ ამავე დროს ასეთ მდგომარეობამ ერთგვარი უარყოფი გავლენაც მოახდინა სას.-საკ. ამხანაგობათა მუშაობაზე.

მან მოადუნა ამ ორგანოების მიდრეკილება ანაბარების აკრეფის გაძლიერებისაკენ და თავიანთ სამუშაო თანხის ამ საშუალებით გაძლიერებისაკენ. დღეს სახელმწიფო სალარო იმდენად შეზღუდულია, შექმნილ სამეურნეო სიძნელეთა გამო, რომ ის იძულებულია შეამციროს კრედიტები წინანდელთან შედარებით.

ამიტომ სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა წინაშე მთელი თავის სიმწვავით სდგას გლეხთა ფულადი ანაბარების გაძლიერების ამოცანა. ეს საჭიროა საკრედიტო ამხანაგობების არა მარტო ფინანსიურ საშუალებათა გასაძლიერებლათ, არამედ მათ მუშაობის გაცხოველება-გაჯანსაღებისათვისაც. ამიტომ საჭიროა პირველყოვლისა გადიდებულ იქნას სარგებელი ანაბარებ თანხებზე ერთი მხრივ და განმტკიცებულ იქნას საკრედიტო დისციპლინა.

ცხადია, მარტო საკრედიტო ამხანაგობები ვერ შესძლებენ ამ ამოცანის დაძლევას, თუ მათ აქ დახმარება არ გაუწიეს ყველა პარტიულ,სახელმწიფო, პროფესიულ და სხვა სახის საზოგადოებრივ ორგანიზაციებმა.

ეს დახმარება უნდა იყოს არა მარტო იდეური და ზნეობრივი, არამედ, რაც უმთავრესია, რეალური, ფინანსიური. მათ სხვაზე ადრე უნდა შეიტანონ ანაბარები საკრედიტო ამხანაგობებში და ამით ხელი შეუწყონ სას.-სამ. საკრედიტო სისტემის ფინანსიურ და იდეურ ავტორიტეტის ზრდას.

ი. ს—ძე.

წერილი ინგლისიდან

რვა საათის სამუშაო დღე

(ჩვენი კორესპონდენტისაგან).

[illegible] უნდა გავაფრთხილოთ მუშები იმ ოპტიმიზმის წინააღმდეგ, რომელსაც იჩენს პრესის ერთი ნაწილი გასულ კვირას ლონდონში გამართულ კონფერენციისადმი რვა საათის სამუშაო დღის შესახებ. ცხადია, ხუთი სახელმწიფოს წარმომადგენლები სავსებით შეთანხმდენ ვაშინგტონის ხელშეკრულობის ზოგიერთი მუხლის ახსნა-განმარტებაში. ეს კონფერენცია თითქოს გამართული იყო ზოგიერთი მუხლის განსამარტებლად, მაგრამ ამას თავის თავად უნდა მოჰყვეს თვით ამ ხელშეკრულობის დამტკიცება.

ჩვენ აქ არ განვაახლებთ იმ კრიტიკას, რომელიც გამოიწვია ვაშინგტონის ხელშეკრულობამ. გავიხსენოთ მხოლოდ, რომ 46 საათიანი კვირა და 8 საათის სამუშაო დღე სრულიადაც არ არის აღიარებული სავალდებულოდ. ამას მოჰყვა შენიშვნები და გამოკლებანი, რომელთა შესახებაც სახელმწიფოთა შორის ჯერაც არ შექმნილა ერთიანი შეხედულობა ამ 7 წლის განმავლობაში. ამბობენ, ვითომ ლონდონის კონფერენციაზე მოსპობილ იქნა ეს უთანხმოებანიო. მაგრამ, ლონდონის კონფერენციამ კი არ მოსპო ეს შენიშვნები, არამედ, პირიქით, დაადასტურა. სახელმწიფონიც სწორედ ამაზე შეთანხმდენ.

მაშ როგორია მდგომარეობა, რომელიც არსებითად არ შეცვლილა?

ვაშინგტონის ხელშეკრულობა დამტკიცებულ იქნა მხოლოდ ექვსი სახელმწიფოს მიერ: ჩეხო-სლოვაკიისა, საბერძნეთისა, ბოლგარეთისა, რუმინეთისა, ჩილისა და ინდოეთის მიერ. (ინდოეთისათვის ინგლისმა პრინციპათ მიაღებინა 60 საათი. იაპონიამაც მიიღო მსგავსი გამონაკლისი აბრეშუმის წარმოებისთვის და 57 საათი სხვა ინდუსტრიისთვის.) რაც შეეხება ევროპიულ დიდ სახელმწიფოებს, რომლებიც ერთმანეთ შორის ეწევიან დაუზოგავ სავაჭრო და საწარმოვო კონკურენციას, აქნობამდის არც ერთს არ დაუმტკიცებია ეს ხელშეკრულობა.

ამისი პირველი მაგალითი თითქოს ინგლისს უნდა ეჩვენებინა, სადაც პრაქტიკულათ არსებობს 48 საათის სამუშაო კვირა. 1924 წელში მუშათა მთავრობამ კიდეც შეიმუშავა სათანადო კანონპროექტი, მაგრამ არ წარუდგენია პარლამენტში დასამტკიცებლად. იმავე წლის სექტემბერში კონფერენცია გაიმართა ბერნში საფრანგეთის, ბელგიის, გერმანიის და ინგლისის შრომის მინისტრებს შორის, რომ გამოეძებნათ გზები—ამ ხელშეკრულობის ერთხმად დამტკიცებისთვის, მაგრამ ეს ვერ მოხერხდა.

კონსერვატორების მთავრობამ ხომ სულ არივ-დარია მდგომარეობა. ლონდონის კონფერენციაზე სირ სტილ — მეტლანდმა განაცხადა: „ჩვენ ვაშინგტონის ხელშეკრულობაში აღმოვაჩინეთ მრავალი დაბრკოლებანი, რაც ნებას არ გვაძლევს დაუყოვნებლივ და შეუსწორებლივ დავამტკიცოთ იგიო“.

ეს დაბრკოლებანი კი ნომდინარეობენ გერმანიიდან, რომელიც მონურად დაუქვემდებარეს დაუესის გეგმას.

ცხადია, ეს დაბრკოლებანი დღესაც არსებობენ. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც მეპატრონეებისა და მუშების დელეგაციამ მიმართა მთავრობას, რომ გამოეძებნა რაიმე საშუალება და მოქიშპე ქვეყნები აეძულებინა შეემცირებინათ სამუშაო დღე. უცხოეთის კონფერენციას რომ გაუმკლავდეს, ინგლისმა შემოიღო პროტექციონიზმის უფლებანი, მაგრამ ამან მაინც ვერ შეანელა მისი ინდუსტრიის დაცემა.

მეორე მხრივ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ინგლისი ჩართულია დიდ იერიშებში 8 საათის სამუშაო დღის წინააღმდეგ (მაღაროებში 7 საათ.)

აქ ძალაუნებურათ იკითხავთ, რა განზრახვა ჰქონდა ინგლისის მთავრობას, როცა ლონდონში იწვევს ბერნში წარმოდგენილ სახელმწიფოებს და იტალიას?

აქ ორი რამ უნდა ვიფიქროთ: ან ინგლისის მთავრობა გულში დარწმუნებული იყო, რომ კონფერენცია ისევ ჩიხში მოექცეოდა, მაგრამ ამ ჟესტით მოიპოვებდა მუშათა კლასის სიმპატიას. ან შეამზადებდა ნიადაგს ამ ხელშეკრულობის დასამტკიცებლად, რითაც შეამცირებდა უცხოეთის კონკურენციას.

ვაშინგტონის ხელშეკრულობაში არის მეთოთხმეტე მუხლი, რომელიც ყველამ თავის სასარგებლოთ უნდა გამოიყენოს. ეს მუხლი გულისხმობს ხელშეკრულობის გაუქმებას ომისა და ეროვნული საფრთხის დროს. ბელგიას უნდოდა ამ მუხლით ესარგებლა ყოველ ეკონომიურ კრიზისის დროს. გერმანიას უნდოდა ის გამოეყენებია ზოგიერთი წარმოების კრიზისის დროს. ბოლოს, როგორც იქნა, მიაღწიეს შემდეგ შეთანხმებას, **ინგლისის თავშეკავებით, რომელიც მხოლოდ დროებით იღებს მას;** მეთოთხმეტე მუხლი შეიძლება გამოყენებულ იყვეს მხოლოდ ისეთ კრიზისის დროს, რომელიც არყევს ქვეყნის მეურნეობას იმ ზომამდე, რომ ემუქრება ხალხის ცხოვრებას.

ასეა თუ ისე, ლონდონის კონფერენცია დასრულდა ერთგვარი შეთანხმებით. ეს შეთანხმება არ არის მკვიდრი. ის თავის არსებაშივე ატარებს გახრწნის ნიშნებს. ამასთანავე ის დამტკიცებულ უნდა იქნეს არა მარტო ლონდონში წარმოდგენილ ხუთი სახელმწიფოს მიერ, არამედ ვაშინგტონის ხელშეკრულობის ხელის მომწერ სახელმწიფოების მიერაც.

განა არ შეიძლება, თუ რომელიმე სახელმწიფო დაინტერესებულია ხელშეკრულობის არ დამტკიცებაში, მოულოდნელად გამოიწვიოს ესპანიის ან ბრაზილიის ჩარევა?

მწარმოებელთა წრეები უკვე შეირყენ. მექანიკურ ინდუსტრიის მეპატრონეთა კონფედერაციის თავმჯდომარე ალან სმიტი აცხადებს, რომ ჯერ ყველა დაბრკოლებანი გარდალახული არ არის, რკინის გზის დირექტორებიც შტამპი და პოოლი —არა ჰფარავენ თავიანთ წინააღმდეგობას ხელშეკრულობის განხორციელებისადმი.

თუ ინგლისის კაპიტალისტები არავითარ სარგებელს არ ნახავენ ხელშეკრულობის განხორციელებაში, მაშინ ისინი ლონდონის კონფერენციის დადგენილებაში გამოსძებნიან ისეთ გამოსავალს, რომ თავი დააღწიონ მის ცხოვრებაში გატარებას.

ბოლოს კიდევ უნდა გავიმეოროთ, რომ ყოველგვარი ოპტიმიზმი ამ გარემოებაში სრულიად უადგილოა.

ქ. დავიდ.

ლონდონი, 24 მარტი, 1926 წ.

უკანასკნელი ცნობები

ჩვენი ბაზარი აინტერესებთ

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. ექსპორტიორთა კლუბში სიტყვა წარმოსთქვა საფეიქრო დარგის ექსპორტიორმა ფილზინგერმა, რომელიც ამერიკის საქმიან წრეებს ურჩევდა გაეგზავნათ მოსკოვში კომისია, რომელიც უზრუნველყოფს ამერიკის საქონლის გასაღებას საბჭოთა ბაზარზე, ფილზინგერი დაჟინებით არ მოითხოვს საბჭოთა კავშირის ცნობას, მაგრამ მისი აზრით, ამერიკელებმა დიდი მეტოქეობა უნდა გაუწიონ სხვა სახელმწიფოებს, რათა უზრუნველყონ თავისი საქონლის გატანა საბჭოთა ბაზარზე.

წყალწაღებულნი

პარიზი, 8 აპრილი. უცხოეთში მყოფ რუს თეთრგვარდიელების ყრილობის დელეგაცია ეწვია ყოფილ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძეს. მემარჯვენე მონარქისტები მოითხოვენ, რომ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ დაუყოვნებლივ მოიწვიოს აღმასრულებელი კომიტეტი. ტრეტიაკოვმა, რომელიც ფიქრობს, რომ გეგმების ეს წინასწარი გამომჟღავნება ემიგრანტების მოსახლეობის მასებს ჩამოაცილებს, ყრილობის დელეგაცია დემონსტრატიულად მიატოვა.

ნავთის აუზების აფეთქება

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. კალიფორნიაში, ქალაქ სან-ლუის-ობისკოში, მეხის დაცემის გამო აფეთქდა ნავთის აუზები, რომლებშიაც 8,700,000 ბოჭკა ნავთი იმყოფებოდა.

ზარალი დაახლოვებით 10,000.000 დოლარს უდრის.

თეთრგვარდიელთა რაზმებს მტრულად უცქერიან

ხარბინი, 8 აპრილი. ამერიკული გაზეთი „ნორდ ჩაინა სტარ", რომელიც ტიან-ძინში გამოდის, იტყობინება, რომ ტიან-ძინში მცხოვრები რუსები ცივად ხვდებიან რუს თეთრგვარდიელთა რაზმებს, რომელნიც ლი-ჩინ-ლინის არმიას ჩამოჰყვენ ტიან-ძინში და მათ „რუსეთის ნაყარ-ნუყარს" უწოდებენ.

„მატენ"-ის ცნობით, ტიან-ძინში მცხოვრები რუსები აცხადებენ, რომ მათ ურჩევნიათ საქმის დაჭერა „წითელ კომისარებთან", ვინემ „ამ მოღალატე თეთრების" წარმომადგენლებთან.

კატასტროფის წინ

ვარშავა, 8 აპრილი. რადგან ხაზინას არაფერი გააჩნია, პოლონეთის მთავრობამ აიძულა პოლონეთის ბანკი თვითონ უხადოს უცხოელებს სესხების პროცენტები ბანკის სავალუტო ფონდიდან, რომელიც გამომუშავებულ ბანკნოტების გარანტიად ითვლება.

ამის გამო კიდევ უფრო დაეცა ზლოტის კურსი.

მიუხედავად იმისა, რომ სასტიკად აკრძალულია უცხოეთის ვალიუტით კერძო ვაჭრობა, დოლარი შავ ბირჟაზე 9 ზლოტზე მეტს ფასობს.

უმუშევართა ახალი დემონსტრაციები

ვარშავა, 8 აპრილი. 8 აპრილს ვარშავაში და ლვოვში კვლავ გაიმართა უმუშევართა დემონსტრაციები.

დემონსტრანტები პოლიციამ გარეკა.

მექრთამე ვეისის საქმე

ვენა, 8 აპრილი. ვენის სასამართლოში დაიწყო ვენის რადიკალ-დემოკრატიული გაზეთის „აბენდ"-ის მთავარ რედაქტორ ვეისის საქმის გარჩევა. ვეისს აბრალებენ მექრთამეობას.

საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია

პარიზი, 9 აპრილი. საერთაშორისო ეკონომიური კონფერენციის მომმზადებელ კომისიის მუშაობა დაიწყება ჟენევაში 26 აპრილს.

პოლ ბონკური პოლონეთში

ვილნო, 8 აპრილი. ფრანგი სოციალისტი **პოლ ბონკური** (საფრანგეთის წარმომადგენელი ერთა ლიგაში), რომელიც პოლონეთში იმყოფება, როგორც „პოლონეთის მთავრობის სტუმარი", ჩამოვიდა ვილნოში. პოლ ბონკურმა მოიარა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის და პოლონეთ-ლიტვის საზღვრები და პოლესიე, სადაც გაეცნო პოლონეთის განაპირა მხარეების მდგომარეობას.

ამხ. სერებრიაკოვი ხარბინში

ხარბინი, 9 აპრილი. საბჭოთა კავშირის გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრის **სერებრიაკოვის** ხარბინში ჩამოსვლას ზეიმით შეხვდენ.

სერებრიაკოვს შეხვდენ ჩინელების წარმომადგენლები ჩინეთის ჯარების მთავარსარდალის ჯან-ხუან-სიანის და აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე **ლიუ-ჯაუნ-ხუანის** მეთაურობით.

მისასალმებელ სიტყვაში ლიუ-ჯაუნ-ხუანმა სიხარული გამოსთქვა სერებრიაკოვის ჩამოსვლით და განაცხადა, რომ ის პირველი პიონერია, რომელმაც მოახდინა აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის გამგეობის მუშაობის რეორგანიზაცია. მისალმების დასასრულს მან იმედი გამოსთქვა, რომ სერებრიაკოვის ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ყველა სადავო საკითხების მოგვარებას.

ჩიჩერინის განცხადების გამოძახილი

ბერლინი, 8 აპრილი. ოფიციოზი „დიპლომატიშე პოლიტიშე კორესპონდენც" ეხება **ჩიჩერინის** უკანასკნელ განცხადებას ერთა ლიგის შესახებ.

ოფიციოზის აზრით არ არის მართალი ჩიჩერინის მტკიცება, თითქოს უცხოეთის სახელმწიფოებს არ სურდეთ საბჭოთა კავშირის მონაწილეობა განიარაღების კონფერენციაზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ კონფერენციის შვეიცარიიდან სხვა ადგილას გადატანა—ეს იმას ნიშნავდა, რომ მხედველობაში მიღებული ყოფილიყო მხოლოდ ერთად-ერთ საბჭ. კავშირის ინტერესები და მოთხოვნილებები. კონფერენციის სხვა ადგილას დანიშვნა ამას გარდა გამოიწვევდა ტეხნიკურ სიძნელეებს მისი მუშაობისათვის.

ოფიციოზი კატეგორიულად ეწინააღმდეგება ჩიჩერინის მტკიცებას, რომ გერმანიას აღებული აქვს ცალმხრივი ორიენტაცია დასავლეთზე.

დასასრულ გაზეთი აცხადებს, რომ როგორც სჩანს, საბჭოთა კავშირი გერმანიის პოლიტიკის დასავლეთის ორიენტაციად სთვლის გერმანიის დაახლოვებას არა საფრანგეთთან, არამედ ინგლისთან.

ამერიკა და ერთა ლიგა

ბერლინი, 9 აპრილი. ჟურნალისტებთან საუბრის დროს, კულიჯმა განაცხადა, რომ თუმცა ამერიკა გამოსთქვამს სურვილს მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამართლიანობის დამყარების საქმეში,—**ის მაინც არ ჩაერევა ერთა ლიგის საქმეში, ხანამ მას არა სურს მისი წევრობა**—ამასთან ერთად კულიჯმა სთქვა, რომ ამერიკას სურს მონაწილეობის მიღება განიარაღების კონფერენციაზე, რადგან ფიქრობს, რომ შეიარაღებულ ძალთა შემცირება საჭიროა საერთო მშვიდობიანობისათვის.

2500 შტრეიკბრეხერი

ვენა, 8 აპრილი. რუმინეთში როჟეცის ქარხნებში გაიფიცენ მუშები, რომელნიც მოითხოვენ ხელფასის გადიდებას 10 პროცენტით. მეწარმოებლებმა ანგარიში გაუსწორეს 8.500 მუშას და მოლაპარაკება გამართეს გერმანიის ელჩთან ბუქარესტში გერმანიიდან 2.500 კვალიფიციურ მუშების გამოგზავნის შესახებ.

მუშათა საერთაშორისო მოძრაობა

ინგლისის მუშების ბრძოლა

ლონდონი, 8 აპრილი. ლანკაშირის სამთო-მადნო მუშების კავშირის კონფერენციამ (კავშირი აერთიანებს 75,000 წევრს) ერთხმად უარჰყო მთავრობის სანახშირო კომისიის წინადადება მაღაროების მეპატრონეებთან შეთანხმების შესახებ. კონფერენციამ გაილაშქრა კერძოთ სამუშაო ხელფასის შემცირების წინააღმდეგ.

კუკის განცხადება

ლონდონი, 9 აპრილი. ნახშირის საკითხი დღეს რამდენიმედ გამოსწორდა. მაღაროს მუშების კონფერენციის მოლოდინში (კონფერენცია მოწვეულ იქნება პარასკევს) მაღაროს მუშების ფედერაციის აღმასკომმა ითათბირა ტრედ-იუნიონების კონგრესის კომიტეტთან, რის შემდეგაც იგი იხილავდა ტაქტიკის საკითხებს.

მაღაროს მუშების ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **კუკმა** განაცხადა, რომ აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ხვალ ეცნობება მაღაროს მუშების ნაციონალურ კონფერენციას. ამასთანავე მან არ გამოაქვეყნა ამ გადაწყვეტილების შინაარსი. გაზეთების მუშათა განყოფილების კორესპონდენტები იუწყებიან, რომ აღმასკომის მიერ მიღებული თვალსაზრისი მაღაროს მუშების კონფერენციას მისცემს ისეთ მიმართულებას, რომელიც იმდენად ფართოთ გააღებს კარებს რამდენათაც ეს შესაძლებელია".

კონფერენციის ამოცანას შეადგენს ენერგიულად იბრძოლოს ხელფასის შემცირების წინააღმდეგ.

მაღაროების მეპატრონეების წინადადება ამ საკითხზე ჯერ არ არის საბოლოოდ გამორკვეული. ადვილი შესაძლებელია, რომ აღმასკომი ურჩევს კონფერენციას მოითხოვოს წინასწარ ამ წინადადებათა სისწორით განსაზღვრა.

უმუშევრობა

ლონდონი, 9 აპრ. უმუშევართა რიცხვი ინგლისში შემცირდა 25.754 კაცით და ამჟამად უდრის 1.013.600 კაცს.

აღმოსავლეთის ცხოვრება

სტამბოლი, 9 აპრილი. „ტან"-ის კორესპონდენტის ცნობით, საკითხმა საელჩოების კონსტანტინოპოლიდან ანგორაში გადატანის შესახებ მწვავე ხასიათი მიიღო. იმ მოსაზრებით, რომ ანგორაში არ მოიპოვება სათანადო ბინები, ზოგიერთი მთავრობა, მათ რიცხვში ინგლისის მთავრობა თავის წარმომადგენლებს კონსტანტინოპოლში სტოვებს. ყოველ მნიშვნელოვან საქმისთვის დიპლომატიური წარმომადგენლები მიემგზავრებიან ანგარიში. წარმომადგენლობის გადატანას ანგორაში განსაკუთრებით ეწინააღმდეგება ინგლისი. ოსმალეთის მთავრობას განზრახული აქვს მოუსპოს კრედიტები ოსმალეთის გარეშე საქმეთა სამინისტროს მუდმივ დელეგაციას კონსტანტინოპოლში. ამ შემთხვევაში კონსტანტინოპოლში მყოფი უცხოეთის წარმომადგენლები მოკლებული იქნებიან საშუალებას შეასრულონ თავისი მიმდინარე სამუშაო და იძულებული იქნებიან წარმომადგენლობა ანგორაში გადაიტანონ.

ანგორა, 7 აპრილი. ჟურნალისტებთან საუბარში ტრანსიორდანიის **ამირმა აბდულამ** განაცხადა, რომ თუმცა ცნობა ტრანსიორდანიის აღმოსავლეთის ნაწილის ზოგიერთ ტომების ვახაბიტებთან შეერთების შესახებ სიმართლეს წარმოადგენს, მაგრამ ვახაბიტების შემოჭრა ტრანსიორდანიაში არ არის მოსალოდნელი.

აბდულამ უარჰყო ცნობა, თითქოს მას ეთხოვოს ტახტიდან გადადგომა.

დეკრეტმა ტრანსიორდანიაში არაბთა ლეგიონის დაშლის და ჩერქეზთა რაზმების შექმნის შესახებ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. **არაბი ჯარისკაცები უარს ამბობენ იარაღის ჩაბარებაზე.**

შენიშვნა: ტრანსიორდანია ფორმალურად დამოუკიდებელ სახელმწიფოს წარმოადგენს. ის დაარსებულ იქნა ინგლისის მიერ, პალესტინიდან გამოყოფის მიზნით. 1921 წელს მარტში ტრანსიორდანია დამოუკიდებელ საამიროდ გამოცხადდა. ამირად არჩეულ იქნა აბდულა, ჰეჯასის ყოფილ „მეფის" ჰუსეინის ერთ-ერთი შვილი. ფორმალურად ამირა ქვეყანას განაგებს მინისტრთა საბჭოს და საკანონმდებლო-სათათბირო კრების შემწეობით.

ტრანსიორდანიის სახელმწიფოს დაარსება გამოწვეულ იყო მთელ რიგ მოტივებით. პალესტინის ნაწილიდან—ტრანსიორდანიიდან არაბთა სახელმწიფოს შექმნით ინგლისი ცდილობდა დაეთანხმებია არაბები „ებრაელთა კერის" შექმნაზე თვით პალესტინაში. ამასთან ერთად ტრანსიორდანიაში არაბთა სახელმწიფოს დაარსებით ინგლისს საშუალება ეძლეოდა განეცხადებია, რომ ის ხელს უწყობს არაბთა დამოუკიდებელ სახელმწიფოების შექმნას. მაგრამ არაბთა მოსახლეობა სრულებით არ დაკმაყოფილდა უდაბურ ტრანსიოდანიიდან არაბთა სახელმწიფოს შექმნით, (რომელსაც უნდა გადაეტანა მოხეტიალე ბედუინების თარეში და ამასთანავე დაეცვა სიონისტებიდან) და თვით პალესტინაში „ებრაელთა კერის" დაარსებით. მეორე მხრით სავსებით აშკარა იყო „დამოუკიდებელ საამიროს" კომედია. ნამდვილად ტრანსიორდანიის ბატონ-პატრონი არის ინგლისის „რეზიდენტი", რომელიც ამირა აბდულასთან იმყოფება და ემორჩილება ინგლისის უმაღლეს კომისარს პალესტინაში.

1924 წლის მაისამდე ამირა აბდულა ინგლისის მთავრობიდან ღებულობდა ყოველწლიურ სუბსიდიას 150.000 გირ. სტერლინგს. ამირა აბდულას სამხედრო ძალას წარმოადგენს 1.200 ჯარისკაცი, რომელსაც ეწოდება „არაბთა ლეგიონი" და რომელსაც სათავეში უდგას ინგლისელი ოფიცერი. ამ უკანასკნელ დროს ინგლისი ცდილობს ტრანსიორდანია ყოველმხრივ პალესტინას დაუმორჩილოს და მოსპოს „დამოუკიდებელი საამირო".

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

კურორტები გლეხებისათვის

მოსკოვი, 9 აპრილი. ერთი თვის შესვენების შემდეგ 25 აპრილს იხსნება ლივადიის კურორტი გლეხებისათვის. საწოლების საერთო რაოდენობა 300-დან აყვანილია 400-მდე.

გლეხებს დაეთმობათ აგრეთვე 400 ადგილი ტალახით სამკურნალო კურორტებზე პიატიგორსკისა, სერგიევის მინერალ. წყლებსა და აგრეთვე ციმბირის და შორეულ აღმოსავლეთის კურორტებზე. ალუპკას და გელენჯიკის სანატორიუმებში 60 ადგილი დათმობილი აქვთ გლეხების ბავშვებს.

სასოფლო საბჭოების გადარჩევა

მოსკოვი, 9 აპრილი. უკრაინაში სასოფლო საბჭოების ხელახალი არჩევა დამთავრდა. არჩევნებში ამომრჩეველთა ნახევარზე მეტი იღებდა მონაწილეობას. ახალ საბჭოებში არჩეულია 240.000 დეპუტატი, მათ შორის 18.000 კომუნისტი. არჩეულთა შორის უმრავლესობას ღარიბი და საშუალო გლეხები წარმოადგენენ.

მძიმე ატლეტიკა

მოსკოვი, 9 აპრილი. 8 აპრილს გაიხსნა საკავშირო შეჯიბრება მძიმე ატლეტიკის დარგში. შეჯიბრებაზე მონაწილეობის მისაღებად დაახლოებით 150 სპორტსმენი ჩამოვიდა.

საკავშირო ცაკის სესიისათვის

ამხ. მიხა ცხაკაიას განცხადება

მოსკოვი, 9 აპრილი. საკავშირო ცაკის სესიაზე დასასწრებათ ჩამოვიდა 110 დელეგატი. ჩამოვიდნენ ყაზახისტანის, თათრების რესპუბლიკის, ცენტრალურ გუბერნიების და სხვ. დელეგატები.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ და საკავშირო ცაკის პრეზიდიუმის წევრმა მიხა ცხაკაიამ განაცხადა:

„ომის და რევოლიუციის მომდევნო პერიოდის განსაკუთრებული პირობების გამო ამიერ-კავკასიის ფედერაციაში შემავალი რესპუბლიკები საქართველო, სომხეთი და აზერბეიჯანი მემამულეების და ბურჟუაზიული კონტრ-რევოლიუციის უღლიდან უფრო გვიან განთავისუფლდენ, ვინემ სხვა საბჭოთა რესპუბლიკები. ამიტომ ამიერ-კავკასიის და მასში შემავალი რესპუბლიკები დაგვიანებით შევიდნენ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში. ამიტომ გასაგებია, რომ ამიერ-კავკასიის ცალკე რესპუბლიკებს, რომელთაც მემკვიდრეობით მიიღეს დანგრეული სახალხო მეურნეობა, არ შეეძლოთ წარსულის ნაშთის ერთბაშათ დაძლევა, რათა გაერთიანებულიყვნენ ამიერკავკასიის ფედერაციაში, საერთო კონსტიტუციით და საერთო ბიუჯეტით.

ამას უნდა მიუმატოთ ის, რომ მრავალ ერიანი და ტომიანი ამიერ-კავკასია, გარდა ბაქოს ნავთის რაიონისა, სრულებითაც არ არის ინდუსტრიალური ქვეყანა.

საბჭოთა კავშირის მუშურ-გლეხურმა მთავრობამ მტკიცედ გადასწყვიტა ახლო აღმოსავლეთში, ამ ყოველმხრივ მნიშვნელოვან რაიონში თავისი ძალების და რესურსების მიხედვით, გაეტარებია **ამიერ-კავკასიის გეგმიანი ინდუსტრიალიზაცია** და აეყვანა ჯეროვან სიმაღლეზე სასოფლო-მეურნეობა, რომელიც განსაკუთრებით ჩამორჩენილი იყო.

გახადა რა შემოსავლიანად ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურები, როგორც მაგალითად მებამბეობა, მევენახეობა, მეაბრეშუმეობა, მეთამბაქოება და სხვ., საბჭოთა რესპუბლიკების კავშირმა ეს ბუნებრივი შესაძლებლობით მდიდარი ქვეყანა ჩააყენა ისეთ პირობებში, რომ ის უკვე აღარ ჩამორჩება კავშირის სხვა რესპუბლიკებს.

ამიერ-კავკასიის პარტიულ ორგანიზაციების, აგრეთვე ამიერ-კავკასიის და ადგილობრივ რესპუბლიკების ყველა საბჭოთა ორგანოების მთელი ყურადღება სწორად ამ მხრით არის მიქცეული.

ამასთანავე ერთად ჩვენ არასოდეს არ ვივიწყებთ ჩვენი თანამედროვე საერთო საბჭოთა პოლიტიკის წინასწარ პირობებს. ჩვენ ვამტკიცებთ მუშების და გლეხების კავშირს მოჯამაგირეთა და საშუალო ელემენტების საშუალებით. ჩვენ ვაფართოებთ და ვანვითარებთ კოოპერაციას და ვაცხოველებთ საბჭოების მუშაობას უპარტიო მასების აქტივის ჩაბმით ამ მუშაობაში.

ჩვენ ვცდილობთ საბჭოთა ხელისუფლების დაბალ საფეხურის ორგანოებში შევქმნად ნამდვილი საბიუჯეტო დისციპლინა და მოვაწყოთ სამაზრო და სათემო ბიუჯეტი.

უკანასკნელ ორი წლის მუშაობის წყალობით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაცია მუდამ იქნება დიადი საბჭოთა კავშირის ღირსეული წევრი.

მშრომელთა ყველა მეგობრების სასიხარულოდ და კომუნიზმის ყველა მტრების, იმპერიალისტების და მათი ლაქია მენშევიკების, ყველა ჯურის რეფორმისტების სამწუხაროდ—ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაცია დღითი დღე იზრდება პოლიტიკურად და ეკონომიურად.

საბიუჯეტო კომისიის პლენუმი

მოსკოვი, 9 აპრილი. საბიუჯეტო კომისიის პლენუმზე 7 აპრილს ქვე-კომისიის სახელით ამხ. **ჩუცკაევი** მოხსენებას კითხულობს გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამართველოს და სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის შესახებ.

ჩუცკაევი აღნიშნავს, რომ გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებულ იქნა 37,122,778 მანეთის რაოდენობით. ქვე-კომისია დაწვრილებით გაეცნო ამ ხარჯთაღრიცხვას. უკანასკნელს არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია და ქვე-კომისია მოითხოვს დამტკიცებულ იქნეს ის იმავე რაოდენობით, როგორც სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო, პლენუმი ადგენს გაერთიანებულ სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულ იქნეს იმ რაოდენობით, რომელიც სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოანგარიშებულია—584.638.400 მან. რაოდენობით, ხარჯები სპეციალურ ჯარებისათვის კი—36,821,000 ანეთის რაოდენობით. სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯები საერთო ბიუჯეტში 15 პროცენტს წარმოადგენს.

შემდეგ გამოვიდენ კომისიის წევრები, რომლებმაც აღნიშნეს, რომ სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის ცალკე მუხლებისათვის გადადებული თანხები არ არის საკმაო. აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმმა დაამტკიცა სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა 595 მილ. მანეთის რაოდენობით, ხოლო სპეციალურ ჯარების ხარჯთაღრიცხვა 36,825,000 რაოდენობით.

სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ ქვეკომისიის წარმომადგენელი ეხება 1924—25 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგებს და აღნიშნავს, რომ ამ ბიუჯეტის შესრულების შემდეგ ნაშთი 20 მილ. მანეთით განისაზღვრა.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ პლენუმი ადგენს 1925—26 წლის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში შეტანილი იქნეს 20 მილ. მანეთი, როგორც თავისუფალი გადარჩენილი თანხა 1924—25 წლის ბიუჯეტის შესრულებიდან.

ზანგვილი ჯამს უკეთებს ქვე-კომისიის მუშაობას შემოსავლის ნაწილის გამოსარკვევად და ლაპარაკობს:

„ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი, წარმოდგენილ ბიუჯეტში შეტანილ თანხასთან შედარებით, სულ გაღებულია 65.836.148 მანეთით. შემცირება მოხდა 27.365.000 მანეთით. ბიუჯეტის მთელი საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრება—4.039.918.521 მანეთით.

ქალთა მოძრაობა გერმანიაში

გერმანიის მრეწველობაში მუშა-ქალებს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ. მუშა-ქალები მთელი გერმანიის პროლეტარიატის ერთ მესამედს შეადგენენ. მათი რიცხვის გადიდებას ხელს უწყობს მრეწველობის ე. წ. „რაციონალიზაცია", რაც კვალიფიციური მუშების ქუჩაში გამოყრაში და მათ ადგილას იაფი მუშა-ხელის—ახალგაზრდა მუშა-ქალების მიღებაში გამოიხატება.

მუშა-ქალების შრომის ხელფასი საშუალოთ 30-40%-ით ნაკლებია მამაკაცების ხელფასთან შედარებით, ზოგიერთ დარგებში კი—50%-მდე.

26 მილიონი ქალიდან მხოლოდ მცირე ნაწილია შეკავშირებული და რაც შეკავშირებულია, ისიც გაფანტულია სხვადასხვა კავშირებში, რომლებსაც უმთავრესად ბურჟუაზიული პარტიები ხელმძღვანელობენ. ყველაზე მძლავრი პროლეტარული ქალთა ორგანიზაცია შედის რეფორმისტულ პროფკავშირთა სრულიად გერმანიის გაერთიანებაში. 1925 წ. ამ ორგანიზაციის მუშა-ქალების რიცხვი შემცირდა 1923 წ. შედარებით. ამ ორგანიზაციაში

	სულ იყო წევრი	მუშა-ქალები
1923 წ.	5.741.000	1.200.000
1924 წ.	3.975.000	763.000
1925 წ. (ივნისში)	4.194.000	777.000

რეფორმისტულ პროფკავშირებში წევრი მუშა-ქალები არავითარ როლს არ თამაშობენ. მხოლოდ ზოგიერთ პროფკავშირების აღმასკომებში არიან ქალები, ისიც ძალიან ცოტა. ქალთა პროფმოძრაობის ორგანოა რეფორმისტული „გევერკშაფტლიხე ფრაუენცაიტუნგ".

ქალების დიდი პროცენტი გაერთიანებულია „ქრისტიანულ პროფკავშირებში". ქრისტიანულ პროფკავშირებში გაერთიანებული იყო.

	სულ წევრები	ქალები
1923 წ.	937.000	230.000
1924 წ.	605.000	160.000

უკანასკნელი წლების განმავლობაში მუშა-ქალების რიცხვი „ქრისტიანულ პროფკავშირებში" გაიზარდა, მაგრამ სტატისტიკური ციფრები არ მოიპოვება. „ქრისტიანულ პროფკავშირებთან" ახლო მდგომ კათოლიკურ და პროტესტანტულ პროფკავშირებში 1923 წ. 100.000 მუშა-ქალი იყო გაერთიანებული. გარდა ამისა გირშ-დუნკერის პროფკავშირებში, რომლებსაც დემოკრატები ხელმძღვანელობენ 1921 წ. სულ 225.000 წევრი იყო, მათგან—23.000 მუშა-ქალი.

ყველაზე დიდ ბურჟუაზიულ ქალთა ორგანიზაციას წარმოადგენს „გერმანიის ქალთა კავშირების გაერთიანება", რომელიც მილიონ წევრს აკავშირებს. ამ გაერთიანებაში 3.933 კავშირი შედის. თუმცა ეს კავშირები, წესდების თანახმად, განზე დგანან კლასობრივ ბრძოლიდან, მაგრამ მათი ბელადები ბურჟუაზიულ პარტიებს ეკუთვნიან და ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებს იცავენ. გაერთიანების ორგანო „ფრაუ" კონტრ-რევოლიუციონური სულისკვეთებით არის გაჟღენთილი.

ბურჟუაზიულ პარტიებთან გაერთიანებაში და საერთოდ ქალთა მასაში ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობს ცენტრის პარტია, რაც განსაკუთრებით ნათელი შეიქნა არჩევნების დროს. ამ პარტიის გავლენის ქვეშ იმყოფება „კათოლიკური ქალთა კავშირი", რომელიც 250.000 წევრს აკავშირებს. ცენტრის პარტია ქალებისათვის სცემს მთელ რიგ გაზეთებს და ჟურნალებს („ფრაუენლანდე", „ხრისტლიხე ფრაუ", „იუგენდორგან", „ნახრისტენბლატტ" და სხვა). ყველა ეს გაზეთები არაფერს ამბობენ ისეთ დიდ საკითხზე, როგორიც არის ყოფილი მეფის გვარეულობის ქონების უსასყიდლოთ ჩამორთმევის საკითხი.

მეორე ბურჟუაზიული პარტია, რომელიც გავლენით სარგებლობს ქალებს შორის, არის ნაციონალისტების პარტია, რომელსაც ცენტრის პარტიის შემდეგ მეორე ადგილი უჭირავს არჩევნების დროს მიღებულ ქალთა ხმების რაოდენობით. ნაციონალისტური პარტიის მიერ დაარსებული ქალთა ორგანიზაციის ორგანო „დოიჩე ფრაუ" აშკარათ პოლიტიკური გაზეთია. იგი ილაშქრებს ქალების მონაწილეობის წინააღმდეგ წარმოებაში და მოუწოდებს ქალებს შეასრულონ თავისი „პირდაპირი დანიშნულება"—დაიცვან გერმანული რასის სიწმინდე.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის გავლენა ქალთა მოძრაობაზე სუსტია, სოციალ-დემოკრატიული ქალთა ორგანო „ფრაუენველტ" ცდილობს შეიტყოს გერმანელ ქალების წვრილ-ბურჟუაზიულ განწყობილებას. „ფორვერტს"-ის სპეციალური დამატება ქალებისათვის „ფრაუენშტიმმე" არ სცილდება ქველმოქმედების, კულტურისა და სხვა ამის საკითხებს, და არც ერთ წერილში არ ეხება კლასობრივ ბრძოლას.

კომპარტია უკანასკნელ ხანებში ენერგიულ მუშაობას აწარმოებს მუშა-ქალებს შორის. გარდა ყოველთვიური ჟურნალის „კომუნისტი ქალი". ბერლინში, ხემნიცში და ლეიპციგში რეგულარულად გამოდის გაზეთი „მშრომელი ქალი".

უცხოეთში

საფრანგეთი

ცრემლმადენი გაზები ბინის დამქირავებელთა წინააღმდეგ

17 მარტს, კლინიაკურის ქუჩა პარიზში, № 45 სახლის რაიონში არაჩვეულებრივ სურათს წარმოადგენდა. პოლიციის აგენტები, რომლებსაც თან ახლდა უბნის კომისარი თავისი მდივნით, თითქოს რაღაცას ელოდებოდენ. მოვიდა ველოსიპედისტ-პოლიციელთა რაზმი, რომელმაც დაიკავა „პოზიცია" სახლის წინ. რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდა მეორე რაზმი—ქვეითა პოლიციელების და დაიკავა № 45 სახლის ახლო მდებარე რაიონები.

დაბოლოს, დილის 9 საათზე, სახლს ქშენით მოუახლოვდა პოლიციის ნახევრათ საბარგო ავტომობილი, საიდანაც გამოვიდენ სპეციალური რაზმის აგენტები, რომლებიც არასოდეს არ ენახათ კლინიაკურის ქუჩის მცხოვრებთ.

ამ აგენტებმა გადმოიტანეს ავტომობილიდან მოგრძო ყუთი, გახსნეს იგი შეჩვეული ხელებით და შემდეგ დაიწყეს რაღაცას ჩამოცმა თავზე და პირისახეზე. ეს „რაღაც" თეთრი ნიღაბები აღმოჩნდა.

მათ გადმოიღეს ავტომობილიდან კიდევ ორი საგანი, მაგრამ გაჩერდენ და ელოდენ, სანამ სანიტარული ავტომობილი არ მოვიდა.

მაშინ პოლიციის რაზმები გაეშურენ სახლისაკენ. ქუჩაში დარჩა ოციოდე პოლიციელი, სწორეთ იმდენი, რამდენსაც პოლიციური „სტრატეგია" მოითხოვდა.

არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ სახლიდან გაისმა რაღაც რევოლვერის ყასროლის მსგავსი ხმა და კიდევ რამდენიმე წუთის შემდეგ პოლიციელების გამარჯვებული არმია გამოვიდა სახლიდან. რამოდენიმე პოლიციელს მოყავდა ორი გრძნობა დაკარგული ქალი. ქალები მოათავსეს სანიტარულ ავტომობილში და საავადმყოფოში გაგზავნეს.

ნახევარი საათის შემდეგ გამოძახებულ საბარგო ავტომობილზე დატვირთეს რაღაც ნახევრათ დამპალი ავეჯი და საოჯახო მოწყობილობა. პოლიციელები რიგობით დაეწყვენ და წავიდენ. პოლიციის კომისარმა ერთხელ კიდევ გადაავლო თვალი ბრძოლის ველს და რაზმს გაყვა. კლინიაკურის ქუჩამ თავისი ჩვეულებრივი ყოველდღიური სახე მიიღო.

რა მოხდა სახლში № 45?

ამ სახლში, რომელიც ეკუთვნის მდიდარ მეფუთხახორას ვინმე კიუნოს, უკვე 26 წლის განმავლობაში სცხოვრობდა კაზადის ქვრივი თავის ერთად-ერთი ქალიშვილით. დედა 60 წ. არის, ქალიშვილი—30. დედაშვილს ეჭირა ბინა, რომელიც ორ შკაფს უფრო ჰგავდა, ვიდრე ორ ოთახს.

მაგრამ კიუნო სულ სხვა აზრის იყო თავისი ოთახების ღირსებისა და კაზადის ქვრივის კანონიერ შესაძლებლობათა შესახებ. იმ მიზეზით, რომ კაზადის ქვრივს „შემოსავლიანი ხელობა აქვს" (ეს „შემოსავლიანი ხელობა" მდგომარეობდა კლინიაკურის ქუჩაზე მცხოვრებ ღარიბი მოხელეების ცოლების თმის დავარცხნაში და კულულების გაკეთებაში), კიუნომ კაზადის ქვრივს მოსთხოვა ისეთი ბინის ქირა, რომელიც ორჯერ აღემატებოდა მის საბიუჯეტო საშუალებებს. ეს ეწინააღმდეგებოდა საფრანგეთში არსებულ კანონს ბინის დამქირავებელთა უფლების დაცვის შესახებ და კაზადის ქვრივმა უარჰყო კიუნოს მოთხოვნილებები.

მაგრამ კიუნოს ყავდა ადვოკატი, რომელსაც უყვარდა ლაპარაკი „მოყვასის შებრალების" შესახებ. შეებრალა მას „საბრალო" სახლის პატრონი და მისცა მას ლოგიკური რჩევა-დარიგება. ამის შემდეგ კიუნომ განაცხადა, რომ ბინა ესაჭიროება მის შვილისათვის, რომელმაც ახლახან მიიღო ექიმის დიპლომი და სურს პრაქტიკა აწარმოოს.

თუმცა აშკარა იყო, რომ კაზადის ქვრივის ბინა (ორი ბნელი ყუთი) არაფერი გამოსადეგია ექიმის პრაქტიკისათვის, მაგრამ სასამართლომ შეიბრალა საწყალი კიუნო და იპოვა „კანონიერი" საბაბი და კაზადის ქვრივს გამოსახლება მიუსაჯა.

მაგრამ კაზადის ქვრივს არ ჰქონდა სხვა თავშესაფარი, გარდა ამისა მისი არსებობის წყარო მჭიდროთ იყო დაკავშირებული კლინიაკურის ქუჩასთან და ამიტომ გადასწყვიტა არ დამორჩილებოდა სასამართლოს დადგენილებას.

სასამართლოს აღმასრულებლის უწყებების წარდგენაზე მან უარი განაცხადა, საუბნო კომისარის გამოძახებაზე არ გამოცხადდა და როცა კომისარი თვით გამოცხადდა ასეთი ურჩობით გაბრაზებული, კაზადის ქვრივმა არ მოისურვა მისი ნახვა და კარი არ გაუღო.

ბ-ნი კიუნო გაცხარდა, ბრალს დებდა მთავრობას სასამართლოს ავტორიტეტის ფეხქვეშ გათელვაში. საუბნო კომისარიც გუნებაზე აღარ იყო მისი ღირსების ასე დამცირებისათვის. საჩივარი-საჩივარზე მიდიოდა სასამართლოს თავმჯდომარის, პოლიციის თავმჯდომარის და თვით იუსტიციის მინისტრის სახელზე.

მაშინ სასამართლოს და პოლიციის წარმომადგენელთა თათბირზე გადაწყდა განაჩენის ძალით მოყვანა სისრულეში. მაგრამ, რომ არ გაეტეხათ კარები (ამის წინააღმდეგი იყო სახლის პატრონი), გადასწყვიტეს იმ საშუალებების გამოყენება, რომელიც მეცნიერებამ მისცა პოლიციას. გადაწყდა დედა-შვილის გამოდენა გარეთ ცრემლმადენი გაზების საშუალებით.

17 მარტს, დილით, როცა საუბნო კომისარი თავისი რაზმით მიუახლოვდა კაზადის ქვრივის ოთახის კარებს, ის სასტიკად იცავდა კანონსა და ჰუმანიურობას. მან სამჯერ დააკაკუნა კარზე და კანონის სახელით მოითხოვა კარის გაღება, როცა პასუხი არავინ გასცა, კარის ჭუჭრუტანებში ჩადვეს ორი ვაზნა გაზებით და ააფეთქეს.

მართლმსაჯულებამ გაიმარჯვა. გაიმარჯვა „საბრალო" კიუნომაც.

ი. მ.

პარიზის გაზეთების ცნობით საფრანგეთის ბინის დამქირავებელთა ასოციაციამ კაზადის ქვრივს ბინა უშოვნა, მაგრამ თურმე დაჰგვიანებიათ: ექიმების აზრით საეჭვოა რომ იგი გადარჩეს. ლოგინათ ჩავარდნილა მისი ქალიშვილი კი უკვე გადმოუყვანიათ ახალ ბინაზე.

სხვადასხვა

— **ცნობა იმის შესახებ, რომ რაბატში ჩავიდენ აბდ-ელ-ქერიმის ემისარები, გამართლებულია.**

ფრონტებზე ყველგან სიწყნარეა.

— **მუსოლინის ფრაზები.** კრეისერ „კავურ"-ზე მატროსების დათვალიერების დროს მუსოლინიმ განაცხადა: „ჩვენი მომავალი ზღვაზეა".

— **14 წლის ბავშვის წამება.** ქალაქ მექსიკის მახლობლად ბრბომ აწამა პატარა ბიჭი იმისათვის, რომ მან სცემა თავის დედას. ბავშვი მორთეს ეშმაკისებურად და აცვეს ჯვარზე.

— **ბელგრადის მორჩილი იარაღი.** ამ დღეებში ვენაში დაპატიმრებული იყო მთაშავეთის ნაციონალისტ-რევოლიუციონერი **ბუკოსან მარკოვიჩი.** მარკოვიჩი დაპატიმრებულია იმის გამო, რომ მისი დოკუმენტები საეჭვო იყო და რომ ის იარაღს ატარებდა უნებართვოთ.

რადიკალური გაზეთი „დერ-აბენდ"-ი აღნიშნავს, რომ ვენის პოლიცია წარმოადგენს იარაღს სამხრეთ-სლავიის მთავრობის ხელში.

— **ფრანგ სოციალისტების კონგრესი.** 23 მაისს კლერმონ-ფერრანში გაიხსნება საფრანგეთის სოციალისტური პარტიის ნაციონალური კონგრესი.

პარტიული ცხოვრება

მუშათა ახალი კადრების აღზრდა

წარმოების ზრდასთან ერთად უკანასკნელ წლების განმავლობაში გადიდდა მუშათა რიცხვიც. ასე მაგალითად, თუ დაახლოვებით ერთ-ნახევარ წლის წინათ საქართველოს პროფესიონალური კავშირი **105 ათას** წევრს აერთიანებდა, პროფკავშირთა უკანასკნელ ყრილობისათვის ეს რიცხვი **135 ათასზე ავიდა.** მაშასადამე საქართველოს მუშათა ლაშქარს ამ ხნის განმავლობაში 30 ათასიანი რაზმი შეუერთდა. ეს ახალი ლაშქარი უმთავრესად სოფლიდან მოვიდა ჩვენს წარმოებაში.

ეს გარემოება ჩვენი პარტიული ორგანიზაციების წინაშე წარმოებებში ფრიად რთულ და სერიოზულ ამოცანებს აყენებს.

სოფლიდან ქარხანაში ახლად მოსული მუშა გამსჭვალულია გლეხური ფსიქოლოგიით, ის სოფლის გავლენის ქვეშ იმყოფება. მას არა აქვს გავლილი საზოგადოებრივი მუშაობის სკოლა, ხშირად ჩამორჩენილია კულტურულად, ნახევრად წერა-კითხვის უცოდინარია და სხვ.

ეს ახალი მასა უნდა გამოიხარშოს პროლეტარულ ქვაბში. ის უნდა მოექცეს მტკიცე იდეოლოგიურ გავლენის ქვეშ, უნდა იქნეს ჩაბმული საზოგადოებრივ და პოლიტიკურ მუშაობაში და უნდა გაუთანასწორდეს თავის პოლიტიკურ თვითშეგნებით და მომზადებით მუშათა კადრებს. დასახულ მიზნის მისაღწევად საჭიროა მასიური მუშაობის გაძლიერება. ჩვენი მასიური მუშაობის ფორმები და მეთოდები უნდა შეუფარდოთ ამ ამოცანას. ამგვარ მუშაობის სირთულე და სერიოზულობა ხაზგასმით აღინიშნა ჩვენი პარტიის მე-14 ყრილობაზე.

უნდა ითქვას, რომ ეს მუშაობა ახალია და ჩვენ არ გვაქვს სათანადო გამოცდილება ამ დარგში. მუშათა ახალ კადრებში სხვადასხვა განვითარების და სხვადასხვაგვარი მოთხოვნილებებით აღჭურვილი ჯგუფები არსებობენ. გლეხური ახალგაზრდობა, მაგ., რომელსაც გავლილი აქვს წითელი არმიის და სოფლად საზოგადოებრივი მუშაობის სკოლა, გაცილებით უფრო მეტ აქტივობას და თვითმოქმედებას გამოიჩენს, ვიდრე სხვა ფენები.

არიან მუშათა ისეთი ჯგუფებიც, რომელნიც ქარხანა-წარმოებაში თავს დროებით სტუმრად გრძნობენ, რომლებიც დაკავშირებული არიან სოფლის მეურნეობასთან. მუშათა ამ კადრებს უფრო აინტერესებთ საბჭოთა ხელისუფლებისა და პარტიის საქმიანობა სასოფლო მეურნეობის განვითარება-გაუმჯობესების დარგში, მათ აინტერესებთ აგრონომიული ღონისძიებები და ისეთი საკითხები, რომლებიც სოფლის ცხოვრებას შეეხებიან.

ყველაფერი ეს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული აღმზრდელობითი მუშაობის წარმოების დროს. თვითეულ ამ ჯგუფს თავისებური მიდგომა, თავისებური ხელმძღვანელობის გაწევა ესაჭიროება.

ჩვენი პარტიის ძირითად ორგანიზაციებმა ამ მიმართულებით ფრიად რთული მუშაობა უნდა ჩაატარონ. ამ მუშაობაში მათ სიფრთხილე და გეგმა-შეწონილობა მართებთ.

ბ.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

უღარიბეს გლეხთა შორის მუშაობა

(თელავის სამაზრო ორგანიზაციაში)

8 მარტს შესდგა თელავის სამაზრო პარტკომის საორგანიზაციო კოლლეგიის სხდომა, რომლის დღის წესრიგში იდგა საკითხი ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის შესახებ.

ორგკოლლეგიის სხდომამ იქონია რა ამის შესახებ მსჯელობა გამოიტანა მთელი რიგი საქმიანი დადგენილებები ღარიბ გლეხკაცობის შორის მუშაობის შესახებ.

ეს პრაქტიკული წინადადებანი გამოიხატება შემდეგში:

1) ჩატარდეს კამპანია პარტიულ და კომკავშირის უჯრედების გაერთიანებულ კრებებზე და უპარტიო გლეხთა კრებებზე ჩვენი პარტიის ხაზის შესახებ გლეხთა საკითხში მე-14 პარტყრილობის დადგენილებების პოპულიარიზაცია ღარიბ და საშუალო გლეხებთან დამოკიდებულების შესახებ.

2) ჩამოყალიბდეს ღარიბ გლეხების ჯგუფები საბჭოს, კოოპერატივის და გლეხკომების წევრებისაგან ცალ-ცალკე იმ სოფლებში, სადაც არსებობენ კომუჯრედები და პირველ რიგში იმ ადგილებში, სადაც მიმაგრებული არიან კომუჯრედებზე მაზრის პასუხისმგებელი ამხანაგები.

3) ღარიბ გლეხთა ჯგუფების კრებების მოწვევა უნდა ხდებოდეს კომუჯრედის უშუალო ხელმძღვანელობით.

4) ჯგუფები არ წარმოადგენენ მუდმივ მომუშავე ორგანიზაციას, არამედ იხილავენ იმ საკითხებს, რომლებიც დასმულია ამა თუ იმ ორგანიზაციის წინაშე, რათა საკითხი გადაჭრილი იქნეს ღარიბების სასარგებლოდ საკითხის გადაჭრა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საშუალო გლეხების ინტერესებს.

5) ღარიბ გლეხების ჯგუფების კრებები უნდა იყოს ღია და ასეთებზე საშუალო გლეხების დასწრება არ უნდა იქნეს აკრძალული თუ კი უკანასკნელნი მოისურვებენ დასწრებას.

6) რომ უზრუნველყოფილ იქნეს პარტხელმძღვანელობა ღარიბ გლეხების ჯგუფებზე, ის საკითხები, რომლებიც უნდა გაირჩეს, კომფრაქციამ უნდა იქონიოს წინასწარი მსჯელობა. თავის დადგენილებების ღარიბ გლეხთა კრებისათვის ძალით თავზე მოხვევა კომფრაქციებმა არ უნდა დაუშვან; საკითხების განხილვა დასაშვებია კომფრაქციის დადგენილებების გამოტანამდე ღარიბ გლეხების ჯგუფების კრებებზე.

7) ღარიბ გლეხების ყოველ კრებაზე ირჩევა თავმჯდომარე და მდივანი, სდგება სათანადო ოქმი, რომელიც ინახება იმ ორგანიზაციის კომფრაქციაში ან კომუჯრედში, სადაც ასეთები არსებობს.

8) სოფლის ღარიბ გლეხკაცობის კრება უნდა ხდებოდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც წამოიჭრება მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა: საბჭოს, გლეხკომის, კოოპერატივის გადარჩევა, თვითი დაბეგვრა და სხვა.

9) კრებების მოწვევა დასაშვებია იმ სოფლებშიც, სადაც კომუჯრედი არ არსებობს, მხოლოდ უსათუოდ კომუჯრედის ხელმძღვანელობით.

10) კრებაზე მოწვეულ უნდა იქნეს საშუალო გლეხების აქტივიც.

12) ღარიბ გლეხების კრებაზე აუცილებლივ მოწვეულ უნდა იქნეს მოჯამაგირეები.

ორგკოლლეგიის სხდომამ მსჯელობა იქონია აგრეთვე სხვა მორიგ საკითხებზედაც.

სხდომამ მიზანშეწონილად სცნო სოფლის უჯრედებზე პასუხისმგებელ ამხანაგების მიმაგრება, რის შესახებ გამოიტანა სათანადო დადგენილება.

ორგკოლლეგიის სხდომის მიერ დამტკიცებულ იქნა თემკომების მუშაობის სამთვიანი გეგმა და აგრეთვე სასურველად იქნა ცნობილი პარტიულ კრებებისათვის და სხდომებისათვის კალენდარული დღეების შემოღება.

ც.

ტფილისის მაზრის სათემო აღმასკომების თავმჯდომარეთა თათბირი

1925-26 წლის სასოფლო სამეურნეო გადასახადის აკრეფის შესახებ

თათბირი აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფის დროს, ადგილი ჰქონდა ისეთ მიზეზებს, რომლებმაც აშკარად ხელი შეუშალეს კამპანიის დროზე ჩატარებას და შეაფერხეს გადასახადის ხაზინაში თავის დროზე შეტანა.

ეს მიზეზები გამოიხატება შემდეგში: 1) ადგილობრივად ზოგიერთ პასუხისმგებელ მომუშავეებს ემჩნეოდა გულგრილობა და არა სწორი მიდგომა გადასახადის აკრეფის საქმისადმი. 2) თემთა უმეტეს ნაწილში წინასწარ სიების შედგენის დროს, ცხადად გამოაშკარავდა ამ სიების შესადგენი ინსტრუქციისა და წესის აშკარა გაუთვალისწინებლობა, ე. ი. დასაბეგრი ობიექტები ბევრგან იყო აღნიშნული არა სწორად, რაშიდაც მთავარი ბრალი მიუძღვის თვით ადგილობრივ კომისიას, რომლის მუშაობამ გამოიწვია შეცდომები და გაუგებრობა. 3) ზოგიერთ თემებში პასუხისმგებელ თანამშრომლების მიერ ჩადენილ აშკარა ბოროტმოქმედებამ როგორც ფულის აკრეფის, ისე გადასახადებიდან განთავისუფლების თხოვნების გარჩევის საკითხში იქონია არა სასურველი ფსიქოლოგიური გავლენა მოსახლეობაზე. 4) ადგილობრივ მომუშავეებმა ვერ შესძლეს თავის დროზე გაეფანტათ გადამხდელების ის სრულიად უსაფუძვლო შეხედულება, რომელიც გამოწვეული იყო შარშანდელი ნარჩენების შეღავათებით და მათ შორის სრულიად განთავისუფლებით. ამ გარემოებამ ერთნაირი გავლენა იქონია გადამხდელებზე იმ მხრივ, რომ ისინი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მიმდინარე წელშიაც ეპატიებოდათ გადასახადი და შეგნებულად აჭიანურებდენ გადასახადების შემოტანას.

ყველა ზემოაღნიშნული მიზეზების გამო თბილისის მაზრას გადასახადების აკრეფის საქმეში უკავია არა სასურველი ადგილი: დღემდე აკრეფილია საშუალოდ მხოლოდ 75 პროც.

ვინაიდან კანონით გათვალისწინებული ყველა ვადები უკვე გასულია, თათბირი ერთხმად აღიარებს, რომ მიღებულ იქნეს დაუყოვნებლივ აუცილებელი ზომები დარჩენილ გადასახადების სავსებით ასაკრეფად 15 აპრილამდე.

კომუნალური აღმშენებლობა მაზრაში

თბილისის აღმასკომის კომუნალურ განყოფილების მიერ შემუშავებულ სააღმშენებლო გეგმას მაზრისათვის, თათბირი სცნობს მიზანშეწონილად და აღმასკომის რესურსებთან შეთანხმებულად. ამასთან კიდევ თათბირი საჭიროდ სცნობს დაუყოვნებლივ იქნეს გატარებული შემდეგი ღონისძიებანი:1. ბიუჯეტით გათვალისწინებული საამშენებლო თანხა მაზრისათვის დაუბრკოლებლად ეძლეოდეს მუშაობის მწარმოებელს იმ მიზნით, რომ გათვალისწინებული სამუშაოები თავის დროზე იქნეს შესრულებული.

2. დაევალოს ადგილობრივ მომუშავე პასუხისმგებელ ამხანაგებს ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ კომუნალურ განყოფილების სამაზრო სექციას ადგილობრივად მუშაობის წარმოების დროს.

3. ვინაიდან სამუშაო წლის გაყვანასთან დაკავშირებული თანხები დაფარული უნდა იქნეს სესხით, რომელიც გლეხობამ შემდეგ უნდა აანაზღაუროს, დაევალოს თემის პასუხისმგებელ ამხანაგებს,—დაუყოვნებლივ შეუდგენ წინასწარ მუშაობის წარმოებას—გლეხობის მოსამზადებლად.

4. ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების, სოფლის ზედმეტი უმუშევარი მუშა-ხელის ლიკვიდაციის და სოფლის მეურნეობა-მრეწველობის განვითარების მიზნით დაევალოს თემის პასუხისმგებელ ამხანაგებს საფუძვლიანად შეისწავლონ თავიანთი თემების მდგომარეობა ეკონომიური თვალსაზრისით და ახლო მომავალში წარმოადგინონ თბილისის აღმასკომში დაწვრილებითი ცნობები მრეწველობის განვითარების პერსპექტივების შესახებ.

ლენინის რაიკომის პრეზიდიუმში

(დადგენილება რკინისგზელთა უბკავშირის ფრაქციის მოხსენების გამო)

ლენინის რაიკომის პრეზიდიუმის სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. კალანდაძის მოხსენება რკინისგზელთა უბკავშირის ფრაქციის მუშაობის შესახებ. რაიკომის პრეზიდიუმმა ფრაქციის მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო, აღნიშნა მთელი რიგი მიღწევები მასიური მუშაობის გამოცოცხლების დარგში, რაც შედეგად მოჰყვა რკინისგზელთა საუბნო პროფკავ.-ის აპარატის დაახლოვების საკავშირო მუშაობასთან (პრეზიდიუმის ღია კრებების მოწყობის, ადგილკომების დეცენტრალიზაციის, კლუბის წევრთა რაოდენობის გადიდების, მასიურ ექსკურსიების მოწყობის და სხვ. გზით). ამავე დროს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს ფრაქციას ყურადღება მიაქციოს შემდეგ მომენტებს:

1) გაძლიერებულ იქნეს კავშირი პირველი საფეხურის ადგილკომებთან, ადგილკომების თათბირების მოწყობის და საინსტრუქციო მოხსენებების ჩატარების გზით.

2) შემოღებულ იქნეს სისტემად ადგილკომების გამოკვლევა მუშაობის შესასწავლად და დეფექტების გამოსასწორებლად.

3) ჯამი გაუკეთდეს საწარმოო და ეკონომიურ თათბირების მუშაობის გამოცდილებას და გამომუშავებულ იქნეს ღონისძიებები მუშაობის ამ დარგის გამოსაცოცხლებლად.

4) დამუშავებულ იქნეს გაერთიანებულ, ადგილკომებში შემავალ ცეხებში საცეხო რწმუნებულთა ინსტიტუტების დაარსების საკითხი.

5) რკინისგზელთა საუბნო პროფკავშირის მუშაობაში შეტანილ იქნეს გეგმიანობა, გაძლიერებულ იქნეს კავშირი რაიკომთან, რისთვისაც უკანასკნელს თავის დროზე უნდა ეგზავნებოდეს ფრაქციის ოქმები, ცნობები ყველა საკითხების შესახებ, რომელიც ფრაქციის დღის წესრიგში დაისმება, აგრეთვე შეთანხმებული უნდა იქნეს მუშაობის გეგმა.

6) რაიკომის განყოფილებებმა თავისი მუშაობის გეგმა უნდა შეუფარდონ რკინისგზელთა საუბნო პროფკავშირის ფრაქციას.

7) დაისვას თბილისის კომიტეტში რკინისგზელთა კავშირის წევრების მუშათა ცენტრალურ კლუბში და სხვა მუშათა კლუბებში მონაწილეობის საკითხი.

8) უბკავშირის ფრაქციამ უნდა გამოჰყოს კომისია რაიკომის წარმომადგენელთა მონაწილეობით, რომელიც შეისწავლის შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის მუშაობას.

9) წინადადება მიეცეს ფრაქციას მოაგვაროს კავშირი ახალგაზრდობის წარმომადგენელთან.

10) გაძლიერებულ იქნეს კლუბების მუშაობის ხელმძღვანელობა, ხშირ-ხშირად უნდა იმართებოდეს საკლუბო მუშაკთა თათბირები, რომელთა მუშაობაში შეტანილი უნდა იქნეს გეგმიანობა.

11) კლუბებში აღებულ იქნეს ხაზი ჯამაგირიან მუშაკების შემცირებისაკენ, მუშაობის ცენტრი გადატანილ იქნეს საკლუბო აქტივზე.

12) სასწრაფოდ ჩატარდეს წითელ კუთხეების მიმაგრება ძირითად კლუბებზე და კლუბების გამგეობებმა გააძლიერონ მათი ხელმძღვანელობა.

13) ადგილკომებს უნდა განემარტოთ, რომ ნებაყოფლობითი ორგანიზაციები დამოუკიდებელი არიან და მათი ხელმძღვანელობა სავსებით განხორციელებული უნდა იქნეს უჯრედების მიერ მათი ფრაქციების საშუალებით.

14) განემარტოთ ადგილკომებს, რომ კედლის გაზეთი და ხელმძღვანელი ბიურო—სარედაქციო კოლეგია არ წარმოადგენს ადგილკომის კომისიას.

15) რკინისგზელთა კავშირის პროფგანათლების განყოფილების მიერ კურსების გახსნის და თბილისის მაზრაში ადგილების განაწილების დროს უბკავშირის ფრაქციებმა მსმენელთა შერჩევა უნდა მოახდინონ რაიკომის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების მონაწილეობით.

ქალთა შორის მუშაობა პირველ ქართ. დივიზიაში

ქალთა საერთაშორისო დღის ჩატარებამდე ქალთა შორის მუშაობა საგრძნობლად მოისუსტებდა. ქალთა ორგანიზაციაში ჩაბმულები იყო მხოლოდ ერთ ლეგიონში. 8 მარტის შემდეგ დაეტყო ამ დარგში გამოცოცხლება სხვა ნაწილებშიც. პარტორგანიზაციის ინიციატივით ქ. ქუთაისში მოწვეულ იქნა მარტის შუა რიცხვებში უფროსთა და პოლიტ შემადგენლობის ოჯახის წევრ ქალთა საერთო კრება, რომელზედაც სათანადო მოხსენება იქნა გაკეთებული ქალთა ორგანიზატორის მიერ ადგილობრივ სამოქალაქო ორგანიზაციიდან. კრებაზე იქნა არჩეული ლეგიონის ქალთა ორგანიზაციის ბიურო 5 ქალისგან შემდგარი. შემუშავებულ იქნა ქალთა შორის მომავალ მუშაობის გეგმა.

ქალთა ორგანიზაციის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩაეწერა პოლიტწრეში, სადაც მეცადინეობა იწარმოებს კვირაში ორჯერ.

აღსანიშნავია აგრეთვე სამპოლიტშემადგენლობის ცოლების მონაწილეობა საბჭოთა არჩევნებში ქალ. ბათომში, რაც გასულ წლებში არ ხდებოდა. ბათომის საბჭოში ლეგიონის ქალთა ორგანიზაციიდან არჩეულ იქნენ ორი ქალი, მათში ერთი მრეცხავი.

სამხედრო პარტორგანიზაცია დიდ ყურადღებას აქცევს ქალთა შორის მუშაობას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ სამოქალაქო ორგანიზაციების ქალთა განყოფილებები აქტიურად დაგვეხმარებიან ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეში.

ივ. რუ—ი.

ვეტერინარულ მუშაკთა მეორე ყრილობა

გუშინ, საღამოს 7 საათზე ჯანსახკომის სანიტგანათლების დარბაზში გაიხსნა საბეითლო დარგის მუშაკთა მეორე ყრილობა.

ყრილობა გახსნა საქართველოს მედსანშრომის კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. **ჯიჯაძემ**, რომლის წინადადებით ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა დამსახურებულ საბეითლო მუშაკების **შიოლ დედაბრიშვილის** და **კრივენკოს** ხსოვნას.

ამხ. ჯიჯაძის სიტყვა

ორატორი ეხება ყრილობის წინაშე დასმულ ამოცანებს და აღნიშნავს, რომ ამიერ-კავკასიის მაშტაბით არა გვყავს საკმაო კადრი ვეტ-მუშაკებისა. ორატორს საჭიროთ მიაჩნია ვეტ-ინსტიტუტის ან და საბეითლო ფაკულტეტის გახსნა სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

დასასრულ ორატორმა იმედი გამოსთქვა, რომ ყრილობა სავსებით სწორად გაითვალისწინებს მის წინაშე არსებულ ამოცანებს და გამოიმუშავებს სათანადო ღონისძიებებს საბეითლო მუშაობის გასაფართოვებლად.

ამის შემდეგ ყრილობამ აირჩია პრეზიდიუმში შემდეგი ამხანაგები:

ჯიჯაძე, ახმეტელი, შენგელია, ჭიასაშვილი, კაკუნია, მარათაძე, კალანდარიშვილი, ქორქია და ყოჩიაშვილი. შემდეგ აირჩიეს სამდივნო და სამანდატო კომისია.

საპატიო თავმჯდომარეებათ ყრილობა ერთხმად ირჩევს:

სტალინს, რიკოვს, მახარაძეს, ორჯონიკიძეს, ელიავას და გეგეჭკორს.

ყრილობამ დაამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1) მოხსენება საქართველოს მედსანშრომის კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ, 2) ვეტერინარულ მუშაკთა სექციის მოხსენება, 3) სავეტერინარო საქმის მდგომარეობა საქართველოში, 4) ვეტ-მუშაკთა სექციის ბიუროს არჩევნები და 5) მიმდინარე საკითხები.

შემდეგ ყრილობამ მოისმინა ამხ. ხიკინჭილაშვილის მოხსენება მედსანშრომის კავშირის გამგეობის მუშაობის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა საქართველო

შავი ქვის ექსპორტი

ფოთი, 9 აპრილი. მარტში ფოთის ნავთსადგურიდან საზღვარ-გარეთ გატანილია 8 გემით 31.176 ტონა შავი ქვა.

ფოთი, 9 აპრილი. საზოგადოება „ტრანსპორტ"-მა მარტის განმავლობაში გაგზავნა ამიერ-კავკასიის სხვადასხვა ქალაქებში 36 რონოდა თეთრი ფქვილი. მოსკოვში გაიგზავნა 5 რონოდა დაფნის ფურცელი, ბათომში—უცხოეთში გასაგზავნათ 4 რონოდა ნიგვზის ხე.

აპრილის ბოლოს უცხოეთიდან მოელიან გემს, რომელიც ამერიკაში წაიღებს 2.500 ტონა ძირტკბილას.

სარწყავი არხი

ოზურგეთი, 9 აპრილი. **დამთავრდა სარწყავი არხის აშენება, რომელიც 3 ვერსის მანძილზე მორწყავს 8.000 დესეტინა მიწას.**

არხი გაჰყვანილია მახლობელ სოფლების გლეხობის კოლექტიური შრომით.

გლეხთა საურთიერთო დახმარება

ოზურგეთი, 9 აპრილი. მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაამთავრა გლეხთა საურთიერთო დახმარების ცენტრალურ ორგანოს და გურიის ადგილობრივ განყოფილებათა რევიზია.

გლეხკომების მუშაობაში აღნიშნულია დიდი წარმატება.

შავი-ქვის ექსპორტი

ფოთი, 9 აპრილი. გავიდა გერმანიის გემი „როტელგეიდი", რომელმაც წაიღო ჰოლანდიაში 5.249 ტონა შავი-ქვა.

შრომის არტელი

ოზურგეთი, 9 აპრილი. საბოლოოდ მოეწყო ბუჟნარის შრომის არტელი, რომელშიაც შედის 7 სოფელი 450 კომლით.

სუბტროპიკულ მცენარეთა გასაშენებელი სივრცე 350 დესეტინამდე გაიზარდა, აქედან ჩაის კულტურისათვის გამოყოფილია 150 დესეტინა, დანარჩენი კი თხილის, ფორთოხალის, ლიმონის, ბამბუკისა, მაღალი ხარისხის ხეხილებისა და ვენახებისათვის.

დაარსდა სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა დაახარისხოს მიწები.

სამხრეთ ოსეთი

თოვლი

ცხინვალი, 9 აპრილი. აქ მიღებულ ცნობების მიხედვით, აპრილის პირველ რიცხვებიდან **სამხრეთ-ოსეთის მთა-გორიან ადგილებში მოვიდა დიდი თოვლი, რომელიც ალაგ-ალაგ 2 არშინს აღწევს.**

როკის ხეობაში ბევრ ადგილას ჩამოწვა თოვლის ზვავი, **შეწყვეტილია მიმოსვლა სოფლებს შორის.**

წყალდიდობის საფრთხე

ცხინვალი, 9 აპრილი. **სამხრეთ-ოსეთის დაბლობი ნაწილი დიდი თოვლით არის დაფარული, რის გამო გლეხებმა შესწყვიტეს მინდვრების მოხვნა და აგრეთვე მუშაობა ბაღებში.**

თოვლის დნობის გამო მოსალოდნელია ლიახვის ადიდება, რაც წალეკვით ემუქრება მდინარის განაპირა ადგილებს.

ოლქის კომუნალური მეურნეობის განყოფილება ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ჯებირების გასაკეთებლად ლიახვის ნაპირების გასამაგრებლად.

ცხინვალში ყოველთვის ცა მოღრუბლულია, ქარი და თოვლი მოდის.

პიონერთა ორგანიზაცია

ცხინვალი, 9 აპრილი. ახალგაზრდა და პიონერთა სამხრეთ-ოსეთის ორგანიზაციას ამჟამად თავის რიგებში ჰყავს 3.000 წევრი.

ამ დღეებში სამხრეთ-ოსეთის ცაკ-მა გადასდო პიონერების ორგანიზაციის სასარგებლოთ 600 მანეთი.

სასამართლოს მუშაკის ხმა

(წერილი სიღნაღიდან)

რევოლიუციამდის ჩვენს მაზრაში არსებობდა მხოლოდ ორი სასამართლო: სიღნაღისა და ქოდალოსი. ეხლა მაზრაში ოთხი სახალხო მოსამართლეა: სიღნაღში, გურჯაანში, მაჩხაანში და ლაგოდეხში. ერთის შეხედვით უნდა იფიქროს კაცმა, რომ დღევანდელ სასამართლოებს ერთი-ორად ნაკლები საქმეები უნდა ჰქონდეთ. მით უმეტეს, რომ მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობამ, მოსპო აუარებელი სატკივრები მიწის საკუთრების გარშემო. სინამდვილეში სულ სხვა, სურათს ვხედავთ. სასამართლოს შტაფები იმტვრევიან საქმეთა სიმძიმისაგან, ადგილი აღარ არის, სად დასტიონ ახლად შემოსული საქმეები. თვითეული საქმე უცდის თავის რიგს 5 და 6 თვეს, ეს გარემოება იწვევს დიდ უკმაყოფილებას გლეხობაში. ამიტომ საჭიროა დროზედ სათანადო ზომების მიღება. ასეთ ზომად უნდა ჩაითვალოს დროებით 2 ან 3 ახალი სახალხო სასამართლოს დაწესება. მათი საშუალებით უნდა მოხდეს განტვირთვა სასამართლოების დაგროვილ საქმეებისაგან.

განტვირთვის შემდეგ შესაძლებელია მუშაობა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს და დროებითი მოვლინებული მოსამართლენიც მოიხსნან.

რა უწყობს ხელს საქმეების გამრავლებას?

ამ საკითხის გარშემო შეიძლება, რასაკვირველია, ბევრნაირი აზრის გამოთქმა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს გამოწვეულია ჩვენი კანონების არ ცოდნით. ხალხმა არ იცის თავისი უფლება-მოვალეობანი. ყველაზედ ნაკლებად იცის ხალხმა მიწის კოდექსი, რომელიც საფუძველია გლეხის ცხოვრებისა.

ამ კოდექსში უნდა ჰპოვოს გლეხმა ახსნა-განმარტება ისეთი მწვავე საკითხებისა, როგორიც არიან: ოჯახის გაყრა, ანდერძი, შვილობა, გათხოვილი ქალის მემკვიდრეობითი უფლება, შრომითი იჯარა და სხვა. ამ საკითხების გარშემო გლეხებს ნათელი და გარკვეული წარმოდგენა არა აქვთ და დავის დროს სასამართლოს კარებს ადგებიან ხოლმე. დიდი დროა იმისთვის, რომ საბჭოთა კანონიერება, რომელიც რადიკალურად განსხვავდება ძველი კანონებისაგან, გზა გაიკაფოს გლეხთა ფართო მასაში.

ამ მხრივ დიდი მუშაობის ჩატარებაა საჭირო. კანონიერების ცოდნის გავრცელებას სოფლებში ხელს უნდა უწყობდეს მდიდარი იაფფასიანი და პოპულარული იურიდიული ლიტერატურა, რომელიც ჩვენ სრულებით არა გვაქვს.

ოფიციალურ კანონთა კრებულის შოვნაც კი ხშირად გაძნელებულია.

ხალხში დიდი მოთხოვნილებაა ასეთ წიგნებზე. კანონების ცოდნის მოფენა მოსპობს აშკარა უსაფუძვლო და უნიადაგო საჩივრებს და სასამართლოებიც განიტვირთებიან ზედმეტი საქმეებისაგან.

იმის დასახასიათებლათ, თუ რა დაბალ დონეზე დგას ჩვენი იურიდიული შემეცნება, მინდა ერთი კერძო შემთხვევა მოვიყვანო. ერთ კრებაზე ორატორი აკეთებდა მოხსენებას „რევოლიუციურ კანონიერებაზე". ილაპარაკა მთელი საათი და კარგათაც ილაპარაკა. ხოლო დასასრულ კერძო საუბარში მე შევეკითხე მას: რად ვლაპარაკობთ „რევოლიუციონურ" კანონიერებაზე და არა მხოლოდ „კანონიერებაზე", რის მაჩვენებელია და რა შინაარს შეიცავს ის დამატებული სიტყვა: „რევოლიუციონური"?

წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება. ის, რაც მას აქამდის საანბანო ცნებათ მიაჩნდა, თურმე ძნელი გასარკვევი ყოფილა და ვერც მოახერხა ამ სიტყვის ახსნა, რომელზედაც მთელი საათი საჯაროდ ილაპარაკა.

მსმენელები კი ორ ბანაკათ გაიყვნენ. ერთნი ამბობდნენ რევოლიუციონური იმიტომ ქვიან ჩვენ კანონებს, რომ ისინი არიან გამოცემული რევოლიუციონურ მთავრობის მიერ, რევოლიუციონურ ხანაში და მთავრობის რევოლიუციონურ მოქმედების ხელ-შესაწყობად.

მეორენი ამტკიცებდნენ, რომ რევოლიუციონური ნიშნავს იმას, რომ არსებული საბჭოთა კანონები გატარდება რევოლიუციონურად, მიზან-შეწონილად, ე. ი. რევოლიუციონური აღნიშნავს კანონის ისე გამოყენებას, როგორც ამას გვიკარნახებს ჩვენი, „რევოლიუციონური" შეგნება. ასეთია ჩვენი ცოდნა რევოლიუციონურ კანონიერების დარგში. ამ ნაკლის გამოსწორებას დროზე უნდა მოვკიდოთ ხელი.

ჩვენ გვყავს საკმაოთ მომზადებული იურიდიული ძალები, რომელთაც შეუძლიათ მოგვცენ მდაბიოთ შედგენილი ბროშიურები ჩვენი კანონების ცალკე დარგების შესახებ და ეს ძალები უნდა გამოვიყენოთ, უნდა ჩავაბათ ამ საქმეში.

ქიზიყის მოამბე.

თემალმასკომების და გლეხკომების მუშაობა

(გორის მაზრა)

გორის სამაზრო აღმასკომმა დაადგინა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს თემალმასკომების მუშაობას. ამ მიზნით მან დაავალა ყველა სათემო აღმასკომებს შეიმუშაონ სამთვიური მუშაობის გეგმა და შეუდგენ ამ გეგმის განხორციელებას.

გეგმებში დაწვრილებით იქნება აღნიშნული თემებში შემავალ სოფლებში გზების გაყვანის, აღმშენებლობის და სხვა საკითხები.

იმ მიზნით, რომ მოსახლეობა უშუალოთ ხედავდეს თუ რას აკეთებს მისი თემალმასკომი—დაევალა თემალმასკომებს თვეში ერთხელ მოიწვიონ გლეხთა ყრილობები და ჩააბარონ მათ თავიანთი ერთი თვის საქმიანობის ანგარიშები.

ასეთივე დავალებები მისცა სამაზრო გლეხკომმა ყველა სათემო გლეხკომებს, რომლებიც ვალდებულნი არიან დრო და დრო ჩააბარონ თავიანთი მუშაობის ანგარიშები გლეხკომების წევრების ყრილობას.

თვით სამაზრო აღმასკომის წევრებს დაევალათ თვალყური ადევნონ თემებში სამთვიური გეგმების ჩატარებას და ამ მიზნით ხშირად მოაწყონ ადგილების ჩამოვლა.

მ. გ.

სამი მღვდელი—ერთი მნათე

(ს. ჩხენიში, ქუთ. მ.)

სამი მღვდელი: ონისიმე სანიკიძე, ერ. გიგიეიშვილი და ხოშტარია. ერთი მნათე—არსენ ჯიბლაძე. ყველა ჩინებული და უწყინარი სასულიერო პირებია... როცა სძინავთ. ხოლო სიფხიზლეში რას სჩადიან ამაზე ცოტა ქვემოთ.

სოფ. ჩხენიშში გარდაიცვალა მოხუცი გლეხი. მართალია მღვდელ-დიაკვნები ღმერთს მუდამ დღე ახალგაზრდების სიკვდილს ევედრებიან, მაგრამ არ იციან ბრიყვებმა, რომ ამით თავისთავსვე ზიანს აყენებენ. ღმერთი კიდევ იმდენად ჰკვიანია, რომ მათ ვედრებას არ იწყნარებს, თორემ რაღა ეშველებათ სულიერ მამებს? ახალგაზრდა თუ მოკვდა, მის გასვენებაზე ანაფორიანს ახლოსაც არავინ გააჭაჭანებს. ბებრების სიკვდილზე კი—გიყვარდეს პირის [illegible] ფულების ჩხრიალი.

[illegible] ზიარება მას მოსდევს პანაშვიდი, პანაშვიდს წესის აგება, შემდეგ კიდევ პანაშვიდი, ორმოცი, წლის თავი და ასე დაუსრულებლივ. ერთ მოხუც მიცვალებულს, თუ ჭირისუფალი შეძლებულათ ვერ დახვდა, მოხერხებული მღვდელ-დიაკვანი ცხრა, ტყავს გააძრობს.

ასეთ ამბავი დაიწყო ჩვენს სოფლებშიაც. მოკვდა, როგორც მოგახსენეთ, ერთი მოხუცი გლეხი და ერთის ნაცვლად სამი მღვდელი და ერთი მნათე დაადგა მიცვალებულს თავზე. [illegible] სვეს და ბევრი სჭამეს. ბოლოს ადგენ და ბარბაც-ბარბაცით ოთხნი სულიერნი სახლისაკენ გაემართნენ.

წინ მღვდლები მიდიოდნენ. უკან მნათე მიიზლაზნებოდა მღვდელთა შესამოსელით დატვირთული. „ქრისტიანი" კაცი არსენ მნათე ასეთ ტვირთს როგორ აჰკიდებდა, როცა საწყალს ღვინისაგან ისე ჰქონდა აშლილი დავთრები, რომ საკუთარ ფეხებსაც ძლივს მიათრევდა. გზაზე ხიდი შეხვდათ გასავლელი. მღვდლებმა დიდი სიფრთხილით და ოსტატობით, როგორც იქნა უხიფათოდ გაიარეს ხიდი.

ჯერი მიდგა მნათეზე. შედგა თუ არა არსენმა ფეხი ხიდზე, მაშინვე თვალები აუთამაშდა, ერთი ხიდი ორათ მოეჩვენა, გაშალა განივრათ ლაჯები და თავის წმინდა ტვირთით შიგ შუა წყალში გაადინა ტყაპანი. ასტყდა ერთი ყვირილი და უბედურობა. არსენი ცივმა წყალმა იმდენად გამოაფხიზლა, რომ თავის გადარჩენა მოახერხა, ხოლო რაც შეეხება მღვდლებს ქუდებს, ანაფორას და სახარებას, ამ წმინდა მოკაზმულობამ სულიერ მამებს თავი დაუკრა.

ბევრი ეძებეს დაზარალებულებმა დაკარგული სამკაული. [illegible] უთვალთვალეს წყლის პირებში, მაგრამ ამაოთ. მდინარე იმდინათ გულგრილი აღმოჩნდა. რომ არსენის მიერ ნაბოძები ძღვენი სასწრაფოთ შავ ზღვისაკენ გაუყენა.

რეჯისპირელი.

მუშათა ცხოვრება

ქორწინება „მმაჩით" თუ „უმმაჩოთ"

(პატარა ფელეტონისებური)

— რას კითხულობ გოგი?—ჰკითხა მუშა ბესომ თავის მეგობარს, მუშა გოგის, რომელიც გაფაციცებით კითხულობდა გაზეთს.

— გაზეთს—მიუგო გოგიამ.

— რა სწერია მაგ გაზეთში?

— რაზე მოგიყვე? ბარემ ათასი რამე სწერია. სხვათა შორის გამოქვეყნებულია ქორწინების შესახებ ახალი კანონ-პროექტი.

— რას ამბობს ეს პროექტი?

— იმას ამბობს—თუ აქამდე „მმაჩით" ხდებოდა ქორწინება და განქორწინებას კიდევ სახალხო მოსამართლე ახდენდა, ამის იქით აღარ არის საჭირო აღარც „მმაჩი", არც „მაჩვი", არც „ზაქსი", არც „ვაქსი" და აღარც სახალხო მოსამართლე.—სიცილით მიუგო გოგიამ.

— ეგ როგორ იქნება? უსამართლოდ განქორწინება?

— თუ კი ქორწინება იქნება „უმმაჩოდ", რატომ განქორწინება არ იქნება უმოსამართლოდ.

— მე არ მესმის „უმმაჩოდ" როგორ უნდა მოხდეს ცოლის შერთვა?

— როგორ და ასე: ვინც მოგეწონება და მოეწონები, წაიყვანე შენ ცოლი და [illegible] თქო.

— მერე?!

— მერე გყავდეს, ვიდრე მოგწყინდება. როცა მოგწყინდება, გაუშვი. შეგიძლია, რამდენი ცოლიც გინდა, იმდენი შეირთო და გაუშვა... აქამდე ეს არსებული „მმაჩი" ოდნავ მაინც ამცირებდა განქორწინების მსურველთა რიცხვს, მაგრამ როცა ეს ახალი პროექტი დაკანონდება, მაშინ ჩვენ ყოველ ნაბიჯზე ვინახავთ გაშვებულ ცოლებს.

— მაშ, შენი სიტყვით, ისე გამოდის, რომ უსინდისო ადამიანს შეუძლია ისარგებლოს ახალი კანონით და რამდენიც უნდა, იმდენი ცოლი შეირთოს და გაუშვას, შეირთოს და გაუშვას და ამგვარად აუარებელი ქალები გააუბედუროს? მოგწონს შენ ასეთი კანონი?!

— ბიჭოს! მაგას რა ჯობია. სრული თავისუფლებაა... მოგეწონა ვინმე ქალი, მივდივარ ჩემ სახლში და ჩემ ცოლს ვეუბნები: აბა აიბარგე, აქედან, შაიდა! ის მიდის... მომყავს მეორე ცოლი... ცოტა ხანს უკან იმასაც—შაიდა!. და ასე შემიძლია აუარებელი სულ ახალ-ახალი ცოლები გამოვიცვალო.

— მე არ მომწონს ასეთი [illegible], ვინაიდან ისედაც აუარებელი ქალები [illegible] დღეს გაუბედურებულნი და ასეთი კანონის ცხოვრებაში გატარების შემდეგ უფრო გამრავლდება მათი რიცხვი

— მაშ, შენ წინააღმდეგი ხარ თავისუფალი [illegible]?

— [illegible] წინააღმდეგი ვარ... შეყრა თუ ადვილი [illegible] მაინც არ უნდა იყოს ადვილი, რომ [illegible] არ გავაუბედუროთ სამუდამოდ. ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია შეყრაც და გაყრაც სწარმოებდეს „მმაჩით". დეე, შეყრა იყოს ადვილი, მარტივი, მხოლოდ რაც შეეხება გაყრას, იგი უნდა სწარმოებდეს „ფორმალობებით", რომ თათარიახნად ცოლის მიტოვება არ შეიძლებოდეს.

— [illegible] კი ვფიქრობ, რომ ყოველგვარ გართულებას, გამარტივება სჯობია და როგორც შეყრა, ისე გაყრა უნდა „უმმაჩოდ" სწარმოებდეს.

— მე მინდა „მმაჩით".

— მე „უმაჩოთ".

— არა, არა! უსათუოდ „მმაჩით".

— არა—„უმაჩოდ"!

— „მმაჩით" მეთქი დაუღრიალა მოთმინებიდან გამოსულმა ბესომ და ფეხზე წამოვდა.

— „უმმაჩოდ" მეთქი—თავის მხრით შეუტია გოგიამ და ისიც ფეხზე წამოდგა და გაცეცხლებული თვალებით მიაჩერდა თავის მეგობარს.

— ჩვენ გვინდა, რომ ქორწინება აუცილებლად ხდებოდეს „მმაჩით". ეს ჩვენთვის მეტად სასარგებლო და აუცილებელია.—გაერთიენ საუბარში მუშა ქალები.

— „მმაჩით"! კვლავ დაუღრიალა ბესომ და მუშტი მოკუმშა.

— „უმმაჩოდ"!.

— აი შენ „უმმაჩოდ"!—შესძახა ბესომ და ყურის ძირში თხლაშანი გაადინა.

— გოგია არ დაიბნა. მუშტზე მუშტით უპასუხა და მინამდე უბაგუნებდენ ერთმანეთს, სანამ ორივე მილიციის სამმართველოში არ ამოყოფდენ თავს.

მუშა ნიკო ას—ლი.

ხშირად ასეთი მოხსენებები

5 აპრილს, ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირის შენობაში შესდგა ამ პროფკავშირის თანამშრომელთა გაერთიანებული კრება, რომელზედაც მოხსენება წაიკითხა ამხ. მგელაძემ. მოხსენება შეეხებოდა პროფმოძრაობის თანამედროვე მდგომარეობის შესახებ.

მომხსენებელი შეეხო პროფმოძრაობის ისტორიას; აღნიშნა მისი მიზნები და ამოცანები კლასიური ბრძოლის გაძლიერებაში.

ამასთანავე მან დაახასიათა ევროპის მუშათა კლასის და საზოგადოდ მთელი მსოფლიო პროლეტარიატის მნიშვნელობა ასეთ გაერთიანების საქმეში. შეეხო პროფინტერნის წარმოშობის ისტორიას და დაწვრილებით აღნიშნა მისი განვითარების მთავარი მომენტები. შეეხო აგრეთვე ამსტერდამის ინტერნაციონალთან დამოკიდებულების შესახებ. აღნიშნა ამ გაერთიანების მტერ-მოყვარენი: ინგლისის პროლეტარიატის მუშათა კლასის მეთაურების მოღალატური საქციელი და სხვა.

მოხსენება მეტად საინტერესო და შინაარსიანი იყო და მან გამოიწვია მთელი რიგი შეკითხვებისა, რაზედაც მომხსენებელმა სათანადო პასუხი გასცა.

დაბოლოს კრებამ მიმართა ამხ. მგელაძეს თავის მოხსენების ზოგიერთ დებულების გასაშუქებლად ჩაატაროს მთელი რიგი ლექციებისა ამ თემაზე.

კრება ფრიად კმაყოფილი დაიშალა.

საჭიროა ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირის მუშაკთა ადგილკომმა ხშირად მოაწყოს ასეთი ხასიათის ლექციები.

ლ—ია.

ჭკუა ასწავლეთ

(მილიციის და პროკურატურის საყურადღებოდ)

ელისაბედისქუჩაზე სახ. № 142-ში, ეკატერინე მარკეტის სახლებში ცხოვრობს უცხო ენების მასწავლებელი ქალი ელენე აბაშიძისა. უკანასკნელი, როგორც ამჟამად დაზღვეული უმუშევარი და ცუდ ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფი სახლის პატრონს ოთახის ქირად ქირას უხდის მხოლოდ კანონით განსაზღვრულ რაოდენობით. ამით უკმაყოფილო სახლის პატრონი დასახლებული მდგმურის წინააღმდეგ არ ერიდება არავითარი საშუალების მიღებას. სახლის პატრონი პროფესიით ცირკის ძველი, ყოფილი არტისტკაა, ეხლა კი ყველას მიერ ცნობილი კარტით მრჩეველი. მას ჰყავს ასეთივე კოლეგა: ღვინის ერთობ მოყვარული, ესეც ყოფილი ცირკის არტისტკა. როგორც კი თავიანთი „პროფესიით"(რჩევით) ცოტა ფულს მოიკიდებენ ხელს, ეს ქალბატონები მაშინვე ღვინით გალეშილი არიან და მადაზე მოდიან, რომ გადავიდნენ შეტევაზე დასახლებულ მდგმურის წინააღმდეგ: სცემენ მისი ოთახის კედელს, ხმაურობენ და ლანძღავენ ათასნაირი სიტყვებით, ეწევიან ზოგიერთ მეზობლებში აგიტაციას ამ მასწავლებელ ქალის პატიოსნების წინააღმდეგ და სხვა მრავალი.

დასახელებული მდგმური მარტო ერთი ცხოვრობს თავის ბინაზე. გათამამებულ სახლის პატრონს სურს დააშინოს მარტოხელა ადამიანი, მას სურს ამ ზომებით გააქცოს მდგმური. უკანასკნელს არა ერთხელ ჰქონდა გამოცხადებული მილიციაში,—როგორც მთავარ სამმართველოში, ისე მე-10 სამილიც. რაიონის უფროსთან. რომ მას დაეცვათ ამ ქალის მოქალაქეობრივი უფლება სახლის პატრონის წრეგადასულ თავხედობისაგან.

მილიცია არა ერთხელ ადებინებს მას ხელწერილს, რომ დაეცვა წესიერება. მიუხედავად ამისა მოქ. მარკეტი არ სწორდება. მას „ფეხებზე ჰკიდია კანონი და ადამიანის უფლება". ის განაგრძობს თავის თავხედობას დასახლებულ მდგმურის მიმართ.

მას გასწორება და ჭკუაზე მოყვანა ესაჭიროება.

მუშკორი ჩხმელი.

დაგვიხსენით მაზუთის ჭაობიდან

მთავარ სახელოსნოების სახარატო საამქროში დომბროვსკის და ნონიკაშვილის გუნდის—ბრიგადის შუა პატარა კარებთან ადამიანს არ გაევლება მაზუთის ჭაობიდან. ეს მაზუთი გადმოდის მაღლიდან მოტორისგან.

ამ ჭუჭყიანი მაზუთის გამო ბევრი მასალებია დასვრილი და გაოხრებული, რომლებიც კაცს ხელში ვერ აუღია.

ამის თავიდან აცილება, კი ადვილია, უნდა გაკეთდეს ეგრედწოდებული ღარები,—ლულა საკანალიზაციო მილში და ამით ამოშრება ეს ჭაობი, რომლის გამო კაცს ვერ გაუვლია, მასალებიც არ გაფუჭდება.

ძია ლევანი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— ბოლოს მოუღეთ სახლის პატრონის ოინებს. არსენალის შესახ. სახლი № 5 ეკუთვნის ვინმე ივანე მანტრუსოვს. აღნიშნულ სახლში მეტ წილად მუშა-მოსამსახურეები ცხოვრობენ. სახლის პატრონი ბინის ქირას ახდევინებს ამათაც, როგორც კერძო პირებს. სახლი ინგრევა. შეკეთებას საჭიროებს. სახლის პატრონი კი მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს. სახლის კედლები ძალზე დაზიანებულია.

აღმასკომო, ეს სახლი უღირს პატრონს უნდა ჩამერთვას!

მუშკორი კარგი.

— „დატვირთვის" ჯილდოსათვის დასვენების დღეს არ აძლევდენ. ამხ. რ. ჭიჭინაძე ლაზარეულის თანამდებობაზე მუშაობდა „ზაჰესი"-ს მეორე საამშენებლო უბანში. დღეში არა ნაკლებ 14-15 საათისა მას უხდებოდა მუშაობა და ამისათვის მას ეძლეოდა დატვირთვის ჯილდოს სახით 30 პროცენტი, მაგრამ ვაი ამისთანა ჯილდოს! ამხ. ჭიჭინაძეს დასვენების დღეებიც კი წაართვეს. მას კვირაუქმე დღეებშიც ამუშავებდენ.

განა ეს დასაშვებია.

მუშკორი გონიერი.

მუშათა ქრონიკა

(რკინისგზელთა ცხოვრებიდან)

— **რეზოლიუციების გარჩევა.** ა.-კ. რკ.-გზელთა პროფკავშირმა მიმართა საუბნო კომიტეტებს დაამუშაონ პროფაქტივების კრებებზე რკინისგზელთა მერვე ყრილობის რეზოლიუციები.

— **საექიმო დახმარების გამოსარკვევად.** ა/კ. რკ.-გზ. ჯანმრთელობის სამმართველომ გამოჰყო კომისია, რომელსაც დაევალა საექიმო მდგომარეობის გამორკვევა ა.-კ. რკ.-გზებზე.

— **გადაფასებები.** ა/კ. რკინისგზელთა პროფკავშირი ამ ჟამად ამუშავებს საკითხს მთავარ სახელოსნოს სანარდო სამუშაოების გადაფასებათა შესახებ.

— **ზაჰესში.** კვირას, 11 აპრილს ა/კ. რკ. გზელთა პროფკავშირის მუშაკთა ადგილკომი აწყობს ექსკურსიას ზაჰესში.

— **ახალი კლუბი.** ა/კ. რკ.-გზელთა პროფკავშირი ამუშავებს საკითხს სადგ. ჯულფაში ახალი კლუბის აგების შესახებ.

ეკონომიური ცხოვრება

ფართლეულობის ბაზრის მოსაწესრიგებლად

ფართლეულობის ბაზრის მოწესრიგების მიზნით, ამიერ-კავკასიის შინავაჭრობის სახალხო კომისარის რწმუნებულის სამმართველომ თავის ქვემდებარე ორგანიზაციებს მიმართა ცირკულიარული წერილით, რომელშიაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო მრეწველობის ეხლანდელი მდგომარეობის პირობებში შეუძლებელი ხდება ფართლეულობის გაზრდილი მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილება და ბაზარი ხშირად განიცდის აღნიშნული საქონლის ნაკლებობას. ეს გარემოება შესაძლებელს ხდის აჟიოტაჟს და ფასების არანორმალურ ზრდას ფართლეულობის ბაზარზე. სარგებლობენ რა ასეთი მდგომარეობით, ფართლეულობით ვაჭრობას ხშირად ხელს ჰკიდებენ ისეთი ორგანიზაციები (საბავშო სახლები, ინვალიდთა არტელები, საქველმოქმედო საზოგადოებანი და სხვა), რომლებსაც თავისი მუშაობის ხასიათის მიხედვით არავითარი კავშირი არა აქვთ ასეთ საქმიანობასთან და რომლების ერთადერთ მიზანს რაც შეიძლება მეტი მოგების მიღება შეადგენს.

ასეთი მოვლენა, ერთის მხრივ, ხელს უწყობს აჟიოტაჟისა და ბოროტი სპეკულიაციის შესაძლებლობის კიდევ უფრო გაფართოებას, ხოლო მეორეს მხრივ ამცირებს სახელმწიფო ორგანოებისა და კოოპერაციის მონაწილეობას მოსახლეობის სამრეწველო საგნებით მომარაგების საქმეში, რაც მეტათ ასუსტებს მათ პოზიციას ქვეყნის საქონლის ტრიალში და სრულიად დაუშვებელია ეკონომიურ მიზანშეწონილობის თვალსაზრისით.

მიუხედავათ სათანადო განკარგულებისა, რომ ბოლო მოღებოდა აღნიშნულ არანორმალურ მოვლენას, ასეთი მდგომარეობა, თანახმად არსებული ცნობებისა, დღემდე გრძელდება და ხელს უშლის განსაკუთრებით კოოპერაციის, როგორც პირველ საჭიროების საგნების უშუალოდ მომხმარებელზე, მიმწოდებელის, საქმიანობას.

ა.-კ. შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში წინადადებას იძლევა მიღებული იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა გეგმით შემოზიდული ფართლეულის განაწილების დროს უკანასკნელი არ გადავიდეს ზემოდასახელებული ორგანიზაციების ხელში და ბოლო მოეღოს აღნიშნულ არანორმალურ მოვლენას, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს მოსახლეობის სამრეწველო საგნებით გეგმიანი მომარაგების საქმეში.

თბილისის საბითუმო ბაზარი მარტში

მარტის განმავლობაში თბილისის საბითუმო ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა. მთავარი ბაზრების მდგომარეობა გამოიხატებოდა შემდეგში:

პურის ბაზარი

მოთხოვნილება პურის პროდუქტებზე მტკიცეა. უკანასკნელ ხანებში შემჩნეულია პურის შემოტანის შემცირება, შემცირდა აგრეთვე პურის დამზადება ა.-კავკასიისათვის ჩრდ. კავკასიაში. პურის მარაგი თბილისში საკმაოდ დიდია. ბაზარი ფქვილით უზრუნველყოფილია რამოდენიმე თვით. პურის შემოტანა კერძო პირების მიერ შეწყვეტილია.

სხვადასხვა ხარისხის ფქვილის ფასების შეცვლამ, რომელიც შემოღებული იყო ამას წინად, ჯერ-ჯერობით მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა მე-2-ე ხარისხის ფქვილის მოხმარების გადიდებაზე.

პურის გაცემა კერძო პირებზე გრძელდება.

სუსტი მოთხოვნილებაა სიმინდზე, რომლის შემოტანა გაძლიერებულია. სიმინდის ფასი დაეცა ერთ მანეთამდე ფუთი. საკმაოდ მტკიცე მოთხოვნილებაა ქერზე.

საფეიქრო ბაზარი

მარტის უკანასკნელი დღეების განმავლობაში საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებამ მიიღო 25 ვაგონი ბამბეული მანუფაქტურა. მოთხოვნილება ზომიერია. ბაზარზე საგრძნობია თეთრეულის ნაკლებობა. მრავლად მოიპოვება ბაზარზე ხმელი ქსოვილები. საფეიქრო სინდიკატის გარდა მანუფაქტურას საკმაო დიდი რაოდენობით იღებს კომუნალური ბანკიც.

ფართლეულობით სავსებით უზრუნველყოფილია აზერბეიჯანის და სომხეთის ბაზარი. საქართველოში კი—საგრძნობია ზოგიერთი ქსოვილების ნაკლებობა; განსაკუთრებით ცოტაა ბაზარზე სელის და კამვოლის ქსოვილები.

აღსანიშნავია, რომ აბრეშუმის ქსოვილების ასორტიმენტი არ შეეფერება მოთხოვნილებას. ასეთივე მდგომარეობაა ტრიკოტაჟის საქონლის მიმართაც.

აბრეშუმის ქსოვილების ფასი გადიდდა ნედლეულის გაძვირების გამო, გადიდება გამოიხატა 7—37 პროცენტში.

კერძო ბაზარზე სუსტი მოთხოვნილებაა. ფასები უცვლელია. გაიზარდა მოთხოვნილება თეთრეულზე, რომლის ნაკლებობის გამო, ფასები იზრდება.

ფართლეულობის გაცემა კერძო პირებზე საურთიერთო კრედიტის საზოგადოების საშუალებით ამჟამად შეწყვეტილია, რადგან ამ სისტემამ არ გამოიღო მნიშვნელოვანი შედეგები. ამჟამად საქონლის გაცემა სწარმოებს საფეიქრო სინდიკატის თბილისის განყოფილებიდან. კერძო პირებს ეძლევათ საერთო რაოდენობის არა უმეტეს 10 პროცენტისა.

ტყიბულის ქვანახშირის მრეწველობა

ქვა-ნახშირზე, როგორც სათბობ მასალაზე, გადასვლის საკითხი ჯერ კიდევ შარშან იქნა წამოყენებული საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ. კომისარიატის მიერ და კერძოდ ამიერ - კავკასიის მუშ. და გლეხთა ინსპექციამ იგი დროულად და მიზანშეწონილად სცნო ამიერ-კავკ. ფედერაციისათვის.

საქართველოს სათბობი მასალის სამმართველოს აზრით წელს ზედმეტი ნახშირი ამოღებული არ იქნება; მომავალ 1926—27 სამეურნეო წელს ტყიბულის მაღაროებში ამოღებული იქნება 7 მილიონამდე ფუთი ნახშირი და 1927—28 წელში 9 მილიონ ფუთამდე. ამგვარად წინასწარი გამოანგარიშებით (ნახშირის ახალი მომხმარებლების გათვალისწინებით) 1926—27 წელში ამოღებული იქნება ზედმეტი 1½ მილიონი ფუთი ნახშირი და 1927—28 წ. 3 მილიონ ფუთი.

იმის გამო, რომ 1926—27 წელში ამოღებული იქნება 1½ მილიონი ფუთი ქვა-ნახშირი, ეკონომიურად მიზანშეწონილად იქნა ცნობილი 1926—27 წელს ტაუზის (აზერბეიჯანშია) ცემენტის ქარხნის ნავთით თბობიდან ქვა-ნახშირით თბობაზე გადაყვანა. ამისათვის კი საჭიროა წინასწარი ცდების წარმოება ორი თვის განმავლობაში. წლიური მოთხოვნილება ტაუზის ქარხნისა ქვა ნახშირზე წინასწარ გამოანგარიშებულია 500.000 ფუთის ფარგლებში.

გარდა ტაუზის ქარხნისა, სასურველად იქნა ცნობილი 1926—27 წ. აგრეთვე კაშლინის (აზერბეიჯანშია) ცემენტის ქარხნის გადაყვანა ნახშირით თბობაზე, თუ ეს შესაძლებელი იქნა, რაც უნდა გამოარკვიოს აზერბეიჯანის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ორი თვის განმავლობაში. კაშლინის ქარხნის წლიური მოთხოვნილება ქვა-ნახშირზე წინასწარი გამოანგარიშებით უდრის 300.000 ფუთს.

ამასთანავე ცნობილი იქნა სომხეთის კირის საწვავი ღუმელების და მისი და ნახიჩევანის მხარის აგურხანების ნავთის მაგიერ ქვა-ნახშირით თბობაზე გადაყვანა. პირველთა წლიური მოთხოვნილება ნახშირზე უდრის 200.000 ფუთს და მეორეთა—100.000.

შეშაზე მოთხოვნილების შემცირების მიზნით აუცილებლად იქნა ცნობილი 1926—27 წელში ჩვენში კერძო სახლების, სახ. კომისარიატების და სამეურნეო ორგანიზაციების შენობათა თბობის ტყიბულის ქვანახშირზე გადაყვანა. ამისათვის წლიურად **უნდა გამოიხატოს 300—400 ათასი ფუთი ნახშირია საჭირო.**

იმ შემთხვევაში, თუ ტაუზის და კაშლინის ცემენტის ქარხნების თბობის გადაყვანა ქვა-ნახშირზე შეუძლებელი შეიქნა, მაშინ აზერბეიჯანის და სომხეთის სახალხო კომისარიატების და სამეურნეო ორგანოების შენობების თბობა გადაყვანილი უნდა იქნეს ქვა-ნახშირზე. ქვა-ნახშირით თბობა შემოღებული უნდა იქნეს აგრეთვე ცენტრალური გათბობის მქონე შენობებშიც, რისთვისაც უნდა მოხდეს ასეთი შენობების აღრიცხვა თბილისში, ბაქოში და ერევანში.

სამიწათმოქმედო ორგანოთა წარმომადგენლების პირველი ყრილობა

მეშვიდე სხდომა

8 აპრილის დილის სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ამხ. გ. მიქაბერიძის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო ადგილობრივ ბიუჯეტის შესახებ.

სასოფლო-სამეურნეო ადგილობრივი ბიუჯეტი

ამხ. გ. მიქაბერიძის მოხსენება

ყოველი სახელმწიფოს მუშაობის წარმატება მისი კეთილმოწყობის და აყვავების მიზნით თითქმის სავსებით დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილად და დაკვირვებით არის შედგენილი ამ სახელმწიფოს ბიუჯეტი. ბიუჯეტი მთლიანად გამოხატავს სახელმწიფოს ცხოვრებას, მის სახელმწიფოებრივ აღმშენებლობითი მუშაობას და სოციალ-ეკონომიურ და კულტურულ დონეს.

ბიუჯეტი, როგორც გარკვეული სახელმწიფო ფინანსიური გეგმა, ემორჩილება წინასწარ განსაზღვრულ საბიუჯეტო უფლებებსა და ნორმებს.

ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობით მუშაობაში გათვალისწინებულ ღონისძიებათა გასატარებლად ფინანსიური საშუალებანი თავს იყრიან საერთო სახელმწიფოებრივ და ადგილობრივ ბიუჯეტებში.

ადგილობრივი ბიუჯეტის. შემოღება არ ნიშნავს იმას,რომ ადგილობრივი და საერთო სახელმწიფოებრივი ბიუჯეტები შეიძლება დამუშავებული იქნან ერთი მეორისაგან დამოუკიდებლად. მათ შორის ყოველთვის უნდა არსებობდეს მჭიდრო კავშირი.

ადგილობრივი ბიუჯეტის მნიშვნელობა გამოიხატება ერთის მხრივ იმაში, რომ ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოებს საშუალება ეძლევათ ზედმიწევნით აღნუსხონ ის მოთხოვნილებანი, რაც ნათლად სჩანს ადგილებზე და რაც მათ უკეთ იციან და აგრეთვე მეტად არ დატვირთონ საშემოსავლო წყაროები, ხოლო მეორეს მხრივ იმაში, რომ საერთო სახელმწიფო აღმშენებლობით მუშაობაში ჩაებმება ფართო მასები.

სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის შემოღებას საქართველო მომზადებული ვერ შეხვდა. ადგილობრივი ბიუჯეტის დამუშავება ამ ორი წლის განმავლობაში ვერ იდგა ჩვენში სათანადო სიმაღლეზე. ჩვენ არც დღეს შეგვიძლია ვთქვათ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის დამუშავების საქმე ადგილებზე უზრუნველყოფილი იყოს. ვერაა საქმე რიგიანად დაყენებული ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხების დანიშნულებისამებრ მოხმარების მხრივაც. ვერ სრულდება აგრეთვე საშემოსავლო ნაწილი ბიუჯეტისა, რასაც დიდ ყურადღება უნდა მიექცეს.

საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულება და სატყეო შემოსავალი შეადგენენ რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის და ქალაქის პროდუქციის საერთო ღირებულების 90 პროც. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიური განვითარების საფუძველს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა. ამიტომ საჭიროა როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი ბიუჯეტით საკმაო თანხები იქნეს გაღებული სასოფლო და სატყეო მეურნეობის საჭიროებისათვის.

ადგილობრივი ბიუჯეტით სასოფლო-მეურნეობის ფაქტიური შემოსავალი 1924—25 წელს უდრიდა სულ 1.534.283 მანეთს, 1925—26 წელს ნავარაუდევია სულ მისაღები 1.500.398 მანეთი მაშინ, როდესაც აღნიშნულ მეურნეობას 1924—25 წელს მოხმარდა 376.089 მანეთი, 1925—26 წელს კი დანიშნულია მოხმარდეს 637.470 მანეთი.

ამ თანხებში არ შედის სუბვენცია, რომელსაც იძლევა სახელმწიფო ადგილობრივ საჭიროებისათვის.

მოყვანილი ცნობები საკმაოდ ახასიათებენ ჩვენი სოფლის მეურნეობის ბიუჯეტის მდგომარეობას. ეს მდგომარეობა საქართველოში, როგორც სასოფლო-სამეურნეო ქვეყანაში, ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად. ბიუჯეტის დამუშავება ვერაა სათანადოთ დაყენებული, ბიუჯეტის დამუშავების საქმეში ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოებს შორის არაა დამყარებული კონტაქტი, ადგილებმა არ იციან, თუ რა ღონისძიებანია გათვალისწინებული სახელმწიფო ბიუჯეტით, ცენტრალურმა საუწყებო ორგანომ არ იცის, თუ რა შეაქვს ადგილობრივ ბიუჯეტში უწყების მიმართულებით ადგილობრივ ორგანოს. ამით ირღვევა საერთო აღმშენებლობითი გეგმა, რითაც, სხვათა შორის, ჩვენი სოფლის მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეს დიდი ზიანი მოსდის.

მერვე სხდომა

შინა-მრეწველობის მდგომარეობა

8 აპრილის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა **მაჩაბელის** მოხსენება შინა-მრეწველობის და მნიშვნელობის შესახებ.

მისი მოხსენებიდან სჩანს, რომ საქართველოში არ არის განვითარებული საქარხნო მრეწველობა და რესპუბლიკის ფარგლებში არსებულ ქარხნებს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნილება საქარხნო ნაწარმოებზე; ამიტომ საჭიროა ხელი შევუწყოთ რესპუბლიკის ფარგლებში არსებული შინა-მრეწველობის დარგების გაუმჯობესება-განვითარებას.

ამ მიზნით აუცილებელია დაწვრილებით შესწავლა საქართველოში არსებული შინა-მრეწველობის ყველა დარგების, და ინსტრუქტორების, სუბინსტრუქტორების და კვალიფიციური მუშების მომზადება. რომლებიც ხელს შეუწყობენ შინა-მრეწველობის გაფართოება-განვითარებას.

იმ მიზნით, რომ დაუახლოვდეთ, კერძოდ გავეცნოთ შინა-მრეწველს, მის საჭიროებას, შინა-მრეწველობას, რომ აღმოუჩინოთ მათ თავის დროზე სათანადო დახმარება, რათა გავანთავისუფლოთ ისინი ექსპლოატაციისაგან და მივაწოდოთ გაუმჯობესებული ტიპის იარაღები, ნედლი მასალა და სხვა, და რომ აღმოუჩინოთ დახმარება შინა-მრეწ. პროდუქციის გასაღებაში, რესპუბლიკაში არსდება 30 არაიონო პუნქტი, სადაც იქნება ერთი გამგე, ერთი ინსტრუქტორი და საჩვენებელი სახელოსნო, რომელშიაც ისწავლიან ახალგაზრდა გლეხები და გლეხის ქალები.

ამას გარდა შემუშავებულია კიდევ მთელი რიგი ღონისძიებები, რომელთა გატარება ხელს შეუწყობს ჩვენი შინა-მრეწველობის გაუმჯობესებას.

წითელ ჯვარში

კონკურსი

წითელი ჯვრების მეთორმეტე საერთაშორისო კონფერენციას გამოცხადებული აქვს კონკურსი ისეთი ტიპის საკაცეზე, რომელიც მიუდგებოდა ყოველნაირ გადასაყვან საშუალებას (ავტომობილს, მატარებელს, აეროპლანს, ცხენს და სხ.); საკაცე ისეთნაირად უნდა იქნეს მოწყობილი, რომ აღნიშნულ გადასაყვან საშუალებებზე დადგმის დროს, საჭირო არ იქნეს მისი შეცვლა.

კონკურსი გამოცხადებულია აგრეთვე სხვადასხვა ტიპების საკაცეების ჩამოსაკიდ მოწყობილობებზე და სხ.

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება აპირებს ამ კონკურსზე საკაცეების და ა. კლდიაშვილის მიერ დაჭრილთა გამოგონებულ ეტლის მოდელების გაგზავნას.

წარმომადგენელი შვეიცარიაში

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებამ თავის წარმომადგენლად შვეიცარიაში დანიშნა ამხ. ბოგოცკი, რომელსაც აქვს აგრეთვე წარმომადგენლობის მანდატები დანარჩენ ნაციონალურ რესპუბლიკების წითელი ჯვრის საზოგადოებებისაგან.

წარმომადგენელი პარიზში

საბჭოთა კავშირის ნაციონალური რესპუბლიკების წითელი ჯვრის საზოგადოებებმა თავის წარმომადგენლად პარიზში აირჩიეს ამხ. ა. გ. რაკოვსკისა.

საკავშირო წითელი ჯვრების სესია

მიმდინარე წლის მაისში განზრახულია საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების წითელი ჯვრების და ნახევარ მთვარეების საზოგადოებათა სესიის მოწვევა თბილისში.

სამდღიური

მიმდინარე წლის მაისში განზრახულია წითელი ჯვრის ჩვეულებრივი სამდღიურის ჩატარება.

საფოსტო ქსელის გაფართოება

ფოსტა-ტელეგრაფი სოფლად და ქალაქად ერთ-ერთ მნიშვნელოვან და კულტურულ დაწესებულებას წარმოადგენს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მას დღეს საბჭოთა ხელისუფლების დროს, ქვეყნის კულტურულ და ეკონომიურად აღორძინების საქმეში.

გასაბჭოებამდე საფოსტო საქმეს არავითარი ყურადღება არ ექცეოდა. მეფის დროს მთელი ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალი პოლიციისა და ჟანდარმერიის გაძლიერებას უნდებოდა და საფოსტო ქსელის გაფართოებაზე არავინ ზრუნავდა. დღეს კი ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოს მუშაობის სიმძიმის მთელი ცენტრი მიმართულია საფოსტო ქსელის გაფართოებისაკენ, გლეხობასთან ცოცხალი კავშირის დასაჭერად. საქართველოს ბევრ მაზრებში და ავტონომიურ ოლქებში ეს მუშაობა უკვე ჩატარებულია, დანარჩენ მაზრებშიაც სულ ახლო მომავალში დამთავრდება მუშაობა და ამის შემდეგ საქართველოში ერთი სოფელიც არ იქნება დატოვებული საფოსტო კავშირის გარეშე.

საფოსტო ქსელის გაფართოების სისტემა დაახლოვებით ასეთია: ყველა დიდ პუნქტებში იხსნება საფოსტო სააგენტოები, რომლებიც აწარმოებენ ყოველგვარ ოპერაციებს, სოფლებისათვის კი ქირავდება სოფლის დამტარებელი, რომელიც კვირაში ორჯერ შემოივლის განსაზღვრულ სოფლებს და გლეხობას თავის სახლში აბარებს ჟურნალ-გაზეთებს, წერილებს, დეპეშებს, ფულის ბარათებს, ამანათებს ერთი სიტყვით აწარმოებს ყოველგვარ საფოსტო ოპერაციებს სოფლად. მასვე დაკისრებული აქვს ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნების გავრცელება გლეხობაში.

ცხადია, რომ ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის სამმართველოს მიერ გადადგმული ნაბიჯები დიდ როლს ითამაშებს ქალაქისა და სოფლის მჭიდროთ დაკავშირების, გლეხობის კულტურულ დონის ამაღლებისა და ქვეყნის ეკონომიურად აღორძინების საქმეში. დღის შემდეგ არც ერთი გლეხის ოჯახი არ უნდა დარჩეს უგაზეთოდ.

ამ მხრივ დიდი მოვალეობა აწევთ ფოსტალ- მუშაკებს, რომლებმაც პირნათლად უნდა შეასრულონ ეს დიდი და საპასუხისმგებლო საქმე.

დ. ჭ.

მუშა-ხელის მომზადება შრომის ინსტიტუტში

შრომის ცენტრალურ ინსტიტუტთან (მოსკოვში) არსებობს სააქციონერო საზოგადოება „უსტანოვკა", რომელიც სამი თვის განმავლობაში ამზადებს კვალიფიციურ ფეიქრებს და მელითონეებს.

ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატს განზრახვა აქვს შეუთანხმდეს ამ საზოგადოებას იმის შესახებ, რომ გახსნას თავისი განყოფილება თბილისში.

ჯერ-ჯერობით გამორკვეული არ არის, თუ რამდენი და ან რა კვალიფიკაციის მუშა ხელი დასჭირდება ჩვენ საწარმოო დაწესებულებებს.

მაგრამ მრეწველობის ზოგიერთი დარგის სწრაფი განვითარება,—განსაკუთრებით საფეიქრო მრეწველობის, გადაუდებელ ამოცანად ხდის ისეთ სამეცნიერო პრაქტიკული დაწესებულების მოწყობას, რომელიც იკისრებს მუშათა პროფესიულ მომზადებას. უახლოეს წლებისათვის ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო იქნება 2.000 კვალიფიციური მუშა ხელი—გაწვრთნილი ფეიქარი. ეს გარემოება იძულებულ ხდის შრომის სახალხო კომისარიატს და სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დააჩქარონ შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მოწყობა თბილისში. ამ მოკლე ხანში მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდა შრომის ცენტრ. ინსტიტუტის წარმომადგენელი, რომელიც შეუდგება სამზადისს ინსტიტუტის მოსაწყობად.

მოთხოვნილება კვალიფიციურ მუშა ხელზე იმდენად დიდია, რომ ა.-კ. შრომის სახალხო კომისარიატი იძულებული ხდება თავისი საკუთარი ძალებით მოაწყოს მოსამზადებელი კურსები ზოგიერთი პროფესიებისათვის.

სამშენებლო სეზონის დადგომისა და მშენებელ მუშების დიდის საჭიროების გამო, საქართველოსა და სომხეთში მოეწყო სამშენებლო კურსები. ამ მოკლე ხანში სომხეთში გაიხსნება აგრეთვე მანტიორების კურსები, რომლის გახსნაც გამოწვეულია საელექტროფიკაციო მუშაობის გაძლიერებით. გარდა ამისა შრომის კოლექტივების მნიშვნელოვანი ნაწილი შეუდგა მუშა ხელის მომზადებას. შრომის კოლექტივებზე მომაგრებული არიან ინსტრუქტორები და გაწრთვნილი ხელოსნები. მაგრამ ასეთი კურსებისაგან ბევრს არ უნდა მოველოდეთ, რადგან იქ მუშა ხელის მომზადებას ერთი წლით აგვიანებდენ იქ მიღებულ კვალიფიკაციაც უფრო ნაკლებია ვიდრე შრომის ინსტიტუტში, რომელიც მუშა ხელს ამზადებს 3 თვის განმავლობაში.

რკინის გზებზე

კურორტზე მიმავალ ავადმყოფების გადაყვანის წესი

გასული წლის მაგალითისამებრ, საკურორტო სეზონის დაწყების გამო ა/კ. რკ. გზ. სამმართველომ წინადადება მისცა გზის ყველა აგენტებს: კურორტებზე, სანატორიუმებში და დასასვენებელ სახლებში მიმავალ ავადმყოფებს და აგრეთვე იქიდან დაბრუნებულებსაც სამგზავრო ბილეთები და პლაცკარტები მისცენ პირველ რიგში.

თბილისში, ბაქოში და ერევანში, თუ ეს საჭირო იქნება, კურორტებზე მიმავალთათვის შეიძლება ცალკე [illegible] გამოყოფა.

საგარეუბნო სადგურები

ხის შენობა, რომელიც მდებარეობს თბილისის ვაგზლის მარცხენა მხარეს და რომელიც აქამდე იმყოფებოდა სამხედრო უწყების განკარგულებაში, ახლა ეწყობა საგარეუბნო მატარებლების მიმოსვლისათვის.

საგარეუბნო პლატფორმებზე ეწყობა ელექტრონის ზარები, მატარებლების წასვლის ნიშნის მისაცემად. გარდა ამისა განზრახულია მოწყობა ელექტრონის მაჩვენებლისა საგარეუბნო მატარებლების მოძრაობის საათების და მარშრუტის შესახებ.

სამუხრუჭო საქმე ა/კ. რკ. გზებზე

დღევანდლამდე ა/კ. რკ. გზების სამუხრუჭო განყოფილების მიერ კაზანცევის მუხრუჭებით მოწყობილია 250 დიდი კანადური და 200 პატარა ცისტერნა და 16 ორთქლმავალი. მიმდინარე წლის ოქტომბრამდე ამავე სისტემის მუხრუჭებით განზრახულია 350 დიდი კანადური, 1.300 პატარა ცისტერნების და 180 ორთქლმავალის მოწყობა.

სატელეფონო კავშირი

სატელეფონო კავშირი საქართ. ავტონომიურ რესპუბლიკებში

ამ დღეებში იწყება სატელეფონო მავთულის გაბმა შემდეგ ადგილებს შუა: ბათომ-ქობულეთი-აჭარისწყალი, ბათომ-სტეფანოვკა-ქობულეთი და სოფელ ხულუბანი-ჩოხათი, ტელეფონის ქსელის გაბმა ზემო აჭარის სოფლებში დაიწყება ზაფხულის დამდეგს.

აჭარისტანის სამაზრო აღმასკომებს ტელეფონის გასაყვანად უკვე დამზადებული აქვთ სატელეფონო ბოძები.

მიმდინარე თვის დამლევს დაიწყება აგრეთ 30 ტელეფონის ქსელის გაყვანა სამხრეთ-ოსეთში. ტელეფონის ხაზი გაყვანილი იქნება სამხრეთ-ოსეთის 14 რაიონში, რომელიც ამ ქსელით შეერთებული იქნებიან ცხინვალთან.

ტელეფონების გაყვანა სოფლად

მიმდინარე წელს [illegible] სოფლად [illegible] იწყებს სატელეფონო მშენებლობას ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მაზრებში. პროექტით განზრახულია ა.-კ. რესპუბლიკების მაზრები დაქსელილი იქნეს ტელეფონის მავთულით 800 კილომეტრის სიგრძეზე.

ეს დიდი სამუშაო საჭიროებს დიდ ძალ ტეხნიკოსებს და ამ ჟამად საოლქო კავშირის სამმართველო იწყებს მოსამზადებელ მუშაობას ტეხნიკური პერსონალის რაოდენების გასადიდებლად. სატელეფონო მშენებლობაზე სამუშაოდ მოწვეული იქნებიან, როგორც სახალხო შეერთების მუშაკთა კავშირის, ისე სხვა კავშირების უმუშევარ ტეხნიკოსები. ახალი სამუშაოები იწარმოებს საქართველოში (აჭარისტანით) სომხეთში და ნაწილობრივად აზერბეიჯანში.

ქრონიკა

მისალმებანი

ამიერ-კავკასიის ცაკმა კავკავიდან მიიღო შემდეგი დეპეშა:

„ინგუშეთის ავტონომიური რესპუბლიკის საბჭოთა მეორე საოლქო ყრილობა მხურვალეთ ესალმება თავის შეფს—ა.-კ. ს. ფ. ს. რ. ცაკს და მისი სახით ამიერ-კავკასიის ყველა ერებს".

საქ. სახალხო კომისართა საბჭომ მისასალმებელი დეპეშა მიიღო საქ. საბინაო კოოპერატივის პირველი ყრილობისაგან.

◆ **წიგნი ფერეიდანზე.** მასალები წიგნისათვის, „ფერეიდანელი ქართველები", უკვე დამზადებულია და მოკლე ხანში დაიწყება მისი ბეჭდვა. წიგნს, რომელშიც მოთავსებული იქნება მონოგრაფიები: დ. კარიჭაშვილის, ალნიაშვილის, პრივატ-დოცენტ ჩიქობავას, პ. დ. საყვარელიძის, ა. ქელიძის და სხვათა, სცემს სახელგამი.

წიგნს თანდართული ექნება ტოპოგრაფიული რუკა ფერეიდანისა და მისი მიდამოების.

საკავშირო გადაფრენისათვის ხელის შესაწყობად

1—3 მაისს საქართველოში მოხდება ფულის შეგროვება ყულაბებით 1926 წელში განზრახულ გადაფრენათა მოსაწყობად.

20.000 მან. ეკონომია

საქართველოს შინაგან საქმეთა სახ. კომისარიატმა მოახდინა სამეურნეო, საკანცელარიო და სხვა ზედნადები ხარჯების შემცირება 20 პროცენტით.

ეკონომიის საერთო თანხა შეადგენს 20 ათას მანეთს.

გოგირდის განაწილება

მიმდინარე სეზონში საზღვარ გარეთიდან მიღებული 60.000 ფუთი გოგირდი „ზაკსელმაშმა" შემდეგნაირად გაანაწილა: საქართველოს 12.000 ფუთი, აზერბეიჯანს 10.000 ფუთი, სომხეთს 5.000 ფუთი, 3.000 ფუთი განაწილებულ იქნა რესპუბლიკის ცალკე ორგანიზაციებს შორის.

30.000 ფუთი გოგირდი გადაეცა ამიერ-კავკასიის ბამბის კომიტეტს.

250 ტრაქტორი ამიერ-კავკასიისათვის

თბილისში მიღებულია ცნობა, რომ ნოვოროსისკში მოვიდა ამერიკული გემი 400 „ფორდზონით".

150 ტრაქტორი გაიგზავნება საბჭოთა რუსეთში. დანარჩენ 250 ტრაქტორს იგივე გემი ჩამოიტანს ბათომში. ტრაქტორები განაწილებული იქნება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის.

ა/კ. შინა და საგარეო ვაჭრობის გაერთიანებული კომისარიატი

ამიერ-კავკასიის ცაკმა დაამტკიცა დებულება ამიერ-კავკასიის ვაჭრობის გაერთიანებულ კომისარიატის შესახებ. კომისარიატში შედიან ეხლანდელი შინა და საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატები.

გაერთიანებულ სახ. კომისარიატის სათავეში იქნება ეხლანდელი ამიერ-კავკასიის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე **ლუკაშინი.**

გაერთიანებული სახ. კომისარიატი ალბად მოთავსებული იქნება იმ შენობაში, რომელიც ამ ჟამად ა.-კ. სასოფლო ბანკს და ა.-კ. საგარეო ვაჭრობის კომისარიატს უჭირავს. ა.-კ. სასოფლო ბანკი გადავა თბილისის საქონლის ბირჟის შენობაში.

თბ. აღმასკომში

◆ **საყინულეები.** თბ. აღმასკომმა გადასწყვიტა ა.-კ. რკინისგზის საჭიროებისათვის თბილისის რკ. გზის ხაზის გასწვრივ მოაწყოს საცივებელი საწყობები (საყინულეები).

◆ **უპატრონო ბავშვთა კოლექტორებს** თბ. აღმასკომის დადგენილებით კომუნალურ გადასახადებში მიეცემა 50 პროც. შეღავათი.

◆ **თიანეთის ხე-ტყის სახერხ ქარხანას** თბ. აღმასკომმა გადასცა ერთი ლოკომობილი.

◆ **სტადიონის მოწყობა.** განათლების განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს გეგმა თბილისში ახალი სტადიონების მოსაწყობათ.

◆ **ფუნიკულიორი,** რომლის გახსნა განზრახულია 1-ლ მაისიდან, იმუშავებს ღამის 2 საათამდე.

◆ **წყალსადენი** ქალაქს დღე-ღამეში აწვდის 1.700.000 ვედრო წყალს.

◆ **ვაზის ლერწი.** აღმასკომის საადგილმამულო განყოფილებამ ორთაჭალის სანერგეებისათვის შეიძინა 40 ათასი მეტრი ამერიკული ვაზის ლერწი.

სამეურნეო დაწესებულებებში

◆ **გუთნები.** აფხაზეთს გაეგზავნა 350 გუთანი.

◆ **ღვინის შეძენა.** აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გუდაუთის მხარის გლეხებისაგან ღვინის შესასყიდათ გადასდო 30 ათასი მანეთი.

◆ **ფირ-ფიცარის გატანა.** აჭარისტნის ფირ-ფიცარის ქარხანამ საზღვარგარეთ გაგზავნა გასასაღებლად 300 ათასი ცალი ფირფიცარი.

◆ **მებამბეობის კომიტეტი** შეუდგა ბამბის მეურნეობისათვის ბამბის თესლის და ავანსების დარიგებას.

შრომის კომისარიატში

◆ **საანგარიშო წიგნაკები.** შრ. სახ. კომისარიატმა უკვე დაამზადა ახალი საანგარიშო-დამზღვევი წიგნაკები, რომელიც დარიგებული იქნება 25 აპრილამდე. 1 მაისიდან ამ წიგნაკებით დაზღვეულებს მიეცემათ საექიმო დახმარება.

◆ **შრომის დაცვის** განყოფილებას წინადადება მიეცა გამოიკვლიოს შრომის დაცვის მდგომარეობა სამხედრო უწყებებში.

◆ **მშენებელთა კავშირის** წევრებისათვის შრ. სახ. კომისარიატი შეუდგა ცალკე საანგარიშო ფურცლების გამომუშავებას.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

◆ **დასასვენებელი სახლების** გამგეობა გადავიდა რესპუბლიკის სოც. დაზღვევის სამმართველოსთან. გამგეობის თავმჯდომარეთ დაინიშნა ამხ. **ნარჩემაშვილი.**

◆ **დამზღვევ სალაროების გამოკვლევა.** სოც. დაზღვევის სამმართველომ ინსტრუქტორ ბუღჰალტერი ამხ. ამაშუკელი მიავლინა ბორჯომის, ახალციხის და ახალქალაქის დამზღვევ სალაროების გამოსარკვევად.

◆ **შეღავათი.** სოც. დაზღვევის სამმართველომ საკავშირო სოც. დაზღვევის სამმართველოს წინაშე აღძრა შუამდგომლობა, რომ სახალხო მამულის „პსირცხას" მიენიჭოს შეღავათი დასაზღვევ ანარიცხების გადახდაში.

◆ **აბასთუმანის ახალი სანატორიუმის** საძირკვლის ჩაყრა მოხდება მიმდინარე თვის შუა რიცხვებში.

◆ **დაზღვევის თათბირი.** ამ დღეებში მოსკოვში გაიხსნება საკავშირო ორგანოების თათბირი, რომელზედაც საქ. დამზღვევი ორგანოები გზავნიან თავის წარმომადგენლებს.

სხვადასხვა

◆ **ტელეგრაფის და ტელეფონის ტეხნიკოსთა** კვალიფიკაციის ასაწევად, თბილისში იხსნება მოკლევადიანი კურსები.

◆ **წყალსადენი სოხუმში.** ადგილობრივი კომუნალური მეურნეობა შეუდგა სოხუმში წყალსადენის გაყვანისათვის წინასწარ მუშაობას. წყალსადენი დაახლოვებით დაჯდება 200 ათასი მან. და ქალაქს დღე-ღამეში მიაწვდის 50.000 ვედრო წყალს.

◆ **ფიზიო-ტერაპევტიული** ინსტიტუტი გაიხსნება ივლისში.

◆ **საქ. ცენტრ. სტატისტიკური** სამმართველოს შუამდგომლობით, სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა დაარსოს სტატისტიკურ-ეკონომიური განყოფილება.

◆ **ჯანმრთელობის კომისარიატის** ფარმაცევტიული განყოფილება მოკლე ხანში შეუდგება პროვინციის აფთიაქების გამოკვლევას.

◆ **ახალი წიგნი.** შალვა ჩხეტიამ (ყარამანიძემ) დასწერა ახალი წიგნი „საფრანგეთის დიდი რევოლიუციის მთავარი მომენტები".

კრებები და მოხსენებები

◆ **კბილის ამბულატორიის** შენობაში (პუშკინის ქ. № 10) 10 აპრილს საღ. 8 ს. დანიშნულია კბილის ექიმთა საერთო კრება.

◆ **განათლების მუშაკთა სახლში.** შაბათს 10 მარტს, საღამოს 8 საათზე. განათლების მუშაკთა სახლში მოეწყობა უფასო კინო გან. მუშ. სახლის წევრთათვის.

◆ განათლების მუშაკთა სახლთან არსებული საექსკურსიო ბიურო აწყობს მომავალ ზაფხულში ექსკურსიას მოსკოვში. ჩაწერა მიიღება გ. მ. სახლში 15 აპრილამდე. პირობების გაგება იქვე.

შემთხვევები

◆ **ცეცხლი.** 8 აპრილს, საკვამლე მილის გაუწმენდლობის მიზეზით იოსებ პეპიაშვილის სახლს გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა.

◆ **ქალის გატაცება.** სოფ. განაკში (საგარეჯოს თემია) სპულა ტერტერაშვილი თავს დაესხა მახარობლიშვილის 15 წლის ქალიშვილს მოტაცების მიზნით. მაგრამ ქალმა გაუწია წინააღმდეგობა, რის დროსაც ტერტერაშვილმა ქალი ხანჯლით დასჭრა რამდენიმე ადგილას.

◆ **შეპყრობა.** 8 აპრილს ქურდობისათვის შეიპყრეს ივანე ტიომპანო.

ხელოვნება

ქართული დრამა

„ვირის ჩრდილი"

ლ. ფულდისა.

ამ პიესის დადგმა განზრახული იყო ორი წლის წინედ. მოხერხდა მხოლოდ ხუთშაბათს, 8 აპრილს.

ჩვენი სასცენო ტეხნიკა და შესაძლებლობანი ამ სამი წლის განმავლობაში ისე განვითარდა, რომ ყოველი დადგმა იძლევა თავისებურ და მხატვრულ სისრულეს. ამ მხრივ აუდიტორიის გემოვნებაც ისე გამახვილდა, რომ ველარ შეურიგდება რაიმე საშუალოს და განმეორებულ ფორმებს.

„ვირის ჩრდილმა" სავსებით გაამართლა ეს ჩვენი თეატრის მიერ აღებული გეზი.

პიესაში მონაწილეობას იღებენ მხოლოდ დრამატიული სტუდიის ახალგაზრდა ძალები. მათ მუშაობაში ემჩნევა სისტემა და თანაბარი მეცადინეობა, რითაც იქმნება ცოცხალი ანსამბლი. ამ ცოცხალ ძალებთან, პიესის ტონას მიხედვით, კარგად არის შეფარდებული ტეხნიკური მხარეც და კოსტიუმებიც.

შემთხვევით თუ განზრახ სცენის ფონი ძალიან მოსწრებულათ არის მოცემული ირიბულ ხაზში შავ და ყვითელ ფერებად. პიესის მთელი ტონიც სწორედ ესევეა გაყოფილი.

ამასთან უნდა აღინიშნოს კინოს მოხდენილად გამოყენება ამ დადგმაში. პატარა სენსაციას იწვევს ვირის ჩრდილის გასეირნება თეატრის დარბაზში და ზეღურების ფრენა.

თვითონ პიესა მოსწრებულ და მსუბუქ ინტრიგებში მოცემული სატირაა დემაგოგიისა და თვალთმაქცობისა.

შინაარსი აღებულია ძველი საბერძნეთის ცხოვრებიდან.

ექიმი სტრუფიონი დაქირავებული ვირით მიდის მეორე სოფელში ავადმყოფთან. ცხელა. შუა გზაზე დაისვენებს ვირის ჩრდილში. ვირის პატრონი ანფრაქსი ქირას წაედავება ჩრდილშიც. მოყვათ ჩხუბი. მიდიან მოსამართლესთან საჩივლელად. მათ გამოუჩნდებიან მოქომაგეთ გაქნილი დემაგოგები. ისინი ამ დავას აძლევენ საერთო ხასიათს. მთელი ხალხი ტყდება ორ მოწინააღმდეგე პარტიათ. დავა მწვავდება. შიგ ერევიან ხელისუფლება, ქურუმები და დაინტერესებულ პირთა ცოლები. ამუშავდებიან სხვადასხვა სახის ქრთამებიც. მოწინააღმდეგენი იარაღითაც ჭკვეთებიან ერთმანეთს. ამასთან ორივე მხარე ერთმანეთის ჩუმათ დასახმარებლად მოუწოდებს მაკედონიის მეფეს—კასანდრეს.

საქმე იმითი თავდება, რომ კასანდრე შემოვა და ყველას თავის მორჩილად გადააქცევს.

ახალგაზრდა მსახიობებს ყველას უკლებლივ ემჩნეოდა საკმაო მომზადება და [illegible].

მაინც უნდა აღინიშნოს ანფრაქსის ცოლის გაშარჟებულ როლში **ხ. თაყაიშვილი,** რომელიც საღსა და ზომიერ კომიზმს იჩენს თავის კილოში და მიხვრა-მოხვრაში.

ყოველმხრივ მოხდენილი იყო **ხ. ჭიჭინაძე** თვალთმაქცი ლეკკიპას როლში.

კარგა ძარღვიანად თამაშობდა მევირე ანფრაქსის როლს ვ. გოძიაშვილი.

ივ. ლაღიძეს შესაფერი სასცენო გამოთქმა აქვს და ფილოსოფოს დემოკრიტის როლი უფრო მოუხდებოდა, რომ მეტ სულიერ სიდიადეს გადმოგვცემდეს.

კარგები იყვნენ პატარა, მაგრამ ცქრიალა როლებში **ნ. დოლიძე, ივ. ჯორჯაძე და ნ. მესხიშვილი.**

მასიური სცენებიც კარგა აქტიურათ არის დამუშავებული, მხოლოდ ემჩნევა სიმცირე მონაწილეთა.

საერთოდ სტუდიელების სახით ჩვენ ვხედავთ საუცხოვო ანსამბლს. „ვირის ჩრდილიც" თავის ხალისიანი და მოკლე როლებით მშვენივრად არის შერჩეული ამ ახალ ძალებისთვის. [illegible] დასძლიეს იგი.

დადგმა ეკუთვნის აკ. ფალავას.

უნდა საგანგებოთ აღინიშნოს თარგმანის სუფთა, მკვირცხლი და მადლიანი ენა, რომელიც ეკუთვნის **ი. გრიშაშვილს.**

ლელუ.

ხელოვნების ქრონიკა

— **მუშა-მწერლების გამოსვლა.** ნაძალადევში, 10 აპრილს პლეხანოვის სახელობის კლუბში მუშა-მწერალთა შემოქმედების საგამომცემლო ფონდის სასარგებლოდ გაიმართება სამუსიკო და სალიტერატურო საღამო. მონაწილეობენ: მომღერალი **ნიკო კუმსიაშვილი** და მსახიობი **ნიკო გოცირიძე** და ყველა მუშა პოეტები. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— **პროლეტარულ მწერალთა ასოციაციაში.** ხვალ, კვირას 11 აპრილს, დღის 12 საათზე ხელოვნების სასახლეში შესდგება პროლეტარულ მწერალთა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებას წაიკითხავს ამხ. აზატ ვშტუნი პროლეტარულ მწერალთა საკავშირო ასოციაციის უკანასკნელი კონფერენციის შესახებ.

— **მოძრავი კინო.** აღმასკომის სანიტარულ განყოფილების მოძრავი კინო ამ დღეებში შეუდგება ქალაქის სხვადასხვა ადგილების სანიტარულ სურათების ჩვენებას.

— **კომპოზიტორი ხპენდიაროვი.** ამ დღეებში თბილისში ჩამოვა ცნობილი სომეხი კომპოზიტორი ალ. **ხპენდიაროვი,** რომელიც მონაწილეობას მიიღებს თანამედროვე სომხური მუსიკის სიმფონიურ კონცერტებში.

— **„ანნა კრისტი".** 11 აპრილს წითელ თეატრში მსახიობ ქალის თ. მაქსიმოვას მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება „ანნა კრისტი".

— **მომღერალი ვ. შარაშიძე** ამ ჟამად მღერის ოდესის ოპერის თეატრში.

— **კონსერვატორიაში** გაიმართება რეშიმოვას და ლედნიკის კონცერტი.

— **„თამარ ცბიერი".** დღეს ოპერის თეატრში მესამეთ წარმოდგენილი იქნება „თამარ ცბიერი".

— **„ევგენი ონეგინი".** კვირას სახელმწიფო ოპერაში გაიმართება სანდრო ინაშვილის უკანასკნელი გასტროლი. მიდის „ევგენი ონეგინი".

— **„დათვური ქორწილი".** მომავალ კვირიდან თბილისის კინოებში იქნება „მეჟრაბპომ- რუს"-ის ახალი სურათი „დათვური ქორწილი".

— **„დეზერტირკა".** დღეს რუსთაველის თეატრში უკანასკნელად მიდის „დეზერტირკა".

— **„ვირის ჩრდილი".** ხვალ რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება მეორეთ.

ზაჰესი
სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია

„ზაჰეს"-ის დამთავრებასთან დაკავშირებულია ამ.-კავკ. რკინის გზის სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციის საკითხი. როგორც ზაჰესი, ისე რკინის გზის სამმართველო უკვე აწარმოებენ მოსამზადებელ მუშაობას ამ უბნის საელექტროფიკაციოდ. „ზაჰეს"-ის საამშენებლო კომიტეტის პროექტით განზრახულია ასამაღლებელი ქვე-სადგურის გაფართოება, რისთვისაც დაიდგმება ორი ტრანსფორმატორი—თვითეული 6 ათასი კილოუატით, რომელიც ენერგიას — 115 ვოლტამდე აიყვანს.

ქვე-სადგურის გაფართოების პროექტის შედგენა უკვე დასრულებულია და კრედიტი პროექტის განსახორციელებლად შეტანილ იქნება თბილისის აღმასკომის ბიუჯეტში.

გამწესრიგებელი სადგურის ახალი კორპუსის აგება და მოწყობა დამთავრებული იქნება მომავალი წლის გაზაფხულამდე.

ელექტრო - გადამცემი ხაზის გაყვანა - მოწყობა ხაშურ-სურამის საუღელტეხილო უბანში, რკინის გზის მოძრავი შემადგენლობის შეძენას კისრულობს ამ.-კავკ. რკინის გზათა სამმართველო. საამისო მუშაობა უკვე დაწყებულია და დამთავრდება 1927 წლის შემოდგომისათვის.

საუღელტეხილო უბნის საელექტროფიკაციოთ ენერგიის ტარიფად ნავარაუდევია 2.5 კაპიკი კილოუატ საათზე, რაც დიდათ ხელსაყრელია რკინის გზისათვის. ასეთი მცირე ტარიფი საგრძნობლად შეამცირებს სათბობ მასალაზე გასაწევ ხარჯებს, შეამცირებს მოსამსახურეთა რაოდენობას და სხვა.

სურამის საუღელტეხილო უბნის ელექტროფიკაციას მოჰყვება ზაჰესის დატვირთვა სხვა წარმოებათა მხრივ, რომელიც მოწყობილ იქნება თბილისის რაიონში ამ უახლოეს წლებში.

საგეგმო კომისიაში

აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის შესახებ

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა მოისმინა ამხ. ყირყისელაშვილს მოხსენება აჭარის წყალის ჰიდრო-ელსადგურის შესახებ. პრეზიდიუმმა დაადგინა: რადგან ნაწილი საგუბარისა უკვე გაკეთებულია. ამჟამად მისი მუშაობის შეჩერება იმისთვის, რომ გამოკვლეულ იქნეს, თუ რომელი ტიპის საგუბარის გაკეთება აჯობებდა ჰიდრო-ტეხნიკური თვალსაზრისით დაუშვებლად იქნეს ცნობილი. საგეგმო კომისიამ მიიღო რა მხედველობაში, რომ საკითხის გამორკვევისათვის საჭირო იქნება ადგილების გეოლოგიური გამოკვლევების წარმოება, რომელიც უნდა გაგრძელდეს ექვს თვემდე, გაზაფხულის წყალდიდობის გამო. მასთან ისიც, რომ ახალი ვარიანტების გახნილვას სათანადო ორგანოთა მიერ დასჭირდება ამდენივე დრო და სხვ.—დაადგინა: აჭარის წყალის 5.000 ცხენის ძალიანი ჰიდრო-ელსადგურის მუშაობის გაგრძელება დაწყებული ტიპის საგუბრის მიხედვით საჭიროდ იქნეს ცნობილი.

სადგურის ასაშენებლად დამტკიცებულ იქნეს მთელი ხარჯთ-აღრიცხვა 4.760.000 მანეთის რაოდენობით.

მესამე კვარტალის საკრედიტო გეგმა

საგეგმო კომისიის პრეზიდიუმმა დაამტკიცა საბიუჯეტო-საფინანსო სექციის მიერ წარმოდგენილი მთლიანი რესპუბლიკანური საკრედიტო გეგმა 29.051.000 მანეთის ფარგლებში.

აღიძრა შუამდგომლობა სათანადო უმაღლეს ორგანოთა წინაშე, რათა გაძლიერებულ იქნას სოფლის მეურნეობისათვის გრძელვადიანი სესხის მიცემა მიზნობრივი კრედიტის სახით.

საჭიროდ იქნა ცნობილი აჭარისტანის ტყის ტრესტისათვის კრედიტის გადიდება 100.000 მანეთამდე.

ეთხოვა საქართველოს ეკონომიურ საბჭოს წინადადება მიეცეს ს. მ. უ., საბჭოს ყველა კოოპერატიული ცენტრს, სახალხო მამულების ტრესტს, სახელმწიფო ვაჭრობას და ავტონომიურ რესპუბლიკებს, რათა მათ მიერ თავის დროზე იქნეს წარმოდგენილი საგეგმო კომისიაში ყოველ კვარტალისათვის დასაბუთებული საკრედიტო მოთხოვნილება.

„მწყემსი"

30 მარტს თბილისში შესდგა—„მწყემსის" ცენტრალური საბჭოს გაფართოებული სესია სარაიონო საბჭოს თავმჯდომარეების და განყოფილების გამგეების თანადასწრებით. სესიას თავმჯდომარეობდა ამხ. მოსე ვარამაშვილი. დღის წესრიგში იდგა გამგეობის მოხსენებები წარსულ წლის მუშაობის შესახებ და სარევიზიო კომისიის მოხსენება და სხვა. საბჭოს წევრმა მწყემსებმა მიიღეს ცოცხალი მონაწილეობა საკითხების გაშუქებაში და გადაწყვეტაში.

მოხსენებიდან გამოირკვა, რომ წარსულ სამოქმედო წელში, გამგეობას თავის მუშაობაში შეხვედრია მრავალი დაბრკოლებანი. მაგრამ მიუხედავათ ამისა, მას მაინც მოუსწრია 47 ათასი ფუთ მატყლის დამზადება. გამგეობას ჩამოუყალიბებია განყოფილებები: ქიზიყში, თელავში, და თბილისში და ამასთან ერთად მოუწყვია მრავალი ქვე-განყოფილებები. გამგეობას დაუყენებია სწორ კოოპერატიულ საფუძველზე თბილისის შეძენ-გამსაღებელ პუნქტების მუშაობა.

საბჭომ დაავალა, გამგეობას მიიღოს მთელი რიგი ზომები ორგანიზაციულ მუშაობის გასაძლიერებლად და მწყემსობაში კულტურის შესატანად. დადგენილი იქნა აგრეთვე წელს აუცილებლად იქნას გახსნილი კახეთის რაიონში მეძროხეობის ფერმა, რათა ჩვენი მეძროხეობა გადავიდეს რაციონალურად რძის დამუშავებაზე. საბჭოსავე დადგენილობით მომავალში წლიური საზოგადო ყრილობა მეცხვარეთა ამხ. „მწყემსის" შესდგება 25 აპრილს, დაბა „წითელ-წყაროზე", შირაქთან ახლო. სადაც თავმოყრილია საქართველოს მეცხვარეების დიდი უმრავლესობა.

საბჭომ მოაწყო ექსკურსია გამგეობასთან და თანამშრომლებთან ერთად ავჭალის ჰიდრო-ელექტრონულ სადგურის სანახავად. რამაც ღრმა შთაბეჭდილება დასტოვა ყველა ამხანაგებზე.

ვ. ათანელიშვილი.

წითელ ჯარში
წითელი არმია და სამოქალაქო ბიბლიოთეკა

ცხადზე უცხადესია ყველასათვის, რომ წითელი არმია მუშათა კლასის და გლეხობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და თვითეული წითელი არმიელი სარგებლობს ყოველგვარ იმავე სამოქალაქო უფლებით, რითაც სარგებლობს ყველა მშრომელი.

ამ შემთხვევაში ჩვენ გვინდა შევეხოთ წითელ არმიელისათვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს—წითელ არმიელების მიერ სამოქალაქო ბიბლიოთეკებში წიგნით სარგებლობის შესახებ. სამხედრო ბიბლიოთეკებში, როგორც წითელ არმიელთა ნაწილებში, ისე სადივიზიო ცენტრალურ ბიბლიოთეკებში წიგნებით სარგებლობენ არა მარტო წითელ არმიელნი, არამედ მშრომელი მოქალაქენიც. უკანასკნელთა რიცხვი ჩვენ სადივიზიო ბიბლიოთეკებში აჭარბებს ჩაწერილ წითელ არმიელთა რიცხვს. და თუ ავიღებთ ტერიტორიალურ ნაწილებს და მწვევანდელთა მზადების წერტებს, იქ არსებული ბიბლიოთეკები და ლენკუთხეები უმთავრესად გლეხთა შორის აწარმოებენ მუშაობას. ჩვენის აზრით ასეთივე წესით სამოქალაქო ბიბლიოთეკებშიაც უნდა მიეცეთ წითელ არმიელებს წიგნებით სარგებლობის უფლება, თანაბრად სხვა მოქალაქეთა. სამწუხაროდ ზოგ შემთხვევაში ჩვენ სინამდვილეში ეს არ ხდება. მაგალითისათვის მივმართოდ ქუთაისის „ინტერნაციონალის" სახელობის მუშათა კლუბის ბიბლიოტეკის გამგეს. უკანასკნელი ცივ უარს უცხადებს წითელ არმიელებს და უფპოლიტშემადგენლობის პირებს „ამის" ბიბლიოთეკაში წიგნებით სარგებლობაზე. „წითელ არმიელები მოძრაობენო", „ჩვენ გვეკარგება წიგნები"-ო „მიმართეთ ცენტრალურ სამოქალაქო ბიბლიოთეკას, შეიძლება იქ მოქცენო" და სხვა. ასეთი მიდგომა საკითხისადმი არავითარ შემთხვევაში სწორად არ ჩაითვლება, ამაში არ დაიდანაშაულებიან ბიბლიოთეკის გამგეს პროფკავშირების უმაღლესი ორგანოებიც, რომლნიც ხელმძღვანელობენ მუშათა კლუბების მუშაობას. მუშათა კლუბებში პირიქით უნდა იქნეს შექმნილი ყოველგვარი პირობები მშრომელთა მასის და წითელ არმიელების დაახლოვების მიზნით. მუშათა და საერთო სამოქალაქო კლუბებში და ბიბლიოთეკებში წითელ არმიელებს არა მარტო უნდა მიეცეს წიგნებით სარგებლობის უფლება, არამედ იქ უნდა მოეწყოს სამხედრო კუთხეები და სამხედრო წრეები. სამოქალაქო და მით უმეტეს მუშათა ორგანიზაციებმა მტკიცე კავშირი უნდა იქონიონ წითელ არმიასთან და ისარგებლონ ყოველ ცალკე შემთხვევით, რომელიც ამ კავშირს გაამტკიცებს. წითელარმიელების მიერ სამოქალაქო ბიბლიოთეკებში წიგნებით სარგებლობა კი სწორედ ერთ-ერთ ასეთ საშუალებას წარმოადგენს.

ივ. რუ—ი.

სასამართლო

ვალერიან ვასილენკოს საქმე

გუშინ აღმოსავლეთ საქართველოს ოლქის სასამართლომ ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით დაიწყო ვალერიან ვასილენკოს საქმის გარჩევა.

ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ტიმოფეევი, ბრალს სდებს პროკურორი აბაკელია.

ვალერიან ვასილენკოს ბრალათ ედება 2500 მანეთის გაფლანგვა ამიერ-კავკასიის რკინის გზის საავადმყოფოს სამნეო ნაწილის გამგეთ ყოფნით დროს.

გამოწვეულია მოწმეები და ექსპერტები.

განაჩენი თამბაქოს ტრესტის თანამშრომელთა საქმე

სასამართლომ საქმეში დართულ მასალების და მოწმეთა ჩვენების მიხედვით იცკევიჩის, ალაბოვის და ალანიას მიმართ წამოყენებული ბრალდება დამტკიცებულათ სცნო და მიუსაჯა მათ ერთი წლით პირობითი დაპატიმრება.

ხულიგნობისათვის

სახალხო სასამართლომ ხულიგნობისათვის ნიკოლოზ ამილახვარს მიუსაჯა ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა.

მეცნიერება და ტეხნიკა

ორთქლმავლების გამძლეობა

რა მანძილის გავლა შეუძლიათ ორთქლმავლებს პირველ დიდ რემონტამდი? გერმანიის ორთქლმავლებისათვის ეს მანძილი მერყეობდა 1000-დან 2000 კილომეტრამდი, ამერიკელ ორთქლმავლებისათვის 800-დან 1000 კილომეტრამდი. მაგრამ უკანასკნელ დროს გერმანიაში დამზადებული ორთქლმავლები პირდაპირ გასაოცარი არიან ამ მხრივ: მათ შეუკეთებლად შეუძლიათ 200.000 კილომეტრის გავლა.

8 დღე-ღამე უძილოთ

საშუალო საუკუნოებში არსებობდა წამების ერთი უსაშინელესი ფორმა: პატიმარს არ აძლევდნენ დაძინების საშუალებას. ასეთ წამებაზე დასთანხმდა, ნებაყოფლობით, ამ რამოდენიმე ხნის წინათ ორი ჩიკაგოელი (ამერიკა) ექიმი. მათ არ ეძინათ 115 საათის განმავლობაში. ისინი თვალყურს ადევნებდენ ერთმანეთს, სპეციალური ასისტენტები კი მორიგეობდენ, რომ მათ უნებლიეთ არ დაეძინებოდათ. ორი დღე-ღამის სიფხიზლის შემდეგ უძილობა ძალიან გაუჭირდათ, მეხუთე დღის დასასრულს კი სიფხიზლე წამებათ გადაექცათ. გამოსაძინებლათ, 5 დღის უძილობის შემდეგ მათთვის საკმაო აღმოჩნდა 10 საათი. ორი დღის შემდეგ მათ სავსებით დაისვენეს.

ასეთივე ცდა მოახდინა 8 სტუდენტმა ვაშინგტონის უნივერსიტეტში. ექვსმა მათგანმა უძილოთ გაატარა 6 დღე, დანარჩენმა ორმა კი—8.

ინდივიდუალური მოთხოვნილება ძილზე სხვადასხვანაირია. საშუალო ნორმალური მოთხოვნილება ძილზე ადამიანისათვის ასეთია: ახალშობილისათვის თითქმის მთელი **დღე-ღამე, ორი წლის ბავშვისათვის** საათი. 3 წლისათვის—12 საათი, მოზრდილისათვის—9-10 საათი, დიდისათვის—8 საათი. მოხუცი უფრო ნაკლებ ძილს საჭიროებს.

ქრონიკა

წამალი ტელეგრაფით

უკანასკნელ დრომდი კოლონისტები ცენტრალურ ავსტრალიაში მოკლებული იყვენ საექიმო დახმარებას. ახლაც არის ავსტრალიაში რაიონები, სადაც ერთი ექიმი მოდის მთელი რუსეთის ერთ გუბერნიის ოდენა მანძილზე. ეს ექიმი მძიმე შემთხვევაში აეროპლანით მიფრინავს ავადმყოფთან. ჩვეულებრივი კი საექიმო რჩევა-დახმარებას იგი რადიოთი აძლევს. ხდება ეს ასე: უახლოეს საფოსტო პუნქტზე მიდის ავადმყოფის რომელიმე ნათესავი, გამოიძახებს ექიმს, აცნობს მას ავადმყოფობის ისტორიას და ნიშნებს. ექიმი არკვევს ავადმყოფობას და რადიოთი გზავნის რეცეპტს. ფოსტის მოხელე, რომელიც იმავე დროს ფარმაცევტიც არის, ამოწმებს დეპეშით გადმოცემული რეცეპტის სისწორეს და ამზადებს წამალს. ასეთი საფოსტო პუნქტი, სადაც ფოსტის მოხელე იმავე დროს ფარმაცევტიც არის, ავსტრალიაში ორასამდეა.

რადიო-ინგლისში

ინგლისის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრმა საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნა, რომ ამჟამად ინგლისში რადიოს მოყვარულთა რიცხვი 1.906.000 უდრის. რაც სახელმწიფოს თერმეტ მილიარდ მანეთს შემოსავალს აძლევს.

გადამცემი რადიო-სადგურები ამერიკაში

შეერთებულ შტატებში უფრო მეტი რადიო-სადგურებია, ვიდრე ყველა დანარჩენ სახელმწიფოებში. უკანასკნელი ცნობებით, მთელ მსოფლიოში არსებული 833 რადიო-გადამცემი სადიო-სადგურებთან 534 შეერთებულ შტატებშია და მხოლოდ 299 დანარჩენ ქვეყნებში.

ნარევი

იმპერიალისტური ომის მსხვერპლნი

შრომის საერთაშორისო ბიურომ ჟენევაში ახალი ცნობების მიხედვით გამოარკვია იმპერიალისტური ომის ინვალიდების რაოდენობა. სულ იმპერიალისტურმა ომმა დასტოვა 6.539.000 ინვალიდი. ყველაზე მეტია მათი რიცხვი გერმანიაში—1.537.000 კაცი, 1.500.000—საფრანგეთში, 900.000 — ინგლისში, 800.000—იტალიაში, 775.000—საბჭოთა კავშირში, 320.000—ბელგიაში და 157.000—შეერთებულ შტატებში

ინგლისის ძველი ვალები

მიმდინარე წლის დასაწყისში იტალიასა და ინგლისს შორის მოლაპარაკება სწარმოებდა ვალების მოწესრიგების შესახებ. იტალიას კარგა მოზრდილი თანხა მართებს ინგლისს. იტალიურმა გაზეთმა „მესსაჯერომ" ამ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით ინგლისის მიერ 1345 წ. იტალიაში აღებული ვალი გაიხსენა.

ინგლისის მეფემ ედუარდ მე-3-ემ ფლორენციის ბანკირებისაგან ისესხა 1.600.000 ოქროს ფლორინი, (ძველი იტალიური ფულია, დაახლოებით ერთ მანეთს უდრიდა), საფრანგეთის წინააღმდეგ ომის საწარმოებლათ. სესხის აღებამ გამარჯვება მოუპოვა ინგლისს. ინგლისმა ვალი არ გადაიხადა, რასაც შედეგათ ფლორენციელ ბანკირების გაკოტრება მოჰყვა. ამ ვალის ჯამი, თუ თავს 580 წ. პროცენტები დაემატება (2½% წელიწადში), ბევრათ აღემატება იტალიის დავალიანებას ინგლისისადმი.

საინტერესოა რით ამართლებს ინგლისი ამ ვალის გადაუხდელობას იმ დროს, როცა ასე თავგამოდებით მოითხოვს საბჭოთა კავშირის მშრომელებისაგან მეფის ვალების გადახდას?

მარცხები ინგლისის რკინის გზებზე

„რეილუეი გაზეტ"-ში („რკინის გზის გაზეთი") მოთავსებული ცნობების თანახმად, ინგლისის რკინის გზებზე მთელი 1925 წ. განმავლობაში 21 უბედურ შემთხვევას ჰქონია ადგილი, ამათგან მხოლოდ ერთს მოჰყვა სასიკვდილო შედეგი. ათი უბედური შემთხვევა სამგზავრო მატარებლების დაჯახების შედეგი იყო, ერთი შედეგათ მოჰყვა საბარგო მატარებლის გადავარდნას ლიანდაგიდან, ერთი—მუხრუჭების უვარგისობის, რვა რკინის გზისაგან დამოუკიდებელი მიზეზების.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ 1925 წლის განმავლობაში ინგლისის რკინის გზებით გადაყვანილი იქნა 1.200.000 მგზავრი, მაშინ აშკარა იქნება, რომ უშიშროების მხრივ ინგლისის რკინის გზებს პირველობა ეკუთვნით.

ფიზიკური კულტურა

ფეხბურთელების ჩამოსვლა

აპრილის შუა რიცხვებში ამიერ-კავკასიაში ჩამოვა საკავშირო სპორტიულ საზოგადოება „დინამოს" ფეხბურთელთა პირველი გუნდი.

ბაქოში გუნდს ექნება სამი შეჯიბრება „დინამოს" საზოგადოების ადგილობრივ ჯგუფთან და ქალაქის შენაკრებ ჯგუფებთან.

გარდა ამისა შეჯიბრება მოხდება თბილისში და ბათომში.

მორიგი შეჯიბრი

კვირას, 11 აპრილს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება პირველი კატეგორიის ფეხბურთელთა გუნდების შეჯიბრი. დღის I საათზე: „დინამო—„ლენრაიონი", ნაშუადღევის 3 საათზე „სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი" — „არსენალის რაიონი".

თბილისი-ნიკოლაევი

ნიკოლაევის ფიზკულტურის საბჭომ შუამდგომლობა აღძრა ფიზკულტურის თბილისის საბჭოს წინაშე, რათა გაგზავნილი იქნეს ნიკოლაევში რამოდენიმე შეჯიბრის გასამართავად იქაური გუნდებთან თბილისის ნაკრები გუნდი.

თბილისის გუნდის მოგზაურობა დაიწყება საგაზაფხულო სეზონის დამთავრების შემდეგ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

სადისციპლინო წესდება საპატიმრო ადგილებისა

(გაგრძელება)

თავი III.
უფროსის ბრძანება

10. უფროსის ბრძანება უნდა იყოს სწორი, გარკვეული და, შეძლებისდაგვარათ, მოკლე. განკარგულების გაცემისთანავე უფროსი გამოჰკითხავს ხელქვეითს, რათა გაიგოს—შეიგნო მან ბრძანების შინაარსი თუ არა.

11. უფროსს შეუძლიან მისცეს ხელქვეითს მხოლოდ სამსახურებრივი ხასიათის ბრძანება, ე. ი. ისეთი ბრძანება, რაც შეეხება კანონით და წესდებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობას საპატიმრო ადგილის მოსამსახურისას.

12. უფროსი ვალდებულია მოსთხოვოს ხელქვეითს გაცემული ბრძანების სისწორით აღსრულება და კანონით ნებადართული ყოველგვარი საშუალებით აიძულოს იგი ამ ბრძანების შესრულებისათვის.

13. უკეთუ ბრძანება არ იქნება შესრულებული ბრძოლის გარემოებაში ან უკეთუ ხელქვეითი სამსახურის მოვალეობის აღსრულების დროს ძალით ან იარაღით წინააღმდეგობას გაუწევს უფროსის ბრძანების შესრულებას, უფროსი ვალდებულია იარაღი იხმაროს და შეასრულებინოს ხელქვეითს გაცემული ბრძანება. იმ შედეგისათვის, რაც აღნიშნულ განსაკუთრებულ ღონისძიებას მოჰყვება, უკეთუ იგი ხმარებულ იქნა ნამდვილი საჭიროების მიხედვით, უფროსი პასუხს არ აგებს.

14. უფროსი, რომელმაც იარაღს მიმართა, მოვალეა დაუყოვნებლივ, ან პირველი შეძლებისთანავე, მოახსენოს ეს თავის პირდაპირ უფროსს, ხოლო უკანასკნელი, მიუხედავათ იმისა, თუ რა შედეგი მოჰყვა ასეთ უკიდურეს ღონისძიებას, მოახდენს განკარგულებას ამ შემთხვევის გამოსაკვლევად.

15. ხელქვეითი ვალდებულია დაუყოვნებლივ და სისწორით შეასრულოს უფროსის კანონიერი ბრძანება.

16. უკეთუ ხელქვეითი, რომელმაც ბრძანება მიიღო ერთ-ერთი უფროსისაგან, კვლავ მიიღებს ახალ ბრძანებას სხვა უფროსისაგან, იგი მოვალეა მოახსენოს ამ უკანასკნელს წინად მიღებული განკარგულება, და მოიქცეს ისე, როგორც უბრძანებს უკანასკნელი ბრძანების გამცემი პირი. ის უფროსი, რომელიც შესცვლის ან გააუქმებს უმაღლესი უფროსის ბრძანებას, ვალდებულია ამ ბრძანების შეცვლა და გაუქმება დაუყოვნებლივ მოახსენოს მას.

17. ხელქვეითმა არ უნდა შეასრულოს ისეთი ბრძანება, რაც მისგან მოითხოვს დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენას.

მიიღებს რა ასეთ ბრძანებას, ხელქვეითი არ შეასრულებს მას და ვალდებულია დაუყოვნებლივ მოახსენოს ეს უფროსს ხელქვეითობის წესისამებრ ან საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოს ან და, თუ ესენი არ იქნებიან,—უახლოეს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარეს ან ერთ-ერთ წევრს.

უფროსის ბრძანებით ჩადენილი დანაშაულისათვის დაისჯება კანონით განსაზღვრული სასჯელით, როგორც ის უფროსი, რომელმაც ბრძანება გასცა, აგრეთვე ის ხელქვეითიც, რომელმაც ეს ბრძანება შეასრულა.

თავი IV.
წამახალისებელი ღონისძიებანი

18. წამახალისებელი ღონისძიება მიიღება, თანახმად არსებული წესისა, უფროსის მიერ იმ ხელქვეითის დასაჯილდოებლად, რომელმაც თავი გამოიჩინა სამსახურის აღსრულების დროს, ან თავი გამოიჩინა კარგი ყოფაქცევით, მუყაითობით და საპატიმრო ადგილის სამსახურის ცოდნით.

თავი V.
სადისციპლინო სასჯელი

19. უფროსს არა აქვს უფლება ხელქვეითის მიერ ჩადენილი მცირე დანაშაული დასტოვოს ისე, რომ სათანადო სადისციპლინო სასჯელი არ დაადოს.

20. საპატიმრო ადგილისათვის დამყარებული სამსახურებრივი დისციპლინის საწინააღმდეგო მცირე დანაშაულად ჩაითვლება საპატიმრო ადგილის მოსამსახურის მიერ კანონით და წესდებით განსაზღვრულ მოვალეობისა და ყოფაქცევის წესების დარღვევა, ან სამსახურისადმი არაკეთილსინდისიერი, უყურადღებო და დაუდევარი მოპყრობა, რაც თავის თავად არ შეიცავს სისხლის სამართლის წესით დასასჯელი ქმედობის ნიშნებს.

21. საპატიმრო ადგილის თანამშრომელს მცირე დანაშაულისათვის შეიძლება დაედოს შემდეგი სასჯელი:

1) შენიშვნა ან გაფრთხილება სიტყვიერად ან ბრძანებაში გამოცხადებით;
2) საყვედური სიტყვიერი, წერილობითი, ან ბრძანებაში გამოცხადებით;
3) ჩამორთმევა ოთხი თვიდან რვა თვემდი სამსახურში დაწინაურებისა და აგრეთვე ჯილდოს და წარჩინების მიღების უფლებისა;
4) დაპატიმრება 30 დღე და ღამემდე;
5) დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენება.

22. საპატიმრო ადგილის ბრალეულ ხელქვეით მოსამსახურისათვის სადისციპლინო სასჯელის დადების უფლება აქვს შემდეგ უფროსებს:

1) საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსს;
2) საპატიმრო ადგილების მთავარი სამმართველოს უფროსის თანაშემწეს და ინსპექტორს;
3) გამასწორებელი სახლის და იზოლიატორის უფროსსა და მის მოადგილეს;
4) მაზრის საპატიმრო სახლის უფროსს;
5) საპატიმრო ადგილის უფროსის უმცროს თანაშემწეს;
6) უფროს ზედამხედველს და
7) განყოფილების ზედამხედველს.

23. ზემოჩამოთვლილ უფროსებს უფლება აქვთ:

1) უფროს ზედამხედველს და განყოფილების ზედამხედველს—მისცეს ხელქვეითს სიტყვიერი შენიშვნა ან გაფრთხილება;
2) საპატიმრო ადგილის უფროსის უმცროს თანაშემწეს განუცხადოს სიტყვიერი საყვედური და დააპატიმროს იგი სამ დღე და ღამემდე;
3) მაზრის საპატიმრო სახლის უფროსს—დააპატიმროს 5 დღე და ღამემდე—ჩამოართვას სამსახურში დაწინაურებისა და ჯილდოს მიღების უფლება, აგრეთვე ჩამოაყენოს დაბალ თანამდებობაზე;
4) ცენტრალური საპატიმრო ადგილის უფროსს და მის მოადგილეს—დააპატიმროს 14 დღე და ღამემდე;
5) საპატიმრო ადგილის ინსპექტორს—დააპატიმროს 20 დღე და ღამემდე;
6) საპატიმრო ადგილის განყოფილების უფროსს და მის მოადგილეს—დააპატიმროს 30 დღე და ღამემდე.

24. ზე-მდგომ უფროსს სასჯელის დადების სფეროში აქვს ყველა ის უფლებები, რაც აქვს ქვემდგომ უფროსს.

25. სადისციპლინო სასჯელის დამდებმა უფროსმა სასჯელის გვარისა და ზომის განსაზღვრის დროს მხედველობაში უნდა მიიღოს ხელქვეითის დანაშაულის ხასიათი, პირობები რომელშიაც ჩადენილია იგი, სამსახურის ხანგრძლივობა, დამნაშავის წინანდელი ყოფა-ქცევა, მისი განათლება და საერთო განვითარება და ჯანმრთელობის მდგომარეობა — განსაკუთრებით დანაშაულის ჩადენის დროს

შენიშვნა. უკეთუ საპატიმრო ადგილის თანამშრომელი სამსახურისაგან თავისუფალ დროს მთვრალი გამოცხადდება სადმე საჯარო ადგილას, იგი სადისციპლინო წესდების ძალით დაისჯება ან დაპატიმრებით 14 დღე და ღამიდან 30-მდე. ან დაბალ თანამდებობაზე ჩამოყენებით; ხოლო სამსახურის ასრულების დროს სიმთვრალისათვის ის დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსის 112 მუხლში გათვალისწინებულ სასჯელით.

(დასასრული იქნება)

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ დღეს, შაბათს 10 აპრილს საღამოს 5 საათზე რაიკომის შენობაში (პლეხ. 96) გაიმართება მე-2 რაიონის პარტკორების და უჯრედთა ინფორმატორების თათბირი.

ყველა გამოყოფილ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

შაბათს, 10 აპრილს, საღამოს 7 საათზე რემედასის საქ. ცეკაში (კომინტერნის ქ. № 5) დანიშნულია რემედასის საქ. ცეკას და რემ. თბილისის კომიტეტის პრეზიდიუმის წევრთა გაერთიანებული სხდომა.

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისათვის:

მ. ჩოდრიშვილი, ჯიჯაძე, მუშიშვილი, რუხაძე არჩ., ჯაიანი, ატაბეგოვი-ტუმასი, შ. ნუცუბიძე, ჭელიძე, ბელიაევი, არაზაშვილი, ნაცვლიშვილი, ასრიბეკოვი, გიკ, გუდაძე, გენიალიძე, მუმლაძე, კიზირია და ქუთათელაძე

დღეს, შაბათს, 10 აპრილს, საღ. 6 საათზე ს. ქ. პ. (ბ) ც. კ. შენობაში (მ. ოკუჯავას კაბინეტში) შესდგება კოოპერატიულ საბჭოს ფრაქციის სხდომა.

დასწრება სავალდებულოა ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებისათვის: ოკუჯავა, ტოროშელიძე, ნაფეტვარიძე, კაკაბაძე, მგალობლიშვილი, ბოლქვაძე, აკიმოვი, ელისაბედაშვილი, ახმეტელი, ალანია, აივაზოვი, კავკასიძე, კალანდაძე, ჯუღელი, ნახარიძე.

შაბათს, 10 აპრილს, საღამოს 7 საათზე გაიმართება საქ. კომპარტიის ცეკას ბეჭდვითი სიტყვის განყოფილების კოლეგიის მორიგი სხდომა. სხდომის დღის წესრიგშია:

1. საქართველოს საგაზეთო ქსელის შესახებ. 2. ჟურნ. „მნათობი"-ს რედაქ. მოხსენება. 3. პირველი მაისის დღესასწაულის კამპანიის ჩატარება პრესაში. 4. ბეჭდვითი სიტყვის დღე. 5. ცირკულიარი მუშათა და სოფლის კორესპონდენტთა მოძრაობის ხელმძღვანელობის შესახებ.

კოლეგიის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

იურიდიული რჩევა-დარიგება

მერგება თუ არა შრომის ხელფასი

კითხვა

მე ვმსახურობდი რაჭის მაზრის სოფ. სადმელის 7 წლიან შრომის სკოლაში მასწავლებლის თანამდებობაზე, 1924—25 წ. წ. სამოსწავლო წელში. გასული წლის 25 აგვისტოში მე მიმავლინა იმავე მაზრის აღმასკომმა ქ. თბ. ცენტრ. პედაგ. ინსტიტ. სტიპენდიანტად. მხოლოთ უკვე თუ მე გამოცდებს ვერ ჩავაბარებდი, იმ შემთხვევაში ჩემი ადგილი მენახებოდა მასწავლებელის. მაგრამ მე ჩავაბარე გამოცდები და მოვეწყვე ინსტიტუტში. ყოველივე ეს გამოირკვა გასული წლის ე. ი. 25 წ. ოქტომბრის რიცხვში. ცხადია ამ დრომდის თუ მენახებოდა ადგილი, ხელფასიც უნდა შემნახოდეს, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა სექტემბრის თვის ხელფასით არ დამაკმაყოფილეს, რასაც უკანონოდ ვსთვლი, რადგან თითქმის ყველამ, ვინც მასწავლებელი იყო და მივლინებული სადმე სასწავლებელში, დაკმაყოფილდენ სექტემბრის თვის ხელფასით და მე გამონაკლისს არ უნდა შევადგენდე.

ამისთვის გთხოვთ განმარტებას, მერგება თუ არა ხსენებული თვის ხელფასი. თუ მერგება როგორ მოვიქცე და ვის მივმართო.

ყოფილი მასწავლ. რაჭ. მუს—ძე.

პასუხი

თუ თქვენ ინსტიტუტში მივლინების დროს სკოლის ადმინისტრაციას არ გაუსწორებია სრული ანგარიში და სამსახურიც პირობების თანახმად, გენახებოდათ, ცხადია, რომ თქვენ ხელფასი გენახებოდათ იმ დრომდე, როდესაც თქვენ ფორმალურადაც მოხსნილი იქნებოდით სამსახურიდან.

ყოველ შემთხვევაში ყველაფერი ამის დასადასტურებლად თქვენ უნდა მიმართოთ შრომის სასამართლოს.

გრიგოლ (გრიშა) ამბაკოს ძე დუმბაძე ამით აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ მისთვის დაუვიწყარის მეუღლე-ამხანაგის

მარიამ (მაშიკო) იორაიშვილი დუმბაძის

გარდაცვალების ორმოცი დღის თავზე, კვირას 11 აპრილს დღის 1 საათზე გადახდილი იქნება პანაშვიდი ვერის სასაფლაოზე

ღრმად დამწუხრებულნი ცოლი ნინო ბერძნიშვილი და შვილები: პეტრე, ვასიკო, ალექსანდრე, მარუსია, თამარა და ელენა, სიძეები: ვასო ედიშერაშვილი, იოსებ დემურაშვილი და ნათესავები აცხადებენ, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დაუვიწყარი

პავლე ფრიდონის-ძე ბერძნიშვილი

დაკრძალვა მოხდება კუკიის სასაფლაოზე შუადღის 12 საათზე კვირას, 11 აპრილს დიღომბარისახის ქუჩა №15 საკ. სახლი. ღ. ნ.

ღრმად დამწუხრებული მამა მიშა და დედა ნინა, ძმა ოთარი, ბაბუები აპოლონი და დათიკო, ბიძა საშა ფალავანდიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ მათთვის ძვირფასი

გივი მიშას-ძე ფალავანდიშვილის

უდროოთ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება 11 აპრილს, დღით კვირას, 1 საათზე მცხეთაში. 2119 1—1

ღრმად დამწუხრებული მშობლები მარიამი და გიორგი კარიჭაშვილები, შვილებით რაისა და შალიკოთი, დიდედა ნინო ალექსის ასული და ბაბუა კარიჭაშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი, საყვარელ და დაუვიწყარ პატარა

ბიძინას

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა მოხდება კვირას, 11 აპრილს, სოფელ ხიდისთავში (გორის მაზრა). 2124 1—1

მწუხარებაში მყოფი ბიძა ლასა, ბიცოლა ანეტა, შვილები მათი ივანე და ქეთევანი გოგელიები, მამიდა ანნა, ბიძა დიმიტრი, შვილები მათი ილიკო და მარგარიტა დოლიძეები, აუწყებენ მეგობრებს და ნათესავებს, რომ 8 აპრილს გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და უძვირფასესი

ნიკოლოზ (ნიკოლა) გიორგის-ძე გოგელია

რომლის დაკრძალვა მოხდება სოფელ ძიმითში (გურია) 10 აპრილს.
ნ. 1138 1—1

გულდათუთქულნი დედ-მამა გიორგი და ალათი, ძმა გრიშა, და ოლია, ბაბუა ივანე და ბებია სარა გოგელიები აუწყებენ თავის მეგობრებს და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ ამა წლის რვა აპრილს გარდაიცვალა მათთვის უძვირფასესი ჯერ კიდევ სიცოცხლის მოტრფიალე

ნიკოლოზ (ნიკოლა) გიორგის-ძე გოგელია

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა დანიშნულია 10 აპრილს სოფ. ძიმითში (გურია) 1-1 ნ. 1138

აპოლო
არფასტო
სოლეი

25.387 კაცმა ინახულა
პირველი ექვსი დღის განმავლობაში
სურათი
„ნათელა"
ჩვენება გრძელდება
მეორე კვირაში
ამ დღეებში „არფასტო"-ში და „სოლეი"-ში: „დათვური ქორწილი"
„აპოლო"-ში და „პალას"-ში: საბჭ. კინემატოგრაფიის სიამაყე—„ჯავშნოსანი პოტიომკინი"

რუსთაველის თეატრი
დღეს, 10 აპრილს,
უკანასკნელად ამ სეზონში
„დეზერტირკა"
კვირას, 11 აპრილს,
ფულდის კომედია
ვირის ჩრდილი
თარგმანი ი. გრიშაშვილის
დადგმა აკ. ფალავასი
სამშაბათს, 13 აპრილს,
ლამარა

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 10 აპრილს,
მესამეჯერ მ. ბალანჩივაძის ოპერა
„თამარ ცბიერი"
კვირას, 11 აპრილს,
სანდრო ინაშვილის
გამოსათხოვარი გასტროლი
„ევგენი ონეგინი"
ნ. 1133 1—1

ქალ. ზესტაფონი
25 თებერვლის ქუჩა № 58
დაარსდა
სავაჭრო საწარმოო ამხანაგობა
„გლეხთა დახმარება"
რომელიც აწარმოებს ყოველგვარ სავაჭრო საწარმოო ოპერაციას. ამხანაგობა გატარებულია რეგისტრაციაში ქალ ზესტაფონის სახალხო ნოტარიუსთან რეესტრის № 28 ქვეშ, და შორაპნის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტში
1926 წლის 20 მარტის თარიღით № 5182
ამხანაგობა „გლეხთა დახმარება".
7—4 ნ. 961

ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო
საწოლებით
რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.
მიღება 9—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20.
50—30

მედიცინის დოქ. ა. ა. მონსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება.
მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი. იღებს დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა. კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., ვორონცოვის ხიდის მახლობლად).
25—19

სამშაბათს, 20 აპრილს, სრულ 12 საათზე თბილისის წყალსადენის დირექტორის კაბინეტში
(სოლოლაკის ქ. № 15),

ზეპირი ვაჭრობა

ახალი წყალსადენის მილების ჩასაწყობ თხრილების გათხრის მიწის უკანვე ჩაყრის და მისი ქვაფენილების შეკეთების საქმის გასაცემად.

საერთო გასათხრელ თხრილის სიგრძე იქნება 6 ვერსამდე, რაიც შესრულებულ უნდა იყვეს ექვსი თვის განმავლობაში წყალსადენის ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილ სხვადასხვა ვადებში.

შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად—იმ პირებმა რომელნიც ბეს შეტანისგან განთავისუფლებულ არ არიან ვაჭრობის დღის, 12 საათამდე უნდა შეიტანონ წყალსადენის სალაროში 400 მანეთი ბე.

ყველა დამატებითი ცნობების და ტეხნიკური კონდიციების მისაღებად დაინტერესებულმა პირებმა უნდა მიმართონ წყ. კანცელარიას დილის 11-დან 3 საათამდე.

წყ. დირექტორის მოადგილე მთ. ინჟინერი დიასამიძე.
ნ. 1122 2—1 კანცელარიის გამგე ქურთიშვილი.

შინამრეწველ-ხელოსანთა საზოგადოების
გამგეობა
ამით აცნობებს თავის წევრებს, რომ
საზოგადოების წევრთა წმენდა

გაგრძელებულია ამა წლის 1 მაისამდი. წევრები, რომლებიც ამ დროისათვის არ გაივლიან წმენდაში მექანიკურად გამორიცხულებათ ჩაითვლებიან.

მოქალაქეებმა, რომლებსაც აქვთ რაიმე წევრების საწინააღმდეგო ცნობები უნდა აცნობონ წერილობით გამწმენდ კომისიას, გამგეობის თავმჯდომარის სახელზე. ნ. 1135 1—1

მედსანშრომის კავშირის კულტგანყოფილება
იჯარით სცემს ცენტრალურ საქალაქო კლუბის
„მედმუშაკის" ბუფეტს
(წყნეთის ქ. № 16).
პირობების გაგება შეიძლება კავშირში—მუშათა სასახლე, ოთახი №№ 65—66 10 დან 3 საათამდე.
2121 1—1 კულტგანყოფილება.

ამ.-კავკ. რკინის გზათა სამმართველო
აცხადებს, რომ 20 აპრილს, დღის 12 საათზე გზათა ლიანდაგის და მოწყობილობათა განყოფილების ბინაზე
დანიშნულია

შერეული საჯარო ვაჭრობა

სასანიტაციო სამუშაოების იჯარით გასაცემად
2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 8, 11, 12, 13, 14, 16, 17, 18 უბნებში.

დახურულ კონვერტებში წერილობითი განცხადების წარმოდგენის გარდა დასაშვებია ფასების და პირობების განცხადება სიტყვიერად და დეპეშით.

ვაჭრობაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა წარმოდგენილი იქნას ქვითარი რკ. გზ. კასაში განცხადებულ ჯამის არა ნაკლებ 5 პროც.-ის შეტანის შესახებ.

სამუშაოების პირობების გაცნობა დაწვრილებით შეიძლება ლიანდაგის და მოწყობილობათა განყოფილებაში, კლარა ცეტკინას ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 73, მეცადინეობის საათებში, სადაც მსურველი მიიღებს დამზადებულ ბლანკებს სამუშაოების დასახელებით ფასების განსაცხადებლად.

1—1 ნ. 1136

თბილისის შრომის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი **ლევან არღუთინსკი**

აცხადებს, რომ ა. წ. 16 აპრილს, დღის 2 საათზე გაიყიდება საჯარო ვაჭრობით მოძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის მაზადი მუსტაფა საფაროვს და იმყოფება მე-5 მილიციის უბ. აბანოს ქ. № 1, და შესდგება სასადილო „ინტერნაციონალი"-ს მოწყობილობიდან შეფასებულია 583 მან. რა შეფასებიდანაც იწყება **საჯარო ვაჭრობა.**

ქონება აწერილია სახალხო კვების კავშირის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმათ თბილისის შრომის სასამართლოს მიერ 2 აპრილს 1926 წ. თარიღი № 1094, გაცემული აღმასრულებელი ფურცელის.

საჯარო ვაჭრობა მოხდება ადგილობრივ ზემო ნაჩვენებ მისამართზე სადაც შეუძლიათ მყიდველებს ქონების დათვალიერება ვაჭრობის დროს. 2120 1—1

ქ. თბილისის მე-2 რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი **ნესტორ იზორია**

ამით აცხადებს, რომ ის 13 აპრილს 1926 წ. დღის 1 საათზე სახლში № 2, ბაშმაჩნი ჩიხი, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მეხტი-ელიას-ოღლის მოძრავ ქონებას სახლის მოწყობილებას შეფასებულს 310 მანეთამდე, თბილისის აღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 24 სექტ. 1925 წ. თარიღით № 8381 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა.
1—1 ნ. 1139

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა.
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 საათ.
ქალებისთვის ცალკე შესავალი.
სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.
25—17

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9-ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—25

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანის და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606"—„914")
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—8, საათ. ქალების ს ღამოთი 5—6 საათ
მისამართი: მოსკოვის ქ. № 4. ყოფ. კაბინეტი რეზო მაჩაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).
25—18

ექიმი მ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან—11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან—7 საათამდე. ქალების მიღება 11 საათიდან 12 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 35 ყოფილი კადეტ. კორპ უკან. 25—18

ექიმი
დ. ა. გედევანიშვილი
იღებს ავადმყოფებს დაავადებულ საერთო ნერვიულ სისტემის სენით, აგრეთვე მკურნალობს სულით ავადმყოფებს
დილის 9—11 ს., საღამოს 4—5 ს. ინელაძეს ქ. (ყოფ. საპიორის) № 3
25—8

ექიმი ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი, სიფილისი. შეშხაპუნება „914". ტრიპერის და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფები მიიღება დილის 8—9 საათ. საღამოს 5 დან—9 საათ.-დე; ქალები 4—5 საათ. საღმოს.
მისამართი: კამოს ქუჩა № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვორონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად
22—17

ექიმი გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი კუჭის და ნაწლავების ავადმყოფობის სპეციალური ექიმობა.
მიღება საღამოს 5—7 საათამდი.
ბებუთოვის ქ. № 38. 25—8

ექიმი ი. დ. თოფურიძე
№ 3ა. მიიღებს ავადმყოფებს. კანის, სიფილისი და ვენერიულ (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი და აგრეთვე სასქესო ორგანოს ყველა დარღვევები) დილის 8—1

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
მ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 საათიდან სრულ 10 ს—მდე და საღამოს 6—8 ს—მდე, გარდა კვირისა. ყოფ. ელისაბედის ქუჩა № 7. ტელეფ. 14—56
25—1

თვალის ექიმი
ა. გ. მალაევი
ღებულობს ავადმყოფებს დილით 8—9 საათ. საღამოს 6—7 საათ. ელისაბედის ქუჩა № 47, ტელეფ № 5—90 თვალის საავადმყოფო.
25—12.

სათვალეების მორგება
უფასოდ
ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმედვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დილის 3—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილი პროსპექტი) ტელ. 13—63.
25—11

ექიმი
ნ. გ. ახვერდოვი.
ქალთა ავადმყოფობა და მეანობა (ელექტრონით და სინათლით მკურნალობა)
ავადმყოფების მიღება დილით 9—11 საათ. საღამოს 4—7 საათამდე, ქიძის დალმართი № 15. ყოპირდა

ექიმი არსენ ვადაჭკორია
ღებულობს ქალთა ავადმყოფებს და აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას
დილის 8—10 ს. საღამოს 4—7 საათამდე.
(ყოფილი ოლღას) ლენინის ქ. № 3
25—11

ექიმი ა. ს. ფონ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ ბომონდი).
გარდა საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეები, ბუასილი, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი.
ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე. 25—17.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული სნეულ. და სიფილისი
დილით 9—12 სა თამდე, საღამოს 6—8 ნახ. საათამდი.
პლეხანოვის პრ. № 7 (შესავალი ამავე სახლის კუთხიდან).
25—7

ექ. ვასილი ნიკიფორესძე
ჩუპრინინი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი.
მიღება: დილის 9—11-დე და საღამოს 4—6 საათამდე.
მისამართი: საბჭოთა (ყოფ ჩერქეზიშვილის ქ.) 87. 25—11

ექიმი
დ. ვ. ჯავახიშვილი
შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი
ავადმყოფ. მიიღებს დილით 8—9 საათამდე, საღამოთი 6—7 საათ-დის ყოველ დღე გარდა კვირისა.
პლეხანოვის გამზირი (ყოფ. პეტერლის) № 64.

თანახმად საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლის 28 აპრილის № 28 დეკრეტის 62 მუხლისა ლეჩხუმის სამაზრო აღმასკომის მოქალაქეობრივი მდგომარეობის აქტების ჩამწერი (მმაჩის) ბიურო აცხადებს, რომ მოქალაქე სტეფანე ბუჭუს ძე გველებიანმა შემოიტანა განცხადება მისი გვარის „გ ელებიანის" გულბანათ შეცვლის შესახებ.
მ.მ.ა.ჩ. ბიუროს გამგე
ტ. მანდარია.

დაიკარგა მოწმობა წიგნების ამკინძაო ის შესწავლისა და იმავე ხელობაზე მუშაობისა ყოფ. გორის სასულ. სასწავლებლის ბიბლიოთეკაში, ევგენი გაბრიელის ძე ედილაშვილის სახელზე, № 140, ჩ. გ. 2122 1—1

დაიკარგა პირადი სამხედრო წიგნაკი № 43 იაკობ გაბისონიას სახელზე, ჩ. გ. 2123 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 1540 მინადორა წულუკიძის სახელზე, ჩ. გ. 2110

დაიკარგა პირადობის მოწმობა ბენიამინ ჯანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2117

დაიკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 1948 მამედ საფაროვის სახელზე, ჩ. გ.1 2118

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სტამბა, კამოს ქუჩა, 68